პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

[illegible] თბილისი

კომუნისტი

საქ. კომუნისტური პარტიის ცენტრალური და თბ. საოლქო კომიტეტების
— და —
სრულიად საქართველოს მუშათა, გლეხთა, წითელარმიელთა და მეზღვაურთა დეპუტატების საბჭოების
ცაკის ორგანო

რედაქცია
თბილისი, რუსთაველის პროსპ. [illegible] სართული
რედაქციაში საქმეზე მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე გარდა კვირა-უქმეებისა დილის 10 საათიდან ღამის 12 საათამდე.
ტელეფ. } რედაქტორის 14—76 } მდივნის 10—58

მთავარი კანტორა თბილისი რუსთაველის პროსპქ., № 84, ტელეფონი № 8—81.
ხელისმოწერის ფასი
მუშა-მოსამსახურეთათვის, გლეხების წითელარმიელების, მოწაფეების და მასწავლებლებისათვის—1 მან., დანარჩენებისათვის—1 მან., 30 კ.
საქართველოს ფარგლებში: ნონპარელის სტრიქონის ტექსტის ბოლოში—1 მან., ტექსტის შიგნით — 2 მან.; საქართველოს გარეთ: ტექსტის ბოლოს ნონპარელის სტრიქ.—1 მ. 50 კაპ., ტექსტში—3 მან.; განცხადებელი, გარდა განცხადების ფასისა, იხდის 10 % საქალაქო გადასახადს. თუ განცხადება იბეჭდება ხუთჯერ ტექსტის შეუცვლელად—შეღავათი შეთანხმებით. მთავარ კანტორაში განცხადებები მიიღება 9-დან 3½ საათამდე. შემდეგ განცხადება ძვირდება 20%-ით მეტი. სამგლოვიარო განცხადებები—15, 20 და 25 მან. „კომუნისტი"-ს ექსპედიცია მოთავსებულია კამოს ქ. № 68, ტელ. 5—43

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბეჭდვითი სიტყვის დღე

ორშაბათი, 5 მაისი 1930 წ. ყოველდღიური გაზეთი ფასი 5 კაპ. № 102 (2750)

საქ. კომპარტიის (ბ) ცეკას პლენუმი გადადებულია და შესდგება 6 მაისს,

პლენუმი გაიხსნება საღამოს 6 საათზე, სასახლის წითელ დარბაზში.

საქ. კ პ. (ბ) ცეკას მდივანი: ლ. ლოლოგერიძე.

ბეჭდვითი სიტყვის დღე

ჩვენი პრესის ორგანიზატორული როლი მშრომელთა ფართო მასების სოციალისტური აღზრდის საქმეში ამ უკანასკნელ დროს განსაკუთრებით გაიზარდა. საბჭოთა პრესა იმ უდიდეს იარაღს წარმოადგენს, რომლის საშუალებითაც პარტია აქტიურ ზემოქმედებას ახდენს საზოგადოებრივი ცხოვრების ყოველ მხარეზე. პრესის მეოხებით „პარტია ელაპარაკება მუშათა კლასს მისთვის საჭირო ენაზე ყოველდღე, ყოველ საათში. სხვა საშუალება პარტიისა და კლასს შორის სულიერი ძაფების გასაბმელად, სხვა ამის მსგავსი აპარატი ბუნებაში არ არსებობს" (სტალინი). აქედან ცხადია, თუ რა რთული და პასუხსაგები ამოცანები სდგას საბჭოთა პრესის წინაშე. განსაკუთრებით ეს დღევანდელ პერიოდს შეეხება, როცა ჩვენი ქვეყანა მტკიცედ დაადგა ინდუსტრიალიზაციის გზას, ფართოდ გაიშალა საკოლმეურნეო მოძრაობა და პარტიამ გადამწყვეტი შეტევა განავითარა ქალაქისა და სოფლის კაპიტალისტურ ელემენტებზე.

რეკონსტრუქტიული პერიოდის ამოცანათა განხორციელება პრესის მუშაობის გარდაქმნასაც მოითხოვს. უნდა ითქვას, რომ ამ დროის განმავლობაში ჩვენმა პრესამ შესძლო არსებითად დამდგარიყო ბრძოლის მოწინავე ხაზზე და განემარტა მშრომელთათვის პარტიისა და საბჭოთა ხელისუფლების მორიგი ამოცანები სოციალისტური მშენებლობის ყოველ დარგში. გაზეთები ენერგიულად შეუდგნენ ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის ლოზუნგისა და სოფლის მეურნეობის სოციალისტურ ფორმათა პროპაგანდას და პოპულარიზაციას. ორ ფრონტზე ბრძოლის გაძლიერების ამოცანა პარტიის გენერალური ხაზის ურყევ გატარებისათვის, ჩვენი პრესის ყურადღების ცენტრში იდგა.

ბეჭდვითი სიტყვის ორგანოებმა საკმაოდ დიდი მუშაობა ჩაატარეს სოცშეჯიბრებისა და თვითკრიტიკის გაშლისათვის. ჩვენი პრესა უკვე იწყებს სამეურნეო მშენებლობის კონკრეტულ პრობლემათა წამოყენებას და აქტიურად იბრძვის სამრეწველო-საფინანსო გეგმების თავის დროზე განხორციელებისათვის. გაზეთის შინაარსის საგრძნობ გაუმჯობესებასთან ერთად, სწრაფად იზრდება მათი ტირაჟიც. ამის საილუსტრაციოდ საკმარისია დავასახელოთ გლეხური გაზეთის „კოლექტივიზაცია"-ს ტირაჟი—100,000 ეკზემპლიარზე მეტი და „კომუნისტი"-ს ტირაჟი თითქმის 55,000 ეკზ. ყოველივე ეს იმის დამამტკიცებელია, რომ აიწია მშრომელი მასების კულტურული დონე და პრესაც ერთერთი უძლიერესი კულტურული ფაქტორი გახდა საზოგადოებრივი ცხოვრების ახალ ფორმათა შენების საქმეში.

საჭიროა აგრეთვე აღვნიშნოთ დეფექტებიც, რომლებიც ჩვენს ბეჭდვითი ორგანოებს ახასიათებს. ეს კი განსაკუთრებით აუცილებელია დღეს, როცა ყოველი გაზეთი თავისი მუშაობის შესახებ ანგარიშს აბარებს ფართო პროლეტარულ საზოგადოებრიობას, როცა ბეჭდვითი სიტყვის გენერალური შემოწმება ხდება. პირველ ყოვლისა ხაზი უნდა გავუსვათ იმ გარემოებას, რომ ჩვენ პრესაში ჯერ კიდევ ნაკლებად იჩერება **კონკრეტულად** ამა თუ იმ სამეურნეო გეგმის განხორციელებაზე. სამეურნეო მშენებლობის სუსტი ადგილების კონკრეტული გამომჟღავნება კი დიდათ შეუწყობდა ხელს მის გამოსწორებას, მასების ყურადღების მობილიზაციას მუშაობის ამ სუსტ მხარეებზე. ამ დროის განმავლობაში საერთოდ ჩვენმა გაზეთებმა ვერ შესძლეს ეწარმოებიათ ხუთწლედის სისტემატიური პროპაგანდა, მისი კონკრეტიზაცია ცალკე ოლქებისათვის, მაზრებისათვის, რაიონებისათვის და სხვ. ეს მდგომარეობა ნაწილობრივ გამოსწორდა უკანასკნელ ხანებში, როცა გაზეთებმა თავისი მთავარი ყურადღება სამრეწველო-საფინანსო გეგმათა შესრულების გაუმჯობესებაზე გადაიტანეს. პრესამ გაშალა პროლეტარული თვითკრიტიკა სამრეწველო საფინანსო გეგმების შესრულებისათვის.

ამასთანავე უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს მასების შემოქმედებითი ინიციატივის გამჟღავნებისათვის შესრულებულ სამუშაოთა საუკეთესო ნიმუშების პოპულარიზაციას. საკოლმეურნეო მშენებლობის ფაქტების სწორი გაშუქებით განვახორციელებთ ლენინის იდეას. ლენინი ამბობდა: „საჭიროა პრესა, უმთავრესად პოლიტიკურ ახალ ამბავთა მომწოდებელ ორგანოდან გადავაქციოთ მასების ეკონომიურად აღზრდის სერიოზულ ორგანოდ" („საბჭოთა ხელისუფლების ამოცანები").

საკოლმეურნეო მოძრაობამ და გამწვავებულმა კლასიურმა ბრძოლამ პრესის წინაშე დააყენა სოფლად პარტიული პოლიტიკის საკითხების განსაკუთრებული სისწორით გაშუქების ამოცანა. უნდა ითქვას, რომ გაზეთები ზოგჯერ სათანადო სიმტკიცით ვერ ვებრძოდით პარტიის ხაზის დამრღვევთ. თავის დროზე ვერ ვამჟღავნებდით იმ უხეშ გადახვევებს და მავნე განწყობილებებს, რომლებსაც ადგილი ჰქონდა ჩვენს სინამდვილეში. პრესა მედგრად უნდა შეებრძოლოს ყოველგვარ გადახვევებს ლენინურ სწორ ხაზიდან და კერძოდ კოლმეურნეობათა მშენებლობის დარგში მთელი ყურადღება უნდა გადაიტანოს კოლექტივების სამეურნეო საკითხების გაშუქებაზე.

დასასრულ ჩვენ გვინდა დავაყენოთ საკითხი რედაქციების მასიური მუშაობის შესახებ. ამჟამად უნდა ითქვას, რომ მუშაობის ეს სფერო უაღრესად ჩამორჩენილია. რედაქციების მუშაობის სისტემაში ამ დარგს არ ექცევა სათანადო ყურადღება. სუსტად არის დაყენებული მუშგლეხკორთა აღრიცხვის საქმე. გადაჭარბებული არ იქნება თუ ვიტყვით, რომ მუშგლეხკორთა ხაზით ჩვენი რედაქციების მუშაობას უფრო შემთხვევითი ხასიათი აქვს. არსებობს მუშგლეხკორთა ჟურნალი, რომელიც მოწოდებულია გააშუქოს ამ მოძრაობის ყველა საჭიროპოროტო საკითხები, მაგრამ ამ ჟურნალის სახე ჯერ კიდევ არ სჩანს.

ჩვენ ვერავითარ შემთხვევაში ვერ შევსძლებთ გაზეთის შინაარსის გაუმჯობესებას, თუ არ განვავითარეთ პოლიტიკურ-აღმზრდელობითი მუშაობა მუშგლეხკორთა შორის, თუ არ ვიბრძოლეთ მუშგლეხკორის თვისობრივ გაუმჯობესებისათვის, მისი კვალიფიკაციის ასაწევად, თუ არ აღვზარდეთ მუშგლეხკორთა წრიდან ახალი კადრები, ბეჭდვითი სიტყვის კვალიფიციური მუშაკები. მხოლოდ ამ ამოცანათა განხორციელებით შევსძლებთ გადავაქციოთ ჩვენი პრესა მშრომელთა ფართო მასების ნამდვილ ორგანიზატორად, ამ მასების დამრაზმველად პარტიის გენერალური ხაზის გარშემო.

პრესა—მასების ორგანიზატორი

1912 წლის 5 მაისს გამოვიდა გაზეთ „პრავდა"-ს პირველი ნომერი.

„პრავდა" — მუშათა გაზეთი—გადაიქცა ყოფილი მეფის იმპერიის მთელი მუშათა მოძრაობის განუყოფელ ნაწილად. ამიტომ ჩვენთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ამ დღის აღნიშვნა.

„ოქტომბრის" გამარჯვებით და პროლეტარიატის დიქტატურის დამყარებით ჩვენი საბჭოთა ბეჭდვითი სიტყვა სათავეში მოექცა კომუნიზმის იდეის პროპაგანდას და დღითი-დღე უფრო ღრმად იჭრება ქალაქისა და სოფლის მშრომელთა მასებში. ეს მასები ირაზმებიან კომუნისტური ბეჭდვითი სიტყვის ირგვლივ.

ტყუილა როდი სწერდა **ლენინი**, რომ **„გაზეთი არის არა მარტო კოლექტიური პროპაგანდისტი და კოლექტიური აგიტატორი, არამედ აგრეთვე კოლექტიური ორგანიზატორიც"**. ჩვენს გაზეთს ხომ ასეული და ათასეული მკითხველები ქმნიან, რომლებიც იმავე დროს არიან მუშკორები, გლეხკორები, ახკორები და სხვ. მაშასადამე საბჭოთა პრესა არ წარმოადგენს „სპეციალისტების" ნაყოფს, როგორც ეს ბურჟუაზიულ ქვეყნებშია, და ამაშია მისი ძალა. „ბეჭდვის თავისუფლება მთელ მსოფლიოში, სადაც კი კაპიტალისტები ბატონობენ, წარმოადგენს გაზეთის ყიდვის, მწერლის მოსყიდვის თავისუფლებას, ეს არის ბურჟუაზიისათვის სასარგებლო საზოგადოებრივი აზრის მოსყიდვის თავისუფლება. ეს ფაქტია. არავის არასოდეს არ შეუძლია ამის უარყოფა". ასე აფასებდა ლენინი ბურჟუაზიულ ბეჭდვითი სიტყვას. სულ სხვაა ჩვენს ქვეყანაში, საბჭოთა ქვეყანაში, სადაც ხელისუფლების სათავეში მუშა და მშრომელი გლეხობა დგას. ჩვენი ბეჭდვითი სიტყვა პროლეტარული რევოლუციის, მთელი ჩვენი სახალხო მეურნეობის სოციალისტურად გარდაქმნის საქმეს ემსახურება. ჩვენი ბეჭდვითი სიტყვა ხელს უწყობს სოციალიზმის შენებას, აწარმოებს უდიდეს კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობას. გაზეთი და წიგნი სულ უფრო ღრმად იჭრებიან სოფელში, ავრცელებენ იქ საჭირო აზრებს და, გამოცდილებისა და პრაქტიკის საფუძველზე ამუშავებენ ახალ აზრებს. ისინი ჩვენ გვაძლევენ სასურველ ნაყოფს სოფლისა და ქალაქის მშრომელი მასების მობილიზაციის და ორგანიზაციის საქმეში სოციალიზმის სულ უფრო და უფრო ჩქარი ტემპით საშენებლად.

ამიტომ ჩვენი ბეჭდვითი სიტყვა უაღრესი ყურადღებით უნდა ექცეოდეს მკითხველთა ფართო მასებს მოთხოვნილებებს და უნდა აკმაყოფილებდეს მათ მრავალფეროვან სურვილებს. **ჩვენი ბეჭდვითი სიტყვა იყო და იქნება ლენინის იდეების და საკავშირო კომპარტიის (ბ) დადგენილებათა პროპაგანდისტი.**

მასებთან კავშირის გაძლიერებასთან ერთად, საბჭოთა ბეჭდვითი სიტყვა შესძლებს მიაპყროს საჭირო ყურადღება სოციალიზმის მშენებლობის მორიგ ამოცანებს.

საბჭოთა პრესა უნდა წარმოადგენდეს **სოციალისტური კადრების ორგანიზატორს, მათ რიცხვში სოციალისტური მეურნეობის სპეციალისტთა—მშენებელთა კადრების ორგანიზატორს, რათა ამ კადრების მეოხებით სწრაფი ნაბიჯით წავიდეთ წინ.**

გაუმარჯოს საბჭოთა ბეჭდვითი სიტყვას.

მიხა ცხაკაია.

საპირველმაისო დემონსტრაციები კაპიტალისტურ ქვეყნებში

პირველი მაისის დემონსტრაციები დიდი ენტუზიაზმით ჩატარდა კოლონიებში

გერმანიაში

ბერლინი, 3 მაისი. 1 მაისს ლიუსტგარტენში გამართული მიტინგის მონაწილე მუშებმა დასდეს ფიცი: საწარმოებისა და სახელოსნოების მუშები, კანტორების მოსამსახურენი, უმუშევრები, მუშების ცოლები და ახალგაზრდა მუშები ფიცს სდებენ — 1 მაისს, საერთაშორისო პროლეტარიატის მსოფლიო ბრძოლის დღეს, მთელი ძალები დარაზმონ მჩაგვრელთა წინააღმდეგ, ტრესტებში გაერთიანებული კაპიტალის, შიმშილობის მთავრობის, კაპიტალის სოციალ-დემოკრატ ლაქიებისა და მუშათა კლასის მოღალატეების წინააღმდეგ საბრძოლველად, ფიცს სდებენ აგრეთვე აქტიურად დაიცვან საბჭოთა კავშირი (ადს).

ბერლინი, 3 მაისი. პროვინციაში საპირველმაისო გაფიცვა წელს უფრო ფართო იყო, ვიდრე შარშან. იმ ქალაქებში, სადაც დემონსტრაციები აკრძალეს, მუშები მაინც გამოვიდნენ ქუჩებში. ლეიპციგისა და მიუნხენის გარდა, დემონსტრაციები, აკრძალვის მიუხედავად, გაიმართა ფორცჰეიმში (ბავარია) და კაიზერ ლაიბენში, ბერლინის მახლობლად. ამ ადგილებში პოლიციამ დემონსტრანტების გაფანტვა მხოლოდ მრავალი თავდასხმისა და მასიური დაპატიმრების შემდეგ მოახერხა.

ზემო სილეზიაში დემონსტრაციები გაიმართა ყველგან ცენტრებში და ეს დემონსტრაციები დამსწრეთა რიცხვით ბევრად აღემატებოდნენ შარშანდელ საპირველმაისო დემონსტრაციებს. ვიდენბურგში კომუნისტურ დე**მონსტრაციაში მონაწილეობა მიიღო 15 ათასმა კაცმა, ზეიტონში—10 ათასმა, გლეივცში—5 ათასმა.** ქალაქ ფოლკლინგენში, სადაც ადგილობრივი პროფკავშირთა საბჭო ბრანდლერის მომხრეთა ხელშია, კომპარტიის დემონსტრაციაში მონაწილეობა მიიღო ათასმა კაცმა. ხოლო რეფორმისტებისა და ბრანდლერის მომხრეთა გაერთიანებულ დემონსტრაციაში სულ ორასმა კაცმა მიიღო მონაწილეობა. დიუსელდორფში რევოლუციონურ **დემონსტრაციაში მონაწილეობა მიიღო 20.000 მუშამ. ესენში—10.000, დორტმუნდში—7.000, ბოხუმში—4.000** და სხვა.

ქვემო-რეინის ოლქში, შუა გერმანიაში და ვიურტემბურგშიც საპირველმაისო გამოსვლებმა კომპარტიისა და რევოლუციონური პროფოპოზიციის ხელმძღვანელობით ჩაიარა. ჰალეში რეფორმისტებმა უარი სთქვეს დემონსტრაციის გამართვაზე და ქუჩა კომუნისტებს დარჩათ. შტუტგარტში, სადაც სოციალ-დემოკრატების დემონსტრაცია არ გამართულა, კომუნისტურ დემონსტრაციაში მონაწილეობა მიიღო 10.000 კაცმა. მანჰეიმში (ბადენი) მრავალათასიან კომუნისტურ დემონსტრაციას წინ მიუძღოდნენ წითელფრონტელთა აკრძალული კავშირის რაზმები, რომელნიც სრულ ფორმაში იყვნენ გამოწყობილნი. **ხემნიცში რევოლუციონურ დემონსტრაციაში მონაწილეობა მიიღო 20.000 კაცმა.** სოციალ-დემოკრატიული დემონსტრაციები მიმდინარეობდნენ „მემარცხენე" სოციალ-დემოკრატების დამახასიათებელი დემაგოგიური ლოზუნგებით, რომელთა შორის ისეთ რევოლუციონურ ლოზუნგებთან ერთად, როგორიცაა არის, მაგალითად: „ძირს კაპიტალისტური წყობილება", „ძირს კაპიტალისტური რაციონალიზაცია" იყო პლაკატი ასეთი წარწერით: —ვისა ღვრის მუშების სისხლს?—კომუნისტური პარტია და ფაშისტი", კენიგსბერგში კომუნისტურ დემონსტრაციაში მონაწილეობა მიიღო 7.000 მუშამ, ე. ი. ოთხჯერ მეტმა, ვიდრე რეფორმისტების დემონსტრაციაში.

მუშების მასიურად დათხოვნა გერმანიაში

ბერლინი, 3 მაისი. რურის ოლქში, განსაკუთრებით ქვანახშირის მრეწველობაში, განაგრძობენ მუშების მასიურად დათხოვნას. კონცერნი „მანესმან"-ი იუწყება, რომ იგი ახლო მომავალში დაითხოვს ქვანახშირის მაღაროების 3.000 მუშას. კონცერნის „ფრიდრიხ შტალვერკე"-ს მაღაროებში ითხოვენ 750 მუშას.

მრეწველები სცდილობენ დაითხოვონ ის მუშები, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს საპირველმაისო დემონსტრაციაში, ან ხელფასი შეუმცირონ მათ. ამას უმთავრესად იმ საწარმოებში მიმართავენ, სადაც გაფიცა მუშების უმცირესობა (ადს).

საფრანგეთში

პარიზი, 3 მაისი. მრავალ ქალაქში გაიმართა მუშათა მასიური დემონსტრაციები კომპარტიისა და შრომის უნიტარული ფედერაციის ლოზუნგებით. სენ-ეტიენში, სადაც მთელი ლითონის მრეწველობის და მაღაროს მუშები გაფიცულნი იყვნენ, მასიური დემონსტრაციების დროს დააპატიმრეს 6 მუშა. ლიმოჟში გაიფიცა ყველა ქარხანა და შესწყდა ტრამვაის მოძრაობა. მაღაზიები ნაწილობრივ დაკეტილი იყო. მიუხედავად იმისა, რომ ქალაქში პოლიციისა და ჟანდარმერიის დიდ ძალებს მოეყარა თავი, სამი ათასმა მუშამ მაინც გამართა მსვლელობა მთავარ ქუჩებზე. ელზასში პირველ მაისს გაფიცულნი იყვნენ მოზელის რაიონის ქვანახშირის მაღაროები და რკინის სამადნოები. სტრასბურგში გაიმართა კომპარტიისა და უნიტარული პროფკავშირების მიერ მოწყობილი დემონსტრაცია, რომელშიაც 10 ათასმა მუშამ მიიღო მონაწილეობა. ლილში პოლიციელებით სავსე ქუჩებში დემონსტრაცია გაიმართა 6 ათასმა მუშამ. იუწყებიან, რომ მასიური დემონსტრაციები გაიმართა აგრეთვე რუბენში, ცურკუენში, სენნევერში და ბრეტანის სხვა ქალაქებში.

პარიზის ოლქში გაიფიცა 300.000 კაცზე მეტი. ფურცლების გავრცელება, შტრეიკბრეხერების მოხსნა, სახელდახელო მიტინგები და დემონსტრაციები ყველგან იწვევდა შეტაკებებს პოლიციასთან. **ყველაზე უფრო სერიოზული შეტაკება მოხდა ბილიანკურში, რენოს ქარხნის წინ. დაპატიმრებულ იქნა ასზე მეტი უცხოელი მუშა, რომლებიც საზღვარგარეთ გააძევენ. პირველ მაისს სანტეს საპყრობილეს წინ, რომელსაც 2.000 პოლიციელი იცავდა, მუშებმა სცადეს—გაემართად დემონსტრაცია და მოეთხოვათ პოლიტიკური პატიმრების განთავისუფლება.** დააპატიმრეს 150 მუშა. სენ-დენში, მუშათა იმ კრების გაფანტვის დროს, რომელიც კომპარტიამ დახურულ შენობაში გამართა, **დააპატიმრეს 108 მუშა,** მათ შორის 9 მუნიციპალური მრჩეველი და დეპუტატი **დორიო** (ადს).

პარიზი, 3 მაისი. როგორც „ლუმანიტე" იუწყება, საფრანგეთში ბევრგან პირველ მაისს **ჯარისკაცებსა და მუშებს შორის მოხდა დაძმობილება** (ადს).

პარიზი, 3 მაისი. პირველ მაისს პარიზის მუშურ რაიონებში და გარეუბნებში გაიმართა მუშათა სახელდახელო მიტინგები და დემონსტრაციები. რენოს საავტომობილო ქარხნიდან დაითხოვეს რამდენიმე მუშა, რომელთაც მონაწილეობა მიიღეს საპირველმაისო გამოსვლებში. დათხოვნილების ადგილზე იღებენ რუს თეთრგვარდიელებს.

„ლუმანიტე"-ს გადმოცემით, საპყრობილეში სასტიკად სცემეს იმ ხუთ მუშას, რომლებიც პირველი მაისის წინა ღამეს დააპატიმრეს კომპარტიის მოწოდებების გავრცელებისათვის. მათ სასამართლოში აძლევენ, აბრალებენ იმას, რომ ჯარისკაცებს ურჩობისაკენ მოუწოდებდნენ. იუწყებიან, რომ დაითხოვეს ქალაქის ტრანსპორტის ის მოსამსახურენი, რომელნიც პირველ მაისს გაიფიცნენ.

პარიზი, 3 მაისი. პირველი მაისის წინა ღამეს პოლიციამ დააკავა „ლუმანიტე"-ს **საპირველმაისო ნომრის 100.000 ეკზემპლიარი და დაამტვრია ამ ნომრის სასტამბო სტერეოტიპები.**

პარიზი, 3 მაისი. ლანსში (ქვანახშირის რაიონი პა-დე-კალეში) კომპარტიისა და შრომის უნიტარული კონფედერაციის დროშების ქვეშ გამოვიდა 5.000 სამთამადნო მუშა. დუეში დემონსტრაციაში მონაწილეობა მიიღო 2.000 რევოლუციონერმა მუშამ, ხოლო დუნკერკში— 1.000 მუშამ. რუანში დემონსტრაცია გაიმართა 1.200 მუშამ. ვალანსიენში მიტინგს დაესწრო 4.000 მუშა. მოხდა შეტაკება პოლიციასთან. ბევრი მუშა დაიჭრა. სოტვილ ლე რუანში შეტაკების დროს დაიჭრა ორი მუშა. ტურში დააპატიმრეს ხუთი დემონსტრანტი. ატლანტიკისა და ლამანშის ნავთსადგურებში მუშები გაიფიცნენ და გამართეს დემონსტრაციები კომპარტიისა და შრომის უნიტარული კონფედერაციის დროშებით. ლაროშელში გაიმართა მიტინგი და დემონსტრაცია 2.000 მუშის მონაწილეობით. ნანტში კომპარტიის მიტინგზე თავი მოიყარა 2.000-ზე მეტმა მუშამ.

ოფიციალური ცნობებით, ბორდოში 35.000 მუშიდან პირველ მაისს გაიფიცა 20.000. ლიონში დემონსტრაციაში მონაწილეობა მიიღო 5.000 მუშამ. სამხრეთის ქვანახშირის რაიონში, ალესში გაიფიცნენ ყველა სამთამადნო მუშები, დემონსტრაციაში მონაწილეობა მიიღო 8.000 მუშამ. ავინიონში მრავალი ათასი მუშა გაიფიცა. მათ დემონსტრაციები გამართეს კომპარტიისა და შრომის უნიტარული კონფედერაციის ლოზუნგებით. ნიმში და ულინოში დემონსტრაციაში მონაწილეობა მიიღო 3.000 მეტყავემ და ფეიქარმა. (ადს)

პარიზი, 3 მაისი. არმანტიერის საფეიქრო ფაბრიკებში და ლითონის ქარხნებში მრავალი წლის შემდეგ პირველად გაიმართა საყოველთაო საპირველმაისო დემონსტრაცია.

რუბეში დემონსტრანტებმა პოლიციას ხელიდან გამოჰგლიჯეს დაპატიმრებული მუშები. ლილში კომუნისტებისა და შრომის უნიტარული კონფედერაციის მიერ მოწყობილ დემონსტრაციაში მონაწილეობა მიიღო 2.500 მუშამზე მეტმა, რეფორმისტებმა კი ძლივს შეაგროვეს 1.500 კაცი. პა-დე-კალეს ქვანახშირის მაღაროებსა და ლითონის ქარხნებში 1 მაისს მოხდა გაფიცვა, რომელშიაც მონაწილეობა მიიღო მუშების უმრავლესობამ. ნანსიში **დემონსტრანტებისა და პოლიციის შეტაკების დროს ბევრი მუშა დაიჭრა.** ბრიეს (ლოტარინგია) რკინის მადნის რაიონში 1 მაისს გაიფიცნენ ყველა სამთამადნო მუშები, მიუხედავად მრეწველების მუქარისა. ტრუაში გაიფიცა მეტრიკოტეთა და ფეიქართა საერთო რიცხვის 90 პროცენტი, ხოლო მარსელში—დოკებისა და ვერფების მუშათა 80 პროცენტი. გაიფიცნენ გემების უმრავლესობის კომანდები. ქალაქის სავაჭრო ცხოვრება 1 მაისს სრულებით ჩაკვდა. გაიმართა მრავალრიცხოვანი დემონსტრაციები (ადს).

პარიზი, 3 მაისი. შრომის უნიტარული კონფედერაციის ოპორტუნისტული უმცირესობა გამოვიდა იმის წინააღმდეგ, რომ საპირველმაისო გაფიცვებსა და დემონსტრაციებს პოლიტიკური ხასიათი მისცემოდა. იმ ცალკე პროფკავშირებში, რომლებშიაც ოპორტუნისტებმა ხელმძღვანელობის დაპყრობა მოახერხეს, მათ სცადეს მიეჩქმალათ 1 მაისის გამოსვლების პოლიტიკური ლოზუნგები და პოლიტიკური აზრი. მაგრამ, ოპორტუნისტების ცდების მიუხედავად, მუშებმა თავიანთი გამოსვლა ჩაატარეს კომპარტიისა და შრომის უნიტარული კონფედერაციის რევოლუციური ლოზუნგებით. **ოპორტუნისტმა პროფმუშაკებმა 1 მაისს სამარცხვინო მარცხი განიცადეს** (ადს).

ინგლისში

ლონდონი, 3 მაისი. საპირველმაისო მიტინგების დროს ლონდონში ფაშისტებმა სცადეს ხელი შეეშალათ სალაპარაკოდ გამოსულ ორატორებისათვის. მუშებმა იძულებული გახადეს ისინი—დატოვებინათ ჰაიდ-პარკი. მრავალ მათგანს მუშებმა სცემეს. საპირველმაისო დემონსტრაციებმა ბრწყინვალედ ჩაიარეს ფეიქართა გაფიცვის რაიონში—ბრედფორდში და შიპლში. საერთოდ დემონსტრაციებს დიდი აღფრთოვანება ახასიათებდა. პოლიცია ბრედფორდში თავს დაესხა მუშათა მასიურ პიკეტს და დააპატიმრა ხუთი გაფიცული. დანარჩენებმა იწყეს თავის დაცვა. ბრძოლამ დაახლოებით ერთი საათს გასტანა. ქვეითი **პოლიციის დასახმარებლად მოვიდა ცხენოსანი პოლიცია,** რომელმაც პიკეტი გაფანტა. საპირველმაისო დემონსტრაციებმა დიდის წარმატებით ჩაიარეს გლაზგოში, ბირმინგამში, ნიუკესტლში და მრავალ სხვა ქალაქებში (ადს).

შეერთებულ შტატებში

ნიუ-იორკი, 3 მაისი. ნიუ-იორკში საპირველმაისო დემონსტრაციაში მონაწილეობა მიიღო 150.000 მუშამ. დემონსტრანტები დროშებით, ლოზუნგებით და „ინტერნაციონალის" სიმღერით გაემართნენ იუნიონ-სკვერისაკენ. დემონსტრანტთა მწკრივები მთელი მილის მანძილზე გაიშალნენ. განუწყვეტლივ ისმოდა „ინტერნაციონალ"-ის სიმღერა და ხმები საბჭოთა კავშირის, კომპარტიის და პროფკავშირთა მთლიანობის პატივისაცემად. საღამოთი გაიმართა კომპარტიის მიერ მოწყობილი ახალი დემონსტრაციები.

ინგლისის საელჩოს წინ ნიუ-იორკში გაიმართა საპროტესტო დემონსტრაცია ინგლისის პოლიტიკის წინააღმდეგ ინდოეთში.

საპირველმაისო დემონსტრაციები გაიმართა აგრეთვე შეერთებული შტატების სხვა ქალაქებში. პოლიციის აკრძალვის მიუხედავად, დემონსტრაციები გაიმართა სტანფორდში და ნიუ-ბრეტენში. პოლიციამ ყველგან გაფანტა დემონსტრაციები. სტანფორდში დააპატიმრეს 13 კაცი. ნიუ-ბრეტენში—4 კაცი.

„ასოშიეტედ პრეს"-ის ცნობებით, ნიუ-ბრეტენში დემონსტრაციაში მონაწილეობას იღებდა 2000 კაცი. დემონსტრაციები გაიმართა აგრეთვე ფილადელფიაში, ბოსტონსა და სკრანტონში (ადს).

ლათინურ ამერიკაში

ნიუ-იორკი, 3 მაისი. გაზეთების გადმოცემით, საპირველმაისო დემონსტრაციები გაიმართა მექსიკაში, კოლუმბიაში, არგენტინაში და ლათინური ამერიკის სხვა ადგილებში. **მექსიკაში საპირველმაისო დემონსტრაციაში მონაწილეობა მიიღო 30.000 კაცმა.**

„ასოშიეტედ პრეს"-ის გადმოცემით, ფილიპინის კუნძულებზე გამართულ საპირველმაისო დემონსტრაციაში 3.000 კაცმა მიიღო მონაწილეობა (ადს).

ჩეხო-სლოვაკიაში

პრაღა, 3 მაისი. მთელ ჩეხო-სლოვაკიაში დემონსტრაციებში მასიური მონაწილეობა მიიღეს ახალგაზრდობამ და პიონერებმა. ყველაზე უფრო მრავალრიცხოვანი დემონსტრაციები და მიტინგები გაიმართა ოსტრავაში, სადაც მონაწილეთა რიცხვი 10 ათასს აღწევდა. მიტინგის გაფანტვის დროს დაიჭრა რამდენიმე მუშა. დააპატიმრეს 20 მუშა.

მიტინგებსა და დემონსტრაციებს მრავალი ხალხი დაესწრო კოშიცეში, სადაც დემონსტრაციებში მონაწილეობა მიიღო 5.000 მაღაროს მუშამ, ფრიდოვში—2.000, აუსიგში—1500 მუშამ და სხვ. (ადს)

პოლონეთში

ვარშავა, 3 მაისი. ზამოსციეში შეიკრიბა ათასამდე მუშა. მუშების დასახმარებლად **ახლო-მახლო სოფლებიდან ჩამოვიდა ჯოხებით შეიარაღებული 500-დე გლეხი.** გლეხებმა მუშებთან ერთად გამართეს დემონსტრაცია, რომელსაც ახალ-ახალი ჯგუფები უერთდებოდნენ. სულ შეიკრიბა 2000-დე კაცი. დემონსტრაციას სასტიკად შეუტია ცხენოსანმა და ქვეითა პოლიციამ, მაგრამ მას დემონსტრანტებმა წინააღმდეგობა გაუწიეს. **დაიჭრა ათზე მეტი მუშა და 4 პოლიციელი.** დააპატიმრეს მრავალი მუშა. დომბროვოში გამართულ დემონსტრაციაში მონაწილეობა მიიღო ათასამდე მუშამ, სოსნოვიცაში—6.000-დე მუშამ. პოლიცია მიესია მუშებს და დაუწყო ცემა თოფის კონდახებით და ხმლებით. **დაიჭრა ოცზე მეტი მუშა. დაიჭრა აგრეთვე რამდენიმე პოლიციელი.** ლიდში, მინსკში და ლუცკში, გლეხთა პარტიის დეპუტატების ხელმძღვანელობით გაიმართა დემონსტრაციები. პოლიციამ დემონსტრანტები ყველგან გაფანტა. გრუბეშევის მაზრის სოფელ ჩერნიშინში გლეხთა პარტიის მიერ გამართულ გლეხურ დემონსტრაციას თავს დაესხა პოლიცია, რომელმაც თოფები გაისროლა, ვითომ ჰაერში, **სროლის შემდეგ გლეხები მისცვივდნენ პოლიციას და დაუწყეს ჯოხებითა და ქვებით ცემა.** დაშავდა ერთი პოლიციელი, ერთიც ძალიან არის ნაცემი. დემონსტრანტების მხრით მძიმედ დაიჭრა ერთი კაცი. დააპატიმრეს მრავალი დემონსტრანტი.

ვარშავა, 3 მაისი. მიუხედავად პოლიციის მთელი ძალების მობილიზაციისა, მიუხედავად მრავალ ხალხის დაპატიმრებისა და ტყვიამფრქვევებით და ყუმბარებით აშკარა მუქარისა, პოლიციამ ვერ ჩაშალა რევოლუციონური საპირველმაისო გამოსვლები.

პრესის ცნობებით, **დემონსტრაციები გაიმართა პოლონეთის ყველა ძირითად მუშურ ცენტრებში. ვარშავის მუშური რაიონები და განაპირა უბნები 1 მაისს შეიარაღებული ბანაკის შთაბეჭდილებას სტოვებდნენ.** პოლიცია გამზადებული იყო საბრძოლველად, პოლიციის აოფიციალური რეზერვებს ვარშავაში მოუყარეს თავი. პოლიციელები შეიარაღებულნი იყვნენ ტყვიამფრქვევებით და გაზიანი ყუმბარებით. ვარშავის ყველა რაიონებში მთელი დღის განმავლობაში სხვადასხვა ადგილას ხდებოდა დემონსტრანტების შეტაკება პოლიციასთან. პოლონეთის სოციალისტური პარტიის მემარცხენე ფრთამ მთავარ ქუჩაზე — მარშალკოვსკის ქუჩაზე გაიმართა დემონსტრაცია, რომელშიაც მონაწილეობას იღებდა 1.000 კაცი. საღამოს პარისოვის მოედანზე თავი მოიყარა 1.000-მდე დემონსტრანტმა. **პოლიცია გაშიშვლებული ხმლებით შფანტავდა დემონსტრანტებს. მუშებმა ქვები დაუშინეს პოლიციელებს. დაჭრილები** დაუყოვნებლივ მიჰყავდა პოლიციის სასწრაფო დახმარების ეტლებს. ზოგიერთ ადგილას პოლიციამ გამოიყენა ცრემლის მომდენი ყუმბარები. ვლაცლავში კომპარტიისა და პოლონეთის სოციალისტური პარტიის მემარცხენე ფრთის მიერ მოწყობილ დემონსტრაციას თავს დაესხა პოლიცია. პოლიციამ მიმართა ცრემლის მომდენ ყუმბარებს. **ჟირარდოვში რამდენიმე დემონსტრანტი დასჭრეს და რამდენიმეს ძალიან სცემეს. დააპატიმრეს ასამდე დემონსტრანტი.**

როგორც ლოძიდან იუწყებიან, ჯერ არასოდეს 1 მაისს ქალაქში იმდენი პოლიციელებისათვის არ მოუყრიათ თავი, რამდენსაც წელს მოუყარეს. მუშათა რაიონები გარშემორტყმული იყო პოლიციის რაზმებით. მიუხედავად ამისა, ორ მოედანზე მაინც გაიმართა მიტინგები. პოლიციამ იერიში მიიტანა მიტინგებზე. ბევრი დასჭრეს და ბევრს ძალიან სცემეს. (ადს),

ბელგიაში

პარიზი, 3 მაისი. ბრიუსელიდან მიღებული უკანასკნელი ცნობებით, ლიეჟში მომხდარი შეტაკების დროს დაიჭრა 15 მუშა და დაპატიმრებულ იქნა 10 (ადს).

ლატვიაში

რიგა, 3 მაისი. ლატვიის პროვინციალურ ქალაქებში პოლიცია შეუბრალებლად უსწორდებოდა იმ რევოლუციონერ მუშებს, რომლებმაც სცადეს დემონსტრაციებისა და მიტინგების გამართვა. დვინსკში, მიტავაში, ლიბავაში და რეჟიცაში მრავალი მუშა დააპატიმრეს. რიგის საპყრობილეში, გაზეთების სიტყვით, დაიჭრა 15 პოლიციელი, 4 ჯარისკაცი და რამდენიმე ათი პატიმარი. (ადს)

შვეციაში

სტოკჰოლმი, 3 მაისი. სტოკჰოლმის საპირველმაისო დემონსტრაციებში კომპარტიამ გამოიყვანა 2 ათასი კაცი. გოტენბურგში კომპარტიის დროშის ქვეშ დემონსტრაცია გამართა 4.000 მუშამ, ლულეაში—3.000 მუშამ, მალმბერგეტში— 1.500, ბოდენში—1.000. კომპარტიამ ამ დღეს 112 მიტინგი მოაწყო. ლანოზიში 1-ლ მაისს დაარსდა კომპარტიის ახალი ორგანიზაცია (ადს).

ნორვეგიაში

ოსლო, 3 მაისი. ნორვეგიის კომპარტიამ პირველ მაისს დიდი გამარჯვება მოიპოვა. ოსლოში კომუნისტურ დემონსტრაციაში მონაწილეობა მიიღო 2.000 კაცმა, ბერგენში—5.000, ტრონდემში—1.200. შორეულ ჩრდილოეთში მდებარე ტრომზეში კომპარტიის დროშის ქვეშ გამოვიდა 3.000 კაცი. (ადს)

ავსტრიაში

ვენა, 3 მაისი. 1 მაისს პროვინციაში 25 ადგილას გაიმართა კომპარტიის მიერ მოწყობილი გამოსვლები. ამ გამოსვლებში ყველგან მონაწილეობას იღებდა ბევრი სოციალ-დემოკრატი მუშა. პოლიცია აპატიმრებდა ორატორებს. (ადს)

ვენა, 3 მაისი, მიუხედავად აკრძალვისა, ბულგარეთში გაიმართა რამდენიმე დემონსტრაცია. ბევრი დააპატიმრეს. (ადს)

უნგრეთში

ვენა, 3 მაისი. ბუდაპეშტში 30 აპრილს, პირველი მაისის წინა დღეს, პოლიციამ გამართა ქუჩებში თავისი ძალების დემონსტრაცია ჯავშნიანი ავტომობილებით და 17 საბარგო ავტომობილით, რომლებზედაც იდგა ტყვიამფრქვევები, ყუმბარის სასროლები და მცირეყალიბიანი ზარბაზნები. სოციალ-დემოკრატების მიერ გამოცხადებულმა „მუნჯმა გასეირნებამ" მშვიდობიანად და პოლიციასთან სრული თანხმობით ჩაიარა. მთელ გზაზე წითელი ფერის ხსენებაც კი არ ყოფილა. პოლიციამ გაჰფანტა რევოლუციონური ახალგაზრდობის რამდენიმე ჯგუფი. ბევრი დააპატიმრეს და ბევრს სასტიკად სცემეს. რამდენიმე სტამბა 1 მაისს არ მუშაობდა. 2 მაისს, მბეჭდავთა გაფიცვის გამო, გაზეთები მხოლოდ შუადღისას გამოვიდა. (ადს)

სამხრეთ-სლავიაში

ვენა, 3 მაისი, სამხრეთ-სლავიიდან ჯერ კიდევ მიღებული არ არის ცნობები 1 მაისის შესახებ. 1 მაისის წინა დღით ყველა ქალაქებში მოხდა მასიური დაპატიმრება და ჩხრეკა. მოხდა პოლიციის და ჯარის მობილიზაცია. მგზავრებს მატარებლებში გულდასმით სჩხრეკდნენ. (ადს)

იაპონიაში

ტოკიო, 3 მაისი. პირველი მაისის წინა დღეებში პოლიციამ ტოკიოში დააპატიმრა 200 მემარცხენე მუშაკი. პროფკავშირების საპირველმაისო დემონსტრაციაში მონაწილეობა მიიღო 15 ათასმა კაცმა. პოლიციის მიერ მიღებული ზომების მიუხედავად, მემარცხენე პროფკავშირებმა ბევრ ადგილას მოაწყვეს გამოსვლა, რომლის დროსაც **მოხდა შეტაკებები პოლიციასთან.** ტრამვაის 304 მუშამ, რომლებმაც საპირველმაისო დემონსტრაციაში მონაწილეობის მიზნით მუშაობა მიატოვეს, სცადეს თვითმართველობაში შესვლა, მაგრამ გაფანტულ იქნენ პოლიციის მიერ. საპირველმაისო გამოსვლა მოხდა აგრეთვე **კობეში, იოკოგამაში, კიოტოში, კიუშიუში** და სხვა ადგილებში. დემონსტრაციების მონაწილეთა საერთო რიცხვი მთელ **იაპონიაში 100 ათასამდე აღწევდა** (ადს).

ჩინეთში

პეიპინი, 3 მაისი. ძლიერი რეპრესიების გამო პეკინსა და ტიანძინში პირველმა მაისმა უდემონსტრაციოდ ჩაიარა. **სასწავლებლებს, ქარხნებს და ფაბრიკებს ჯარი იცავდა.** ცინდაოში პირველ მაისს ინციდენტი არ მომხდარა. მუშები ამ დღეს საწარმოებში სამუშაოდ არ გამოცხადებულა (ადს).

ბრაზილიაში

ნიუ-იორკი, 3 მაისი. რიო-დე-ჟანეიროში (ბრაზილიის დედა-ქალაქი) საპირველმაისო დემონსტრაციის დროს დააპატიმრეს 12 კომუნისტი (ადს).

მონღოლეთში

ულან-ბატორი, 3 მაისი. საპირველმაისო დღესასწაულმა ულან-ბატორში (მონღოლეთი) დიდი ზეიმით ჩაიარა. დემონსტრაციაში მონაწილეობას იღებდა 15 ათას კაცზე მეტი. გაიმართა კარნავალი, რომელიც გამოხატავდა რევოლუციის გამარჯვებას ფეოდალებისა და ლამების რეაქციაზე (ადს).

ინდო-ჩინეთში

პარიზი, 3 მაისი. როგორც ჰავასის სააგენტო ხაპაიდან (ინდო-ჩინეთი) იტყობინება, ბენტხეიში (ანამი) გაიმართა ადგილობრივ მკვიდრთა საპირველმაისო დემონსტრაცია, რომელშიაც მონაწილეობა მიიღო 1.000 კაცმა. **დემონსტრანტებსა და ადგილობრივ პოლიციას შორის მოხდა შეტაკება. 5 დემონსტრანტი მოჰკლეს, 14 დასჭრეს.** დააპატიმრეს 50 კაცი (ადს).

ინდოეთში

ლონდონი, 5 მაისი. ბომბეიში საპირველმაისო დემონსტრაციაში მონაწილეობა მიიღო 10 ათასმა მუშამ. დემონსტრანტებმა ქუჩები ჩაიარეს ლოზუნგებით: „ძირს იმპერიალიზმი! გაუმარჯოს რევოლუციას!" (ადს)

ავსტრალიაში

ლონდონი, 3 მაისი. როგორც დარვინიდან (ჩრდილოეთი ავსტრალია) იუწყებიან, ჯონ ულდის, რომელიც 1-ლ მაისს უმუშევრებს მეთაურობდა და რომელმაც მთავრობის შენობა დაიჭირა და ზედ წითელი დროშა აღმართა, სამი თვის საპყრობილე მიუსაჯეს. უმუშევრებმა აღფრთოვანებით მიიღეს ულდის გადაწყვეტილება— არ გადაიხადოს ჯარიმა და სასჯელი პატიმრობით მოიხადოს. უმუშევრები ულდის რევოლუციონური სიმღერებით შეეგებნენ. მთავრობის შენობა ჯერ კიდევ უმუშევრების ხელშია, რადგან პოლიციამ ვერ შესძლო მათი იქიდან განდევნა.

საბჭოთა კავშირში

ჩვენი მიღწევების შემოწმების დღე

ლენინგრადი, 4 მაისი. ლენინგრადში 1 მაისს ურიცკის მოედანზე და რევოლუციის მსხვერპლთა მოედანზე გაიმართა წითელი არმიის ნაწილების აღლუმი. აღლუმი მიიღეს ამხ. **კიროვმა, ჩუდოვმა, ალექსეევმა, მაქს ჰელცმა,** პოლონეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრმა ამხ. **ბიტნერმა** და ესტონეთის და ჩინეთის პროლეტარიატის წარმომადგენლებმა. დემონსტრაციამ ჩაიარა ხუთწლიანი გეგმის ოთხ წელიწადში შესრულებისა და წითელი არმიის განმტკიცების ლოზუნგებით. პირველად გამოვიდნენ საპირველმაისო „საჩუქრებით"— ალუმინის ქარხანა, ფაბრიკა-სამზარეულო, ვისკოზის ფაბრიკა და სხვა ახლად ამუშავებული ქარხნები. მრავალრიცხოვანი კარიკატურები გამოხატავდნენ მღვდელს, ბურჟუას, მევახშეს, სამუშაოს გამცდენს და საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ ახალი ომის გამჩაღებელს— რომის პაპს. დემონსტრაცია არაჩვეულებრივად მრავალრიცხოვანი იყო. დემონსტრაციაში მონაწილეობა მიიღო დაახლოებით მილიონმა კაცმა. (ადს)

ენერგოქიმკომბინატის საფუძვლის ჩაყრა

მოსკოვი, 4 მაისი. ბობრიკში, მოსკოვის მახლობლად, 1 მაისს მასიური დემონსტრაციის შემდეგ, საძირკველი ჩაუყარეს ენერგოქიმკომბინატს და ამხ. **სტალინის სახელობის ელექტროსადგურს.** ამ გიგანტების მშენებლებმა მისალმება გაუგზავნეს ამხ. სტალინს.

მრავალრიცხოვანი დემონსტრაციები გაიმართა ვოლოგდაში, ომსკში, ზლატოუსტში, აქტიუბინსკში, კრასნოდარში, იჟევსკში და სხვა ქალაქებში. (ადს)

ფეიქართა გაფიცვა ინგლისში

რეფორმისტებს აშინებს საგაფიცვო კომიტეტის გავლენის ზრდა

ლონდონი, 3 მაისი. ფეიქართა კავშირის მიმართვის საპასუხოდ მექანიკოსთა და ცეცხლფარეშთა პროფკავშირებმა, აგრეთვე მანქანათმშენებლობის მრეწველობის მუშათა გაერთიანებულმა კავშირმა დაადგინეს—გააფრთხილონ მრეწველნი, რომ ერთი კვირის ვადის გასვლის შემდეგ ისინი ყველა თავიანთ მუშებს მოხსნიან საფეიქრო საწარმოებიდან.

კომპარტიის ორგანო „დეილი უორკერ"-ი სწერს, რომ ცენტრალური საგაფიცვო კომიტეტი გაფიცვის დასაწყისშივე მოითხოვდა მექანიკოსების მოხსნას. გაზეთი აცხადებს, რომ რეფორმისტი ლიდერები ამჟამად მხოლოდ იმიტომ მიმართავენ „გაბედულ" ტაქტიკას, რომ ეშინიათ ცენტრალური საგაფიცვო კომიტეტის გავლენის გაძლიერებისა.

გლეხთა აჯანყებები ჩინეთში

ბრძოლა მთავრობის ჯართან

შანხაი, 3 მაისი. გუანდუნში კანის რაიონში ბრძოლაა აჯანყებულ გლეხთა რაზმებსა და მთავრობის ჯარს შორის, აჯანყება მოედო მთელ სანაპირო რაიონს ფუჩაონსა და გუანდუნს შუა. ქალაქ ნანტანს ალყა შემოარტყეს აჯანყებულებმა. ლუნჯოუ-გუანსის რაიონში, სადაც საფრანგეთის სამხედრო ძალებმა დაამხეს ადგილობრივი საბჭოთა მთავრობა, განახლდა წითელი არმიის მოქმედება.

ხუბეის გაზეთები იუწყებიან, რომ ამ პროვინციის თვალსაჩინო ნაწილს მოედო გლეხთა მღელვარება. მარტსა და აპრილში აჯანყება მოხდა ასზე მეტ ადგილას.

დამსჯელი ექსპედიციების ხელმძღვანელებს შეუძლებლად მიაჩნიათ გლეხთა აჯანყებების ჩაქრობა, ვინაიდან პროვინციის მთელი მშრომელი მოსახლეობა აჯანყებულებს თანაუგრძნობს (ადს).

წითელი არმიის ძალები

შანხაი, 3 მაისი. არალეგალური გაზეთი „შანხაი-ბაო", რომელიც შანხაიში გამოდის, იუწყება, რომ ამჟამად **ჩინეთში მოქმედებს 13 წითელი არმია, რომლებშიაც ითვლება სულ 60.000 მებრძოლი.** ამ არმიებს აქვთ 46.000 თოფი, 650 ტყვიამფრქვევი, 180 ზარბაზანი და რამდენიმე აეროპლანი (ადს).

ანტისაბჭოთა ყალბი დოკუმენტების ფაბრიკაცია ამერიკაში

მორიგი პროვოკაცია საბჭ. კავშირის წინააღმდეგ

ნიუ-იორკი, 3 მაისი. ნიუ-იორკის პოლიციის უფროსმა **უოლენმა** პრესას გამოსაქვეყნებლად გადასცა ყალბი წერილების ანაბეჭდები, რომლებითაც უნდა დამტკიცდეს, რომ „ამტორგ"-ი, გაერთიანებული სახელმწიფო პოლიტიკური სამმართველო, საბჭოთა მთავრობა და, კერძოდ, **სკვირსკი** (საბჭოთა საინფორმაციო ბიუროს გამგე ვაშინგტონში) უშუალოდ პასუხისმგებელნი არიან კომუნისტების მოქმედებისათვის შეერთებულ შტატებში. ერთ-ერთი ყალბი დოკუმენტი, რომელიც დაწერილია ვითომ „ამტორგ"-ის ბლანკზე, გაეგზავნა ვითომ „ამტორგ"-ის წარმომადგენელს მოსკოვში, ხოლო წერილის ასლი —კომინტერნს. უოლენი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ, როგორც წერილებიდან სჩანს, სკვირსკის განკარგულებაშია თანხები ფინანსების მისაწოდებლად გაერთიანებულ სახელმწიფო პოლიტიკურ სამმართველოს იმ სექციისათვის, რომელიც ვითომ „ამტორგ"-თან არსებობს.— უოლენი აცხადებს, რომ გაერთიანებულ სახელმწიფო პოლიტიკურ სამმართველოს თავისი განყოფილებები ყველა ქვეყნებში აქვს. ერთი ყალბი დოკუმენტის შინაარსი შემდეგია: წერილი ატყობინებს ვინმე გრაფიენს, რომ კომინტერნის და პროფინტერნის აღმასკომები უბრძანებენ მას ხელახლა გაემგზავროს შეერთებულ შტატებში ამ ორგანიზაციების გენერალურ წარმომადგენლად იმ მიზნით, რომ დაარსოს შტაბი სიეტლში და დაიწყოს არალეგალური მუშაობა.

მეორე „წერილი", რომელიც ვითომ გაუგზავნეს „ძვირფას ამხანაგ საულს" და რომელსაც ვითომ ხელს აწერს აგრეთვე კომინტერნის აღმასკომი, წინადადებას აძლევს საულს—გადასცეს ფული „ამხანაგ ლიზას" ფეიქართა, სამთამადნო მუშათა და ბეწვეულის მუშათა შორის გასანაწილებლად. თავდაპირველად უოლენმა გაზეთებს ინსტრუქცია მისცა —გამოექვეყნებინათ დოკუმენტები 10-12 მაისს, მაგრამ ვინაიდან საპირველმაისო დემონსტრაციებმა ნიუ-იორკში ფართო ხასიათი მიიღეს, ტელეგრაფით აცნობა გაზეთებს—გამოექვეყნებინათ დოკუმენტები 2 მაისს.

ამხ. ბოგდანოვის განცხადება

„ამტორგ"-ის თავმჯდომარემ ბოგდანოვმა უოლენს მიმართა წერილით, რომელშიაც გადაჭრით აცხადებს, რომ პრესაში გამოქვეყნებული დოკუმენტები სრულ სიყალბეს წარმოადგენს. „—„ამტორგ"-ის სახელით გთხოვთ, გულდასმით გამოიძიოთ დოკუმენტების საქმე. „ამტორგ"-ი მზად არის თავის მხრივ ხელი შეუწყოს ამ გამოძიებას. „ამტორგ"-ის საქმიანობას მისი დაარსების მომენტიდან —1924 წლიდან— ყოველთვის წმინდა სავაჭრო ხასიათი ჰქონდა". (ადს)

ბოგდანოვი ხაზს უსვამს ამერიკა- საბჭოთა კავშირის ვაჭრობის და იმ კრედიტების დიდ მნიშვნელობას, რომელიც მიეცა „ამტორგს". იგი სწერს:

„პრესაში ჩვენი განცხადების და ყალბი დოკუმენტების ფოტოგრაფიული სურათების გამოქვეყნებას **შეუძლია საგრძნობი ზიანის გამოწვევა როგორც ჩვენთვის, ისე მრავალ ამერიკულ ფირმისათვის, რომლებთანაც ჩვენ სავაჭრო საქმეები გვაქვს".**

ყველა გაზეთები თვალსაჩინო ადგილას ათავსებენ ყალბ დოკუმენტებს.

როგორც ვაშინგტონიდან იტყობინებიან, საბჭოთა საინფორმაციო ბიუროს გამგე სკვირსკიმ პრესის წარმომადგენლებთან საუბარში აღნიშნა, რომ გამოქვეყნებული დოკუმენტები აშკარად ყალბია და იმედი გამოთქვა, რომ მთავრობა დაწვრილებით გამოიძიებს საქმეს. სკვირსკიმ უარჰყო საბჭოთა საიდუმლო ფონდების არსებობა. სკვირსკის სიტყვით, მას აქვს არაოფიციალური ინფორმაცია იმის შესახებ, რომ ყალბ დოკუმენტებს, რომლებიც დამზადებულია ამერიკა- საბჭოთა კავშირის ურთიერთობის ჩაშლის მიზნით, გასასყიდათ იძლეოდნენ ნიუ-იორკში. „ახალი ანტი-საბჭოთა ყალბი დოკუმენტები,— სთქვა სკვირსკიმ, —როგორც სჩანს, წარმოადგენენ იმ ანტი-საბჭოთა ყალბი საბუთების ჯაჭვის რგოლს, რომელნიც დაამზადეს ზოგიერთმა რუსმა თეთრგვარდიელმა ემიგრანტებმა".

ჩრდ.-ამერიკის შეერთებული შტატების კომპარტიის ც. კ-მა გამოაქვეყნა განცხადება, რომელშიაც აღნიშნავს, რომ დოკუმენტები წარმოადგენენ სულელურ და დანაშაულებრივ სიყალბეს. ჩრდილოეთ- ამერიკის შეერთებული შტატების კომპარტია არ იცნობს კომინტერნის ფარულ აგენტებს რომელიმე საბჭოთა ორგანიზაციაში. უსირცხვილო სიცრუეს წარმოადგენს იმის მტკიცება, თითქოს კომპარტიას და კომუნისტურ პრესას მიეღოს სუბსიდია რომელიმე ფირმისაგან ან დოკუმენტებში აღნიშნულ რომელიმე წყაროდან.

შემდეგ ცენტრალური კომიტეტის განცხადებაში აღნიშნულია, რომ ყალბი დოკუმენტების შემდგენთ შეცდომები დაუშვიათ წერილების ბლანკების სათაურებში, ვინაიდან „კომინტერნის აღმასკომის ამერიკის სექცია" არ არსებობს, არ არსებობს არც ფეოდოროვი, რომელმაც ვითომ ხელი მოაწერა დოკუმენტებს. მხოლოდ უმეცარმა თეთრგვარდიელმა შეიძლება არ იცოდეს, რომ კომინტერნის ამერიკის სექციის ხელმძღვანელობას ასრულებს ჩრდილოეთ- ამერიკის შეერთებული შტატების კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი, ხოლო ისეთი ორგანიზაცია, როგორიც არის „კომპარტიის ამერიკის კომიტეტი", საერთოდ არ არსებობს.

განცხადება ხაზგასმით აღნიშნავს, რომ დოკუმენტები ააშკარავებენ მათი ავტორების მიერ ამერიკის ეკონომიური პირობების არ ცოდნას.

შემდეგ განცხადებაში აღნიშნულია, რომ კომინტერნი და პროფინტერნი არასოდეს არ იძლევიან საერთო მანდატებს. დასასრულ აღნიშნულია, რომ დოკუმენტების გამოქვეყნება წარმოადგენს ანტისაბჭოთა კამპანიის ნაწილს. (ადს)

ნიუ-იორკი, 3 მაისი. სახელმწიფო დეპარტამენტმა (გარეშე საქმეთა სამინისტრო) გამოაქვეყნა შემდეგი განცხადება:

„დეპარტამენტს არა აქვს ცნობები იმის შესახებ, რომ „ამტორგი" შეერთებულ შტატებში მონაწილეობას იღებდეს რაიმე საპროპაგანდო მოქმედებაში".

ასეთივე განცხადება გამოაქვეყნა იუსტიციის სამინისტრომ.

„ნიუ-იორკ ტაიმს"-ი სწერს, რომ გამოქვეყნებული დოკუმენტები ზინოვიევის წერილს გვაგონებენო. ამავე დროს გაზეთების უმრავლესობამ გამოაქვეყნა ყალბი დოკუმენტების ისტორია და დაურთო მას „დოკუმენტების" ტექსტი.

„ჯორნალ ოფ კომერს"-მა მთელ ამ ისტორიას უძღვნა 23 სტრიქონი და მოათავსა ეს ცნობა შეუმჩნეველ ადგილას, ამასთან ამ 23 სტრიქონში ყველაზე მეტი ადგილი დაუთმო ბოგდანოვის უარყოფას.

„უოლსტრიტ ჯორნალ"-ს სულ არ გამოუქვეყნებია ყალბი დოკუმენტების ისტორია.

„ნიუ-იორკ უორლდ"-ი აქვეყნებს „დოკუმენტებს" და სკვირსკის, ბოგდანოვის და კომპარტიის უარყოფას. ამასთან გაზეთი სწერს: კარგად გაცნობის შემდეგ აღმოჩნდა, რომ დოკუმენტებში წინააღმდეგობაა, რაც ეჭვს ბადებს მათ სინამდვილეში.

ლონდონი, 3 მაისი. პრესა ფართოდ აშუქებს ნიუ-იორკის ისტორიას „მოსკოვის შეთქმულების შესახებ" ნიუ-იორკის პოლიციის უფროს უოლენის მიერ ყალბი დოკუმენტების გამოქვეყნებასთან დაკავშირებით.

კონსერვატიულ პრესას დოკუმენტები სინამდვილედ მიაჩნია. ლიბერალური პრესა და მუშათა პარტიის ორგანო „დეილი ჰერალდი" კრიტიკულ პოზიციას ადგიან (ადს).

ჩინელი გენერლები ჩან კაი-შის მთავრობის წინააღმდეგ

ენ სი-შანის მემორანდუმი

პეიპინი, 3 მაისი. საგარეო საქმეთა სამინისტროს პეიპინის ბიუროს მეთაურმა, ენ სი-შანის დავალებით, უცხოეთის გაზეთების წარმომადგენლებს გადასცა შემდეგი შინაარსის მემორანდუმი:

1. ენ სი-შანსა, ფინ იუი-სიანსა და ვან ტინ-ვეის შორის არსებობს თანამშრომლობა. გომინდანის სხვადასხვა დაჯგუფების ხელმძღვანელები გაერთიანდნენ იმ მიზნით, რომ დაამხონ **ჩან კაი-ში** და შექმნან მთლიანი პარტია, რომელშიც შევლენ ყველა დაჯგუფებანი. პარტიის ორგანიზაცია მალე დამთავრდება და დაარსდება კანონიერი მთავრობა. ენ სი-შანი წინააღმდეგია დროებითი სამხედრო მთავრობისა და ცდილობს, რომ პეიპინში შეიქმნას ახალი კანონიერი მთავრობა.

2. ენ სი-შანი კმაყოფილებას გამოსთქვამს **მო დე-გუის** მოსკოვში გამგზავრების გამო და აცხადებს, რომ აღმოსავლეთ- ჩინეთის რკინის გზის საკითხის გადაწყვეტა ადრევე შეიძლებოდა, ამასთან ისე, რომ არ მომხდარიყო სამწუხარო სამხედრო შეტაკება. ნანკინი ფრთხილად უნდა მოქცეულიყო. **უგნურება იქნება—ჩინეთმა უთანხმოება ჩამოაგდოს უცხო სახელმწიფოსთან, განსაკუთრებით კი მეზობელ რუსეთთან.** გეოგრაფიულად რუსეთი და ჩინეთი მჭიდროდ არიან ერთმანეთთან დაკავშირებული. მაგრამ ჩან კაი-შიმ და **ვან-ჩენ-ტინმა** შარშან აქ, პეიპინში, გადაწყვიტეს— დასდგომოდნენ პროვოკაციული რეპრესიების გზას. მათ ხარბინს ინსტრუქცია გაუგზავნეს **ემშანოვისა** და მისი თანაშემწის ჩინეთიდან განდევნის და ჩინეთისა და საბჭოთა კავშირს შორის საომარი განწყობილების შექმნის შესახებ. ნანკინს ამ შემთხვევაში უნდოდა მუკდენის დასუსტება და მასზე თავისი ხელისუფლების გავრცელება, მაგრამ გეგმა ჩაიფუშა და ნანკინმა ამის ნაცვლად მთელი ჩინეთის ზიზღი დაიმსახურა. მო დე-გუის მოქმედების თავისუფლება მიეცა და იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ მისი მისია წარმატებით დამთავრდება.

3. ენ სი-შანი მწუხარებას გამოსთქვამს, რომ იაპონიამ გამოიყენა ჩინეთის ახლანდელი გაჭირვებული მდგომარეობა და ამას წინად დადებულ ჩინეთ-იაპონიის საბაჟო შეთანხმებაში განსაკუთრებული სარგებელი და უპირატესობა მოიპოვა. ენ სი-შანი იმედოვნებს, რომ ამ შეთანხმების პირობები გაზეთებში სისწორით არ იყო გამოქვეყნებული. ამჟამად სიხსიაში, ხენანის პროვინციის ჩრდილოეთ ნაწილში, ენ სი-შანსა და ფინ იუი-სიანს შორის სწარმოებს თათბირი. როგორც ფიქრობენ, ეს თათბირი დააჩქარებს მოქმედებას ნანკინის წინააღმდეგ. (ადს)

თეთრგვარდიელები თავს იმართლებენ

თეთრგვარდიელ ემიგრანტთა გაზეთი საბჭოთა საელჩოს აფეთქების ცდის შესახებ

ვარშავა, 3 მაისი. თეთრგვარდიელ ემიგრანტთა გაზეთი „ზა სვობოდუ" ათავსებს სენსაციურ წერილს საბჭოთა კავშირის ვარშავის სრულუფლებიანი წარმომადგენლობის აფეთქების ცდის შესახებ. გაზეთი გადაჭრით აცხადებს:

„ჩვენ სავსებით დარწმუნებულნი ვართ, რომ რუსი ემიგრანტები აქ არაფერ შუაში არიან. მაგრამ აქედან ის არ გამოდის, რომ აფეთქების ცდაში არ ერიენენ ემიგრანტთა რომელიმე სხვა ჯგუფები, რომელთაც თავშესაფარი ჰპოვეს პოლონეთის ტერიტორიაზე. დამნაშავენი აღმოჩენილ უნდა იქნან, რათა ერთხელ და სამუდამოდ გაიწმინდოს ატმოსფერო. მაგრამ წინდაწინვე სავსებით გულახდილათ ვიტყვით,—სწერს „ზა სვობოდუ",— რომ ნამდვილ დამნაშავეთა აღმოჩენა არც თუ ისე ადვილია ისეთი მიზეზების გამო, რომლებზედაც ლაპარაკი შესაძლებლად არ მიგვაჩნია".

ამ წერილის დასკვნები თავისთავად ცხადია. ჯერ—ერთი, „ზა სვობოდუ" განზრახ ხაზგასმით აღნიშნავს, რომ მას აქვს გარკვეული ცნობები აფეთქების ცდისა და მისი მონაწილეების შესახებ, ხოლო მეორეს მხრივ— გაზეთის სიტყვებიდან ცხადად სჩანს, რომ იგი დამნაშავეებს ეძებს უკრაინელთა წრეებში. საფიქრებელია, რომ „ზა სვობოდუ" აცნობებს საგამომძიებლო ორგანოებს ყველაფერს, რაც იცის, მაგრამ რის პრესაში გამოქვეყნებაც მას შეუძლებლად მიაჩნია. (ადს)

პოლონეთ-გერმანიის ურთიერთობა

კანონპროექტი გერმანია -პოლონეთის სავაჭრო ხელშეკრულების შესახებ

ბერლინი, 3 მაისი. მინისტრთა კაბინეტმა მიიღო და რეიხსტაგს გადასცა კანონპროექტი გერმანია-პოლონეთის სავაჭრო ხელშეკრულების შესახებ. (ადს)

ინდუსტრიალიზაციის გიგანტი ამიერ-კავკასიაში

სპილენძის სადნობი ქარხნის მშენებლობაზე დაიხარჯება 37.500 ათასი მან.

მოსკოვი, 4 მაისი. „ცვეტმეტზოლოტო"-ს გამგეობის ექსპერტმა ამიერ-კავკასიის სპილენძის სადნობი ცენტრალური ქარხნის მშენებლობის საკითხში ამხ. **სომხნოვმა** საბჭოთა კავშირის დეპეშათა სააგენტოს თანამშრომელს გადმოსცა დაწვრილებითი ცნობები „ზაკმედსტროი"-ს (ამიერ-კავკასიის სპილენძის მრეწველობის მშენებლობის) სამრეწველო დავალების შესახებ, რომლის პროექტის შედგენასაც უკვე შეუდგა „გოსპრომცვეტმეტ"-ი.

ამიერ-კავკასიის ლითონის სადნობმა ცენტრალურმა ქარხანამ ალავერდში წლიურად უნდა გამოიმუშაოს 15 ათასი ტონა ელექტროლიტური სპილენძი. ქარხნის სანედლეულო ბაზა იქნება ზანგეზურის და ალავერდის სპილენძის საბადოები. მომავალში, ამიერ- კავკასიის სპილენძის საბადოების დეტალურად გამოკვლევის შემდეგ, ქარხანა გაფართოებული იქნება 50 ათასი ტონა სპილენძის წარმოებამდე წლიურად. საწარმოს გაფართოებისათვის სანედლეულო ბაზებად დასახულია ლორიბეკის, ქედაბეკის, ლენინაკანის, ზემო-რაიონის და სხვა საბადოები. გადასწყდა, დაჩქარდეს ამიერ-კავკასიის სპილენძის საბადოების გამოკვლევა, რაზედაც ხუთწლედის დამლევამდე უნდა დაიხარჯოს 12 მილიონი მანეთი. ალავერდის ქარხნისათვის ელექტრო-ენერგიის მისაწოდებლად ერთ ჯგუფად შეერთდება სომხეთის ყველა ელექტრო-სადგურები. ქარხნის ღირებულება განსაზღვრულია 37.000.000 მანეთით. ქარხანა უნდა ამუშავდეს 1932-33 წელს. ნარჩენი გაზების გამოსაყენებლად, სპილენძის სადნობ ქარხანასთან ერთად აიგება გოგირდმჟავას ქარხანა, რომელიც წლიურად 40 ათას ტონას გოგირდმჟავას დაამზადებს. ამიერ-კავკასიაში სპილენძის დამმუშავებელი ქარხნის აგების საკითხი ჯერ-ჯერობით ღიად არის დატოვებული, მაგრამ ალავერდის სპილენძის სადნობი ქარხნის სამრეწველო დავალების განხილვის დროს მხედველობაში მიღებული იყო, რომ სპილენძის დამმუშავებელი ქარხანა აგებული იქნება თბილისში. (ადს)

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩვენი ბეჭდვითი სიტყვა დიად სამუშაოთა გეგმის შესრულებისათვის ბრძოლაში

საწარმოო-საფინანსო გეგმა ჩვენი გაზეთის ფურცლებზე

საბჭოთა პრესა სოციალისტური მშენებლობის ორგანიზატორია. პრესა ჩვენს პირობებში არის არა მარტო აგიტატორი, არამედ მშრომელი მასების წინამძღოლი მძიმე და საპატიო საქმის — ახალი ქვეყნის მშენებლობის აქტიური მონაწილე. ეს უკვე წინასწარ განსაზღვრავს საბჭოთა გაზეთის შინაარსს, ფორმას, ენას და სხვ. არ უნდა დარჩეს ჩვენი სინამდვილის არც ერთი მხარე, რომელიც გაშუქებული არ იქნება საბჭოთა გაზეთის ფურცლებზე. ნაკლოვანებათა დაუზოგავი მხილება, მიღწევათა სწორი აღნუსხვა და მათი პოპულარიზაცია — აჰა, ასეთია ჩვენი ბეჭდვითი სიტყვის მოვალეობა.

თავისთავად ცხადია, რომ ამ პირობებში, მრეწველობას, როგორც სოციალისტური მეურნეობის წინამძღოლ დარგს, პრესა განსაკუთრებულ ყურადღებას უნდა უთმობდეს. მომეტებით ეს უნდა ითქვას საბჭოთა აღმშენებლობის მიმდინარე პერიოდზე, როცა ხდება მთელი სახალხო მეურნეობის სოციალისტური რეკონსტრუქცია, როცა მრეწველობის და სოფლის მეურნეობის დარგში ისახება განვითარების უდიდესი ამოცანები. ცხადია, ამ ამოცანათა გადაჭრა ხდება გაფთრებული ბრძოლით წინააღმდეგობათა დაძლევისათვის, ცხადია, ეს დიდი მუშაობა მოითხოვს ქვეყნის ყველა სასიცოცხლო ძალთა დაჭიმვას, მთელ ჩვენ შესაძლებლობათა მაქსიმალური მიზანშეწონილობით გამოყენებას. ეს პირველ ყოვლისა შეეხება მრეწველობას. საბჭოთა კავშირის ინდუსტრიალიზაცია წვრილ — გლეხურ მეურნეობათა ვეებერთელა ინდუსტრიალურ - აგრარულ ქვეყნად გარდაქმნა, აი ის უდიდესი ამოცანა, რომელიც სდგას ჩვენი მრეწველობის წინაშე.

გაზეთის დანიშნულებაა ფხიზლად ადევნოს თვალყური მრეწველობის წინსვლას, დროზე აღნიშნოს მისი მტკივნეული მხარეები, სააშკარაოზე გამოიყვანოს ყველა ისინი, ვინც ბოროტი განზრახვით, თუ ჩვეულებრივი დაუდევრობით აბრკოლებს მრეწველობის განვითარებას, თითეული საწარმოო ერთეულის მიღწევა გაუზიაროს მეორე საწარმოს. ყოველივე ამას გაზეთი შესძლებს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მას მჭიდრო, ცოცხალი კავშირი ექნება მრეწველობასთან, თუ ის დარაზმავს თავის გარშემო მუშკორთა მასებს. როგორია ამ მხრივ ჩვენი გაზეთის — „კომუნისტი"-ს ნაკლი და მიღწევები? საჭიროა გადაჭრით აღინიშნოს, რომ ჩვენ ვერ დავიკვეხნით დიდი მიღწევებით. მიუხედავათ იმისა, რომ ჩვენი გაზეთი სისტემატიურად და საკმაოდ დიდ ადგილს უთმობს მრეწველობის საკითხებს, ამ საკითხების გაშუქება თავის სიმაღლეზე არ დგას. და ეს უმთავრესად იმიტომ, რომ არ კმარა მარტო ნაკლოვანებათა და მიღწევების აღნუსხვა, არ კმარა მხოლოდ ბოროტების ჩამდენთა გამომჟღავნება, საჭიროა საქმის ბოლომდე მიყვანა, საჭიროა იმის შემოწმებაც, თუ რა გაკეთდა გაზეთის ფურცლებზე გამოტანილ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად, რა ზომებია მიღებული გაზეთის მიერ დასახულ ღონისძიებათა განსახორციელებლად. მოკლედ, მთავარია შესრულების შემოწმება. როცა ასეთი საზომით ვუდგებით ჩვენი გაზეთის როლს მრეწველობის საკითხების გაშუქებაში, უნდა ვაღიაროთ, რომ გასაკეთებელი ამ მხრივ ჯერ კიდევ ბევრზე ბევრი დაგვრჩენია.

რით არის გამოწვეული ის გარემოება, რომ შესრულების შემოწმება დამაკმაყოფილებლად ვერ მიმდინარეობს? ამის მიზეზი ერთი მხრივ, უნდა ვეძიოთ თვით გაზეთის აპარატის მოუქნელობაში და მეორე მხრივ, სათანადო ადგილობრივ ორგანიზაციების უყურადღებობაში იმ საჭირბოროტო საკითხებისადმი, რომელნიც პრესას გამოაქვს პროლეტარულ საზოგადოებრიობის სამსჯავროზე.

ყველა მთავარი საკითხები, რომელნიც ამჟამად სდგას მრეწველობის წინაშე, ავით თუ კარგად, პოულობენ ადგილს ჩვენი გაზეთის ფურცლებზე.

ბრძოლა საწარმოო - საფინანსო გეგმის შესრულებისათვის — აი ის ძირითადი ლოზუნგი, რომელიც წითელი ზოლივით არის გავლებული მრეწველობაზე გასულ ყოველ მასალაში. ამასთან დაკავშირებით ჩვენ დიდ ყურადღებას ვაქცევდით საწარმოო საფინანსო გეგმების მაქსიმალურ დეცენტრალიზაციას, თვითეულ საწარმოსთვის, ცეხის, ბრიგადისა და დაზგისათვის საკუთარ საწარმოო გეგმის შედგენას. მიუხედავათ იმისა, რომ ამ საკითხზე საკმაოზე მეტი დაიწერა, გეგმის დანაწილება ცეხებსა და დაზგებს შორის ჯერ კიდევ არ არის განხორციელებული. ან უკეთეს შემთხვევაში ის მხოლოდ კანცელარიული წესით ჩატარდა. მუშათა მასები არ იცნობენ თავის საწარმოს გეგმას მთლიანად, მათ არ იციან ის ვალდებულებანი, რომელნიც გეგმის თანახმად ეკისრება თვითეულ დაზგას. მხოლოდ თბილისის ფეხსაცმელების ფაბრიკამ და კიდევ რამდენიმე სხვა საწარმომ ჩაატარა გეგმის ასეთი დანაწილება. რასაკვირველია, ამ პირობებში ძნელია ლაპარაკი საწარმოო-საფინანსო გეგმის წარმატებით შესრულებაზე. და თუ საქართველოს მრეწველობამ მთლიანად ვერ შეასრულა ნახევარი სამეურნეო წლის გეგმა, ეს, სხვათა შორის, იმასაც მიეწერება, რომ არ ყოფილა მიღებული საჭირო ზომები საწ.-საფ. გეგმის დეცენტრალიზაციის მოსახდენად და მის გასაცნობად მუშათა ფართო მასებისათვის.

ასეთივე სურათია დანაკარგებთან ბრძოლის დარგში. ზედმეტია იმის მტკიცება, თუ რა განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ამ დიდძალ სახალხო დოვლათის დაცვას, რომელიც უყაირათო მუშაობის გამო აკლდება ჩვენს მეურნეობას დანაკარგების სახით. პარტიულ და სათანადო სამეურნეო ორგანოების დირექტივები დანაკარგებთან ბრძოლის შესახებ საკმაოდ ფართოდ იქნა გაშუქებული ჩვენს გაზეთში. აღინიშნა, რომ მრეწველობის თითქმის არც ერთი დარგი, გარდა ტყის მრეწველობის ცალკე ქარხნებისა, საჭირო ენერგიით არ ეკიდება ამ საქმეს. მაგრამ მდგომარეობა დღემდე უცვლელი რჩება. ამავე დროს ჩვენ დავინახეთ, თუ რა დიდ მატერიალურ ეფექტს იძლევა დანაკარგებთან ბრძოლა იქ, სადაც ამ საკითხს საჭირო ყურადღება ექცევა. ამის მაგალითებს მოგვცა მცხეთის სახერხ, ბორჯომის სატყეო და თბილისის ავეჯეულობისა და ფანერის ქარხნებმა.

თუ რამდენად გულგრილად ეკიდებიან დანაკარგებთან ბრძოლას ფაბრიკა - ქარხნები, ეს იქიდანაც სჩანს, რომ დღემდე ვერ მოხერხდა დანაკარგებთან ბრძოლის გამოფენის მოწყობა. სამეურნეო ორგანიზაციები აგვიანებენ ექსპონატების გამოგზავნას გამოფენისათვის, აგვიანებენ ცნობების მოწოდებას იმის შესახებ, თუ რა კეთდება მათ საწარმოებში დანაკარგების შესამცირებლად, რადგან არსებითად ეს ამოცანა უყურადღებოთ არის მიტოვებული, ის სასხვათაშორისო საქმედ არის მიჩნეული.

არა ნაკლები ყურადღება ეთმობოდა ჩვენი გაზეთის ფურცლებზე ერთმმართველობის განხორციელების საკითხს. ჩვენ გვქონდა შემთხვევა აღგვენიშნა, რომ ისეთ დიდ მეურნეობაში, როგორიც არის რკინის გზის ტრანსპორტი, ერთმმართველობის დირექტივა დავიწყებას არის მიცემული. ჯერ-ჯერობით ამ ხაზის გამოსასწორებლად პრაქტიკული ზომები არაა მიღებული. მარტო ცირკულიარები, მოხსენებები და რეზოლიუციები საქმეს არ შველის. ფორმალურად თითქოს ყველგან გატარდა ერთმმართველობა, ნამდვილად კი ძველი უთადარიგობა მრეწველობის ადმინისტრატიული ხელმძღვანელობის დარგში ისევ გრძელდება. რეკორდი ამ მხრივ დაამყარა აბრეშუმის მრეწველობის და ხე-ტყის მრეწველობის ზოგიერთ ქარხნებმა. ასეთი მდგომარეობა, თავისთავად ცხადია, დიდ დაბრკოლებებს ქმნის მრეწველობის განვითარების დარგში.

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს პარტიის დირექტივა პროდუქციის თვითღირებულების შემცირების შესახებ. უდაოა, თუ რა დიდი და მრავალმხრივი მნიშვნელობა აქვს ამ დირექტივის განხორციელებას ჩვენი მეურნეობის წინსვლისათვის. პრესა ამ საკითხებსაც შეუნელებელ ყურადღებას უთმობდა. როგორ შეასრულა ჩვენმა მრეწველობამ დავალება თვითღირებულების შემცირების შესახებ? მდგომარეობა ამ მხრივ მეტად არადამაკმაყოფილებელია. შემჩნეულია, რომ პროდუქციის რაოდენობითი გადიდების ამოცანამ დაჩრდილა თვითღირებულების შემცირების საკითხი. ბევრ შემთხვევაში პროდუქციის რაოდენობითი ზრდა იწვევდა თვითღირებულების ზრდასაც. ასეთი შემთხვევა ჩვენ აღვნიშნეთ სენაკის ფეხსაცმელების ფაბრიკიდან. აქ პროდუქციის გამომუშავება გაიზარდა 20 პროცენტით, მაგრამ თვითღირებულებამაც ამდენივე მოიმატა. საერთოდ კი, როგორც ჩვენ უკვე ვწერდით, ტრესტებმა და საწარმოებმა დაამახინჯეს საკავშირო კომპარტიის ცენტრ. კომიტეტის დადგენილება თვითღირებულების შემცირების შესახებ, თვითნებურათ დააწესეს საკონტროლო ციფრები. ეს გარემოება საქ. სახ. მეურნ. უმ. საბჭომ მხოლოდ ხუთი თვის შემდეგ შენიშნა. და ეს შემცირებული საკონტროლო ციფრებიც კი ვერ შეასრულა საქ. მრეწველობამ.

ასეთივე სურათი გვაქვს პროდუქციის ხარისხობრივად გაუმჯობესების დარგში. წუნდადებული პროდუქცია თითქმის ყველა საწარმოებში გაიზარდა. ამ შემთხვევაშიაც პროდუქციის რაოდენობითი ზრდა ბევრგან ნამუშევარის ხარისხის ხარჯზე ხდება. ამას ყველაზე მწვავედ გრძნობენ მომხმარებელნი. ამ მხრივ მეტად დამახასიათებელია ჩვენ მიერ უკვე აღნიშნული ფაქტი — ბაქოელ მუშების წერილი ორთქლმავალთა და ვაგონების შემკეთებელ სტალინის სახელობის ქარხნის მუშებისადმი. ზედმეტი არ იქნება ამ წერილის ზოგიერთი ადგილების განმეორებით მოყვანა:

„ყველა კაპიტალურად შეკეთებული ორთქლმავლები,—ამბობენ ბაქოელი მუშები თავიანთ წერილში,—რომლებიც თქვენგან მივიღეთ, ამუშავებისთანავე ფუჭდებიან. ჩვენ ხელახლა გვიხდება მათი შეკეთება და მთელ რიგ დაუშვებელ დეფექტების გამოსწორება. უმთავრესი დეფექტებია: წყალის დენა ორთქლმავლების ნაკერავებიდან, ტენდერის ცუდი შეკრება, ელემენტების არადამაკმაყოფილებლად დადგმა და სხვ.".

სტალინის სახელობის ქარხანა გამონაკლისს არ შეადგენს. ბრძოლა პროდუქციის ხარისხობრივად გაუმჯობესებისათვის ჩვენი მრეწველობის პირველი ამოცანაა. აქეთკენ უნდა იქნას მიქცეული მომავალში ჩვენი პრესის განსაკუთრებული ყურადღებაც.

თავისთავად იგულისხმება, რომ ყველა ზემოჩამოთვლილი ამოცანები, მხოლოდ იმ შემთხვევაში გადაიჭრება წარმატებით, თუ ამ ამოცანების ირგვლივ აქტიურად დავრაზმავთ მუშათა მასებს. ამ შემთხვევაში სოციალისტური შეჯიბრება ის საუკეთესო ძლიერი საშუალებათაგანია, რომელიც ხელს უწყობს მუშათა შემოქმედებითი ინიციატივის კიდევ უფრო გაშლას და მასების შრომითი ენტუზიაზმის გაღვივებას. ცხადია, ამ გარემოებას ჩვენი გაზეთი დიდ ანგარიშს უწევდა. სოციალისტური შეჯიბრების საკითხები ფართოდ შუქდებოდა და შუქდება. განსაკუთრებული ყურადღება ექცეოდა კონკრეტულ მიღწევებს ამ დარგში. ამჟამად, როცა სწარმოებს სოციალისტური შეჯიბრების შედეგების შემოწმება, ჩვენ გამოვყავით საკუთარი მუშათა ბრიგადები, რომელნიც შეუდგნენ სოცშეჯიბრების შედეგების შემოწმებას სხვადასხვა სამრეწველო პუნქტებში. მაგრამ ყოველივე ეს საკმაო არაა. სოცშეჯიბრების დარგში ჯერ კიდევ მრავალი ნაკლი გვაქვს. ჯერ კიდევ არ არის აღმოფხვრილი ცრუდამკვრელობის საკმაოდ გავრცელებული შემთხვევები, საჭირო რაოდენობით და აქტივობით არ არიან ჩაბმული სოცშეჯიბრებაში მუშათა მასები და ადმინისტრატიულ - ტეხნიკური პერსონალი. შეჯიბრება ბევრგან კიდევ არ გადაქცეულა სოციალისტური შრომის ნამდვილ მეთოდათ. ეს ერთხელ კიდევ ცხადჰყო სოცშეჯიბრების შედეგების შემოწმებამ.

ჩვენი მრეწველობის ყველა ზემოთჩამოთვლილი დაბრკოლებანი მოწმობენ, რომ აქ საქმე გვაქვს არა იმდენად ეგრედ წოდებულ ობიექტიურ დაბრკოლებებთან, რამდენადაც საკუთარ უინიციატივობასა და უმოქმედობასთან, საკუთარ უხეირო მუშაობასთან, ორგანიზაციულ შეუსაბამობასთან და სხვ. ადგილობრივ სამეურნეო მუშაკებთან ერთად პრესამაც უნდა გაიზიაროს დანაშაული ასეთ მდგომარეობისათვის. მთელი ძალღონე უნდა დავჭიმოთ ამ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად. ყველა მათი გადალახვა შესაძლებელი და აუცილებელია. ჩვენ შეგვწევს სამისო ძალა, საჭიროა მხოლოდ მეტი თაოსნობა, მეტი სიმტკიცე და დაუნდობლობა წინააღმდეგობათა დაძლევისათვის ბრძოლაში.

ბეჭდვითი სიტყვის დღეს, 5 მაისს, ჩვენი პრესა თავის დიდ საპასუხისმგებლო მოვალეობას საბჭოთა ინდუსტრიალიზაციის დარგში ერთხელ კიდევ მთელი თავისი მნიშვნელობით ითვალისწინებს და ყოველ ზომებს მიიღებს ამ მოვალეობის სასახელოდ შესრულებისათვის. ეს კი სავსებით დამოკიდებულია მთელი საბჭოთა საზოგადოებრივობის, პირველ რიგში კი მრეწველობის თვითეული მუშაკის უნარზე და აქტივობაზე ჩვენი საფაბრიკო-საქარხნო მეურნეობის განვითარებისათვის ბრძოლაში.

მრეწველობის სექტორი

ჩვენი გაზეთი და გაზაფხულის სასოფლო-სამეურნეო კამპანია

მზადებას გაზაფხულის სასოფლო-სამეურნეო კამპანიისათვის ცენტრალური ორგანიზაციები შეუდგნენ დეკემბრის პირველ ნახევარში. ამავე დროიდან შეუდგა სამზადისს ჩვენი რედაქციაც. რედაქციამ კავშირი შეჰქმნა ყველა იმ ორგანიზაციებთან, რომლებიც ჩაბმული არიან გაზაფხულის კამპანიაში, და სისტემატიურად აშუქებდა მათ მუშაობას.

17 დეკემბრიდან გაზაფხულის სასოფლო-სამეურნეო კამპანიას „კომუნისტი"-ს ფურცლებზე ეთმობა სპეციალური კუთხე, სადაც ყოველდღე იბეჭდება კამპანიასთან დაკავშირებული მასალები. პირველი ორი განყოფილება მთლიანად მიძღვნილი იყო სოფლად 1,000 სამრეწველო მუშის გაგზავნისათვის. აქედან მოკიდებული გაზაფხულის კამპანია უმთავრეს განყოფილებად ხდება ჩვენს გაზეთში. არ ყოფილა სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციის და თესვის კამპანიის არც ერთი საკითხი, რომელსაც არ შეხებოდეს ჩვენი გაზეთი. გაზეთი ბეჭდავდა სახელმძღვანელო მასალებს ამ საკითხებზე და აგრეთვე ამხელდა მოსამზადებელი მუშაობის ყველა ნაკლსა და შეცდომებს.

მოსამზადებელი მუშაობის გაფართოებასთან და საკოლმეურნეო მოძრაობის გაძლიერებასთან ერთად ჩვენი გაზეთიც აფართოვებს მუშაობას. თუ პირველ ხანებში გაზაფხულის კამპანიას გაზეთში ეთმობოდა სპეციალური კუთხე (დაახლოვებით 300—400 სტრიქონი), 21 იანვრიდან უკვე კამპანიის საკითხებს ეთმობა მთელი გვერდი. ამ დღიდან გაზეთის ერთი მეოთხედი ნაწილი ყოველდღე უძღვნის სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციის და თესვის საკითხებს. აქედან სჩანს, თუ რაოდენ მნიშვნელობას აძლევს რედაქცია გაზაფხულის სასოფლო- სამეურნეო კამპანიას.

რა გავაკეთეთ ჩვენ დღემდე?

კონკრეტულად ჩვენი მონაწილეობა კამპანიაში გამოიხატება შემდეგში: კამპანიის დაწყებიდან 1 მაისამდე „კომუნისტი"-ს გაზაფხულის კამპანიის განყოფილებაში დაიბეჭდა 1106 დეპეშა კოლექტივიზაციის ფრონტიდან, 479 კორესპონდენცია ადგილებიდან, 152 სახელმძღვანელო მასალები და წერილები და 827 სხვადასხვა მასალები.

მაგრამ მარტო ამით არ ამოიწურებოდა ჩვენი მონაწილეობა კამპანიაში. გარდა იმისა, რომ ჩვენ ყოველდღე ვაშუქებდით კამპანიის მიმდინარეობას და ვეხებოდით სხვადასხვა საჭირბოროტო საკითხებს, „კომუნისტ"-მა სპეციალური ფურცლები უძღვნა სოფლის მეურნეობის ცალკე დარგებს, როგორც, მაგალითად, მესაქონლეობას, მეაბრეშუმეობას, მეფრინველეობას და აგრეთვე სოფლეთაშორისო სამაშინო- სატრაქტორო სადგურებს.

საკოლმეურნეო მოძრაობის გაძლიერების პერიოდში „კომუნისტ"-მა თავისი მუშაობა გადაიტანა ადგილებზედაც. ამ მიზნით, რათა ჩვენი დახმარება კოლექტივიზაციის დარგში უფრო საგრძნობი და ფართო ყოფილიყო, იანვრის შუა რიცხვებში ჩვენმა რედაქციამ გამოჰყო პასუხისმგებელ თანამშრომლების და მუშკორთა ბრიგადები, რომლებიც დაიგზავნენ კახეთის, გორის და ქუთაისის ოლქებში, სენაკის, ზუგდიდის და ოზურგეთის მაზრებში. ეს ბრიგადები, გარდა იმისა, რომ მასალებს აწვდიდნენ რედაქციას კოლექტივიზაციის მსვლელობის შესახებ, ადგილობრივ უშვებდნენ პატარა ფორმატის გაზეთებს, რომლებსაც უფასოდ ავრცელებდნენ გლეხობაში. ასე, მაგალითად, ასეთი გაზეთები გამოდიოდა თელავში, სიღნაღში, გორში და ხონში. თვითეული გაზეთის ტირაჟი საშუალოდ აღწევდა 2.000-დე. ამ ბრიგადების მიერ შეგროვილი მასალების მიხედვით „კომუნისტმა" ცალკე ფურცლები დაუთმო კოლექტივიზაციის მსვლელობას კახეთის, გორის და ქუთაისის ოლქებში და სენაკის, ზუგდიდის და ოზურგეთის მაზრებში.

რაც შეეხება საქართველოს დანარჩენ რაიონებს, ამ რაიონებში ჩვენ გვყავდა და გვყავს საკუთარი კორესპონდენტები, რომლებიც სისტემატიურად გვაწვდიდნენ მასალებს გაზაფხულის სასოფლო- სამეურნეო კამპანიის შესახებ.

ცნობილია, რომ კოლექტივიზაციის გატარების დროს ადგილებზე დაშვებული იყო მრავალი შეცდომა და პარტიის ხაზის გამრუდება-დამახინჯება... „კომუნისტმა" დიდი როლი ითამაშა ამ დეფექტების გამომჟღავნებაშიაც. ჩვენი გაზეთის ფურცლებზე დაიბეჭდა მთელი რიგი კორესპონდენციები, რომლებიც დაუნდობლად ამხელდნენ ზოგიერთ „კოლექტივიზატორების" „საგმირო" საქმეებს. კერძოდ, დავასახელებთ კორესპონდენციას კახეთიდან, რომელშიაც გამომჟღავნებული იყო ზოგიერთი ადგილობრივი მუშაკების „შემოქმედების" ისეთი ნაყოფი, როგორიც არის ქათმების, კვერცხების, ღვინის და „ვიჩინის" განსაზოგადოება. ყველა ასეთი ფაქტების სააშკარაოზე გამოტანამ და გაკიცხვამ ხელი შეუწყო დაშვებული შეცდომების სასწრაფოდ გამოსწორებას.

კოლექტივიზაციის ჩასატარებლად სხვადასხვა ქალაქებიდან სოფლად გაგზავნილი იყო მუშათა ბრიგადები. „კომუნისტი" თავიდანვე ფართოდ აშუქებდა ამ ბრიგადების მუშაობას. არავისათვის საიდუმლოებას არ შეადგენს, რომ ყველა ბრიგადებმა ვერ გაამართლეს იმედები. მათ შორის აღმოჩნდნენ ისეთებიც, რომლებიც თავისი სამარცხვინო მოქმედებით ხელს უტეხდნენ პარტიას და მუშათა კლასს. „კომუნისტი"-ს ფურცლებზე არა ერთხელ ყოფილა გამომჟღავნებული მუშათა ბრიგადების ულირსი წევრების სამარცხვინო საქციელი, რის შედეგადაც მათ ღირსეული სასჯელი მიიღეს (ზესტაფონი, კახეთი).

კოლექტივიზაცია საქართველოში მიმდინარეობს გაფთრებული კლასთა ბრძოლის პირობებში. კულაკობა მრავალ ადგილას არ კმაყოფილდებოდა აგიტაციით ღარიბ და საშუალო გლეხთა შორის, ბევრგან კულაკები კონტრ-შეტევაზეც გადმოდიოდნენ და აქტიურად იბრძოდნენ და იბრძვიან კოლექტივების წინააღმდეგ. მკვლელობა, ცეცხლის წაკიდება, მუქარა-დაშინება,— აი კულაკობის ბრძოლის მეთოდები. ამავე დროს ხშირი იყო და არის ფარული წინააღმდეგობის შემთხვევებიც. იქ, სადაც კულაკები ხედავენ, რომ აქტიური წინააღმდეგობით ვერას გახდებიან, ისინი ცვლიან ბრძოლის მეთოდებს. ისინი შეიცვლიან და ცდილობენ ეხლაც კოლექტივებში გაძვრომას, რომ შიგნიდან აწარმოონ მავნებლობა. ყველა ასეთი ფაქტების გამომჟღავნებას დიდ ყურადღებას აქცევდა ჩვენი გაზეთი. ნაყოფიც თვალსაჩინოა. მრავალ კულაკს და ანტისაბჭოთა ელემენტს აუკრეს ბარგი კოლექტივიდან ჩვენი შენიშვნების შედეგად.

ამჟამად ჩვენს წინაშე სდგას ამოცანა—განმტკიცებული იქნეს მიღწეული შედეგები კოლექტივიზაციის დარგში და მომზადდეს ნიადაგი საკოლმეურნეო მშენებლობის გასაფართოვებლად. არსებული კოლმეურნეობების განმტკიცება დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენათ სწორად მოვაწესრიგებთ ჩვენ შრომას კოლმეურნეობებში. შრომის ორგანიზაცია იყო და რჩება კოლმეურნეობების ძირითად [illegible] სამუშაოდ, რომლისკენაც უნდა იყოს მიპყრობილი როგორც კოლექტივების, ისე მთელი საბჭოთა საზოგადოებრივობის ყურადღება. „კომუნისტმა" გაითვალისწინა შრომის ორგანიზაციის ასეთი დიდი მნიშვნელობა და გადასწყვიტა ჩაატაროს შრომის ორგანიზაციის შემოწმება კოლმეურნეობებში. ამ მიზნით ადგილებზე დაგზავნილი არიან სპეციალური კორესპონდენტები, რომლებიც დაწვრილებით აშუქებენ როგორც შრომის ორგანიზაციის, ისე კოლმეურნეობების სხვა სამუშაოების საკითხებს.

კოლექტივების ძირითად ამოცანას წარმოადგენს ამჟამად თესვის პრაქტიკული ორგანიზაცია. ჩვენი გაზეთის საგაზაფხულო კამპანიის განყოფილებაში ყოველდღე იბეჭდება ცნობები თესვის მიმდინარეობის შესახებ სხვადასხვა რაიონებში. განსაკუთრებული ყურადღება ექცევა დეფექტების გამომჟღავნებას, რომლებიც ხელს უშლიან თესვას. „კომუნისტი" მთელ რიგ წერილებში მიუთითებდა ადგილებს იმ ნაკლზე, რომელიც გამომდინარეობს უყურადღებობიდან ინდივიდუალურ მეურნეობების მიმართ. საზოგადოებრივი აზრის მობილიზაციამ ამ საკითხის გარშემო მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი გარდატეხას მუშაობის ამ დარგში.

მაგრამ ჩვენს განყოფილებას ყველა ამ მიღწევებთან ერთად აქვს ნაკლიც. მთავარ ნაკლად ჩვენს მუშაობაში უნდა ჩაითვალოს ის, რომ ჩვენ თავის დროზე ვერ გამოვამჟღავნეთ მავნე გადახრები და პარტიის ხაზის დამახინჯება კოლექტივიზაციის დარგში.

ჩვენი მუშაობის მეორე მნიშვნელოვანი ნაკლია ის, რომ სათანადო მუშაკების უყოლობის გამო დროზე ვერ დავამუშავეთ შრომის ორგანიზაციასთან დაკავშირებული საკითხები და ვერ მივეცით ადგილებს შრომის ორგანიზაციის შესახებ ამომწურავი პასუხები. ჩვენ დავიწყეთ შრომის ორგანიზაციის შემოწმება კოლმეურნეობებში, მაგრამ ეს მუშაობა ჯერჯერობით ვერ არის სათანადოთ გაშლილი. ჩვენ ჯერ აქტიურად ვერ ავამოქმედეთ ამ საკითხის გარშემო ჩვენი ადგილობრივი კორესპონდენტები.

ჩვენს მუშაობაში არის სხვა დეფექტებიც (არა გვაქვს კონსულტაცია საკოლმეურნეო მშენებლობის საკითხებზე და სხვ.), მაგრამ იმედი გვაქვს გამოვასწოროთ ყველა შემჩნეული დეფექტები და უკეთესი სამსახური გაუწიოთ იმ უდიდეს პოლიტიკურ და ეკონომიურ მუშაობას, რომელიც მიზნად ისახავს სოფლის მეურნეობის სოციალისტურ რეკონსტრუქციას.

„კომუნისტი"-ს სასოფლო- მეურნეობის განყოფილება.

„კომუნისტი"-ს მდგომარეობა და საჭიროებანი

ჩვენი ქვეყანა საბჭოთა წყობილების პირობებში არაჩვეულებრივი ნაბიჯით მიდის წინ. არაჩვეულებრივად ვითარდება ქვეყნის კულტურული, ეკონომიური და პოლიტიკური ძალები. სახალხო მეურნეობის განვითარების ხუთწლიანი გეგმა, რომელიც ბევრს უნიადაგო ოცნების ნაყოფად მიაჩნდა, ეჭვს გარეშეა, გათვალისწინებულ ვადაზე ადრე იქნება შესრულებული. ქვეყანა მტკიცედ დაადგა ინდუსტრიალიზაციის გზას, საკოლმეურნეო მოძრაობა სოფლად, მიუხედავად დაშვებულ შეცდომებისა, ძლიერდება და ხდება სოფლის მეურნეობის ურყევ საფუძვლათ.

ასეთ პირობებში ჩვენი პრესის წინ იშლება მისი განვითარებისა და გაძლიერების დიდი შესაძლებლობა. კერძოთ ჩვენი გაზეთის დღევანდელი მდგომარეობა უტყუარი ნიშანია იმისა, რომ მშრომელი მოსახლეობის კულტურული დონე და მოთხოვნილებანი ერთობ გაიზარდა და ის ვეღარ თავსდება იმ გეგმის ჩარჩოებში, რომელიც ჩვენ, სულ ორიოდე წლის წინათ, გადაჭარბებულათ, არარეალურათ მიგვაჩნდა.

თავდაპირველად უნდა შევჩერდეთ ერთ დამახასიათებელ მოვლენაზე. 1929 წლის ოქტომბრიდან ჩვენმა გამომცემლობამ უარი განაცხადა იმ ნივთიერ დახმარების მიღებაზე, რომელსაც ის იღებდა ხაზინიდან. თუ არ ვცდებით, მთელ ამიერ - კავკასიაში ჩვენი გაზეთი ერთად ერთია, რომელიც საკუთარი რესურსების ამარა არსებობს და არავითარ ნივთიერ დახმარებას არ იღებს. ჩვენ ვფიქრობთ, რომ დღეს თუ არა, ახლო მომავალში, ასეთივე შესაძლებლობა მიეცემა დანარჩენ გაზეთებსაც, ისინიც უარს იტყვიან ხაზინიდან დოტაციის მიღებაზე და რამდენიმე ასეული ათასი მანეთი ხელისუფლების მიერ გამოყენებული იქნება სხვა რომელიმე კულტურულ მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლათ.

დოტაციის მიღებაზე უარის თქმა შედეგია — ერთის მხრივ საბჭოთა მეურნეობის ჯანსაღი პოლიტიკის, მომჭირნეობის რეჟიმის მტკიცე გატარების, მეორე მხრით — გაზეთის ტირაჟის თანდათანობითი ზრდის. შევჩერდეთ ამ უკანასკნელ გარემოებაზე.

1921 წელს ჩვენი გაზეთის საშუალო დღიური ტირაჟი იყო 3.017. ეს ის დრო იყო, როდესაც საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებას და კომუნისტური პრესის არსებობას ბევრი დროებით მოვლენათ სთვლიდა და მისი განვითარებისა და განმტკიცების შესაძლებლობა არ სწამდა; მეორეს მხრივ — ფართო მასების გაზეთის მნიშვნელობა, მისი როლი ყველას სავსებით და ნათლად არ ჰქონდა შეგნებული.

მიუხედავათ ამისა ჩვენი გაზეთის ტირაჟის ზრდამ უკვე 1922 წლიდან მიიღო მტკიცე და სისტემატიური ხასიათი. 1924 წლის საშუალო დღიური ტირაჟი უკვე 11.813-ს უდრიდა, რაიც, პროცენტულად რომ ავიღოთ, 390 პროცენტს შეადგენს. 1925 წლის განმავლობაში კი ტირაჟი თითქმის ერთი ორად გაიზარდა, მან 20.000-ს მიაღწია. 1925 წლიდან დაწყებული ტირაჟის ზრდას უკვე სტაბილური ხასიათი მიეცა, ე.ი. მისი ზრდა ყოველწლიურად 20—25 პროცენტს უდრის. 1929 წელს საშუალო დღიური ტირაჟი 40.843-მდე მიაღწია, ხოლო 1930 წლის განმავლობაში ტირაჟის ზრდამ უფრო სწრაფი ხასიათი მიიღო: ოთხი თვის განმავლობაში (იანვარი, თებერვალი, მარტი და აპრილი) მომატა 15.000 ცალი.

რას უნდა მიეწეროს ეს გარემოება? ეჭვს გარეშეა, ქვეყნის კულტურულ, ეკონომიურ და პოლიტიკურ განვითარებას. კერძოთ საკოლმეურნეო მოძრაობა გახდა ჩვენი გაზეთის ტირაჟის ზრდის ერთ-ერთ საბაბათ.

ჩვენ ზოგიერთ რაიონებში (ჭიათურა, ფოთი, ბათომი) უკვე მივაღწიეთ ისეთ მდგომარეობას, როდესაც ლოზუნგი — ყველა მუშას უნდა ჰქონდეს გამოწერილი გაზეთი, ყველა წერა - კითხვის მცოდნე უნდა კითხულობდეს გაზეთს — უკვე თითქმის განხორციელებულია.

დღეს პრესის ყველა თანამშრომელს შეუძლია იამაყოს იმით, რომ მისი ნაშრომი აღწევს მშრომელთა ათასეულ მასამდე, რომ [illegible] მშრომელი მასები აფასებენ და უდიდეს ანგარიშს უწევენ.

მაგრამ არ იქნება სწორი თუ ვიტყოდით, რომ ჩვენი პრესა საზოგადოთ და კერძოთ ჩვენი გაზეთი, დღეს სავსებით აკმაყოფილებს იმ მოთხოვნილებას, რომელსაც მას უყენებს ერთის მხრივ — ქვეყნის თანამედროვე პოლიტიკურ - ეკონომიური ვითარება და, მეორეს მხრივ — გათვითცნობიერებული მკითხველი მუშა და გლეხი.

ავიღოთ, თუ გნებავთ, გავრცელების საკითხი. რასაკვირველია, 55.000-იანი ტირაჟი, რომელიც აქვს ჩვენს გაზეთს, დიდ მიღწევათ შეიძლება ჩაითვალოს საქართველოსათვის. მაგრამ განა აქედან ისეთი დასკვნის გამოყვანა შეიძლება, რომ ჩვენ სავსებით ვაკმაყოფილებდეთ მშრომელი მოსახლეობის მოთხოვნილებას ბეჭდვითი სიტყვაზე? რასაკვირველია, არა. პირიქით, დიდი კონტიგენტი მკითხველებისა, მეტადრე სოფლად, ჩვენ მიერ დღევანდლამდე არ არის მოცული და დაკმაყოფილებული. თუ ზოგიერთ რაიონებში (სამრეწველო რაიონებში, უმთავრესად) ჩვენი გაზეთის გავრცელების საქმე სათანადო სიმაღლეზე სდგას, სამაგიეროთ დიდი ნაწილი ჩვენი ქვეყნისა, გაზეთის გავრცელების მხრივ ფრიად და ფრიად უნუგეშო მდგომარეობაში იმყოფება. ავიღოთ, თუ გნებავთ, ქუთაისის ოლქი, სადაც ყველაზე უკეთ არის დაყენებული, როგორც ჩვენი, ისე სხვა გაზეთების გავრცელების საქმე და გამოვარკვიოთ — სად, რომელ პუნქტში რამდენი გაზეთი მიდის და ჩვენ გავიგებთ, რომ ყველაზე მეტი გაზეთი ვრცელდება თვით ქალაქ ქუთაისში, სამტრედიაში, ჭიათურაში, ხონში და ზესტაფონში; სამაგიეროთოთ ონი, პრებალი, ცაგერი და სხვა მნიშვნელოვანი თუ უმნიშვნელო პუნქტები ამ მხრივ ერთობ ჩამორჩენილნი და უყურადღებოთ არიან დატოვებულნი.

რაღა გვეთქმის კახეთის, გორის, თბილისის (ქალაქის გამოკლებით) ოლქებისა და სვანეთის, ახალქალაქის, ახალციხისა და სხვა კულტურულათ უფრო ჩამორჩენილი მაზრების შესახებ, სადაც ოც სულზე ერთი გაზეთიც კი არ მოდის! როგორი კულტურული დახმარებისა და სამსახურის გაწევაზე შეიძლება ლაპარაკი პრესის მხრივ იმ რაიონებში, სადაც გაზეთი მხოლოდ მეოთხე და მეხუთე დღეს აღწევს?

აშკარაა საქართველოს პრესის, კერძოთ ჩვენი გაზეთის გავრცელების საქმეს სოფლად, ახლავე უნდა მიექცეს გაცილებით მეტი ყურადღება, როგორც გამომცემლობების, ისე პარტიულ, პროფესიონალურ და საბჭოთა საზოგადოებრიობის მხრივ. ჩვენ ახლო მომავალში გავრცელების ისეთი მეთოდები უნდა შევიმუშაოთ და ისეთი ორგანიზაციული ფორმები გამოვნახოთ, რომ მკითხველის მოთხოვნილება გაზეთზე სრული ასი პროცენტით იქნას დაკმაყოფილებული.

მაგრამ იბადება კითხვა: არის თუ არა ამის სრული შესაძლებლობა, რომ გავრცელების საქმის გაუმჯობესებასთან ერთად, მოსახერხებელი იქნება გაძლიერებული მოთხოვნილების დაკმაყოფილება გაზეთზე?

— პირველყოვლისა, მხედველობაში მისაღებია ქაღალდის სიცოტავე, ამის გამო, ჩვენ ხშირად იძულებული ვართ ხელოვნურათ შევზღუდოთ გაზეთის ბეჭდვა, როგორც ზომის, ისე რაოდენობის მხრივაც, ყოველ შემთხვევაში ჩვენ ვერ ვაწარმოებთ სათანადო მუშაობას ტირაჟის გადიდებისათვის და ვკმაყოფილდებით ტირაჟის იმ ბუნებრივი ზრდით, რომელიც თითქმის თავისთავად იქმნება. ეს კი არ შეიძლება ჩაითვალოს ნორმალურ მოვლენათ, ვინაიდან ტირაჟის ბუნებრივი ზრდა შესაძლებელია მხოლოდ კულტურულად დაწინაურებულ პუნქტებში და ისეთ ცენტრებში, სადაც მოსახლეობა შეჩვეულია გაზეთის კითხვას და უგაზეთობას ვერ ითმენს. ისეთ ადგილებში კი, სადაც კულტურა ეს ეს არის ფეხს იკიდებს, სადაც მოსახლეობამ ეხლა მოჰკიდა ხელი წერა - კითხვის შესწავლას, სადაც ყველაზე უფრო საჭიროა პრესის დახმარება, მისი მაფხიზლებელი ხმა, ჩვენ ვერ მივდივართ ვინაიდან ვიცით, რომ მოთხოვნილებას ვერ დავაკმაყოფილებთ უქაღალდობის გამო.

აღსანიშნავია, რომ სწორედ ამავე უქაღალდობის გამო ჩვენმა გაზეთმა ვერ მოახერხა განუწყვეტელი საწარმოო კვირაზე გადასვლა ჯერ-ჯერობით.

მეორე დაბრკოლება არის პოლიგრაფიული ბაზის სისუსტე. სტამბა, რომელშიაც დღეს იბეჭდება ქართული გაზეთები და მათ შორის ჩვენი გაზეთიც, მოეწყო 1924 წლის ბოლოს ბეჭდვითი ტეხნიკის უკანასკნელი სიტყვის მიხედვით. გერმანიიდან მიღებული იქნა ორი საროტაციო მანქანა, 12-მდე ამწყობი მანქანა „ლინოტიპი", სასტერეოტიპო მოწყობილობა და სხვა. როდესაც ყველა ეს მანქანები მოვიღეთ და სტამბის მოწყობას შევუდექით, ბევრმა ამხ. ჰ საყვარელიძეს, რომელიც გერმანიაში იყო წასული, ზედმეტი ხელგაშლილობაც კი დასწამა ორი საროტაციო მანქანის შეძენისათვის, რადგან მათი აზრით, ერთი მანქანა თავისუფლათ შესძლებდა ქართული გაზეთების საჭიროების დაკმაყოფილებას. იმ ხანებში მართლაც ასე იყო. ყველა გაზეთების ტირაჟი 70—80 ათას არ აღემატებოდა და ეს კი სწორედ ნორმალური დატვირთვაა საროტაციო მანქანის. მაგრამ შემდეგ წლებში გაზეთების ტირაჟის ზრდა ისეთი ნაბიჯით წავიდა წინ, რომ ჩვენ ამჟამად უკვე მოწმენი ვართ არა თუ ერთის, არამედ ორივე საროტაციო მანქანის უზომო გადატვირთვის, რაიც ჰქმნის იმის შიშს, რომ ერთ მშვენიერ დღეს შესაძლებელია მანქანამ ვეღარ აიტანოს ასეთი დატვირთვა.

აღსანიშნავია, რომ 1924 წლის შემდეგ არც გამომცემლობებს და არც პოლიგრაფტრესტს არა თუ რეალურათ არაფერი გაუკეთებიათ ახალი იარაღ-მანქანების შესაძენათ, არც კი დაუსვამთ ეს საკითხი დღის წესრიგში. თუ მივიღებთ მხედველობაში იმ გარემოებას, რომ მათი შემოტანა მხოლოდ საზღვარგარეთიდან არის შესაძლებელი, ხოლო ეს შემოტანა კი მტკიცე გეგმებით არის სახელმწიფოს მიერ განსაზღვრული რამდენიმე წლების განმავლობაში, ჩვენთვის ცხადი იქნება ჩვენი პოლიგრაფიული ბაზის მდგომარეობა. ერთის მხრივ ჩვენი პოლიგრაფმოწყობილობა დიდის გაჭირვებით აკმაყოფილებს არსებულ მოთხოვნილებას, მეორეს მხრივ — გაზეთის ტირაჟი, რა ხელოვნურ შემზღუდველ ზომებსაც არ უნდა მივმართოთ, მაინც იზრდება. ასეთ პირობებში, ჩვენ არ შეგვიძლია არ დავაყენოთ პოლიგრაფიული ბაზის გაძლიერების საკითხი მთელი სიგრძე - სიგანით და არ ვიზრუნოთ როგორც საჭირო ნივთიერ საშუალებათა გამონახვისათვის, ისე მანქანების შემოტანისათვის, თუნდაც ამისათვის საჭირო გახდეს ჩვენი საიმპორტო გეგმის შესწორებაც. უამისოთ ჩვენ მართლა გამოუვალ ჩიხში მოვექცევით და ადვილი შესაძლებელია, პირდაპირ კატასტროფიულ მდგომარეობამდეც კი მივიდეთ, როდესაც ჩვენი გაზრდილი ტირაჟიანი გაზეთების ბეჭდვას ვეღარ შესძლებენ არსებული მანქანები.

მწვავედ სდგას აგრეთვე გაზეთის მიწოდების საკითხი სოფლად. მოგეხსენებათ — გაზეთი ის ისეთი საქონელია, რომელიც ოდნავ დაყოვნებასაც კი ვერ ითმენს გზაში. ჩვენში კი — ზოგიერთ ადგილებში—მთელი დღეები და კვირეები საჭირო, სანამ გაზეთი ექსპედიციიდან ხელისმომწერამდე მივიდოდეს. ამ უდიდესი დაბრკოლების წინააღმდეგ ბრძოლაში ცალკე გამომცემლობები უძლურნი აღმოჩნდნენ, მიუხედავათ იმისა, რომ ეს უკანასკნელნი ყოველგვარ ღონისძიებას მიმართავდნენ გაზეთის მიწოდების საქმის გასაუმჯობესებლათ. უკანასკნელ ხანებში დაისვა საკითხი როგორც გავრცელების, ისე მიწოდების საქმის მთლიანად ფოსტის უწყებისათვის გადაცემის შესახებ. მართლაც და ფოსტა — ეს ერთად-ერთი დაწესებულებაა ჩვენს სინამდვილეში, რომელსაც სხვებთან შედარებით მრავალი უპირატესობა მოეპოვება ამ საქმის სათანადო სიმაღლეზე დასაყენებლათ. მას აქვს საკმაოთ განვითარებული ქსელი სოფლად და ქალაქად, მასვე აქვს გადაზიდვის საშუალებანი, მის ხელშია ტელეგრაფი და სხვა. მაშასადამე იყო იმედი, რომ გავრცელებისა და მიწოდების საქმეს ფოსტა, შედარებით მაინც, უკეთ დააყენებდა. სამწუხაროთ, ფოსტის პრაქტიკულმა მოღვაწეობამ ეს იმედი ჯერ-ჯერობით ყველგან ვერ გაამართლა. დღესაც ისე, როგორც რამოდენიმე წლის წინად, რესპუბლიკის განაპირა პუნქტები (ზოგად მეტად მნიშვნელოვანი პუნქტებიც) და სოფლები გაზეთებს მხოლოდ მე-4 და მე-5 დღეს იღებენ. მაგალითად ქ. ონი მთელი ზამთრის განმავლობაში მხოლოდ მე-5 და მე-6 დღეს იღებდა გაზეთს. თუ როგორი მდგომარეობა იქნება ამ მხრივ ონზე უფრო დაშორებულ და მიყრუებულ პუნქტებში, ამას მკითხველი თითონაც ადვილად წარმოიდგენს. როდესაც ჩვენ ამის შესახებ მივმართეთ ფოსტას და მოვითხოვეთ ახსნა-განმარტება, მან თავი ტრანსპორტის უქონლობით გაიმართლა. ჩვენის აზრით კი, აქ ტრანსპორტის გარდა საქმის სხვა მრავალი „წვრილმანი" გარემოებაც უშლის ხელს, უმთავრესად კი ჩვეულებრივი ჩინოვნიკური მიდგომა საკითხებისადმი ფოსტის უწყების წარმომადგენლების მხრივ. ყოველ შემთხვევაში, სხვა გამოსავალი ჩვენთვის არ არსებობს გარდა ფოსტის აპარატის მუშაობის გაუმჯობესებისა, ამ გაუმჯობესებას უნდა შეუწყოთ ხელი და მასში უნდა მიიღონ მხურვალე მონაწილეობა როგორც გაზეთების გამომცემლობებმა, ისე თვითონ მკითხველებმა და საზოგადოებრივმა დაწესებულებებმა.

ზემოდ ჩვენ დავასახელეთ უფრო საყურადღებო, უფრო მნიშვნელოვანი საჭიროებანი ჩვენი პრესის საზოგადოთ და, კერძოთ, ჩვენი გაზეთის. არის კიდევ მრავალი საკითხები, მაგალითად კადრების, შრიფტის და სხვ. მაგრამ მთავარი ეკონომიური ხასიათის დაბრკოლებანი ჩვენი გაზეთის მიერ დაძლეულია.

ე. ტ—ძე.

სახელმწიფო გამომცემლობა საქართველოში

საბჭოთა ხელისუფლების გამოცხადებისთანავე საქართველოში განსაკუთრებული ყურადღება მიექცა გამომცემლობას, როგორც სოციალისტური მშენებლობის განვითარების და პროლეტარიატის დიქტატურის განმტკიცების ერთ-ერთ საუკეთესო საშუალებას. 1921 წელს დაარსდა საქ. სახელგამი, რომელიც ფაქტიურად 1922 წლის აგვისტოში შეუდგა მუშაობას. შედარებით ჩამოყალიბებული საგამომცემლო გეგმა, მის რესურსებთან და ცხოვრების მრავალფეროვან მოთხოვნილებებთან შეფარდებით, სახელგამმა მხოლოდ 1926 წელში შეადგინა. მისი ფინანსიური მდგომარეობა პირველ წლებში ფრიად უნუგეშო იყო. საჭირო გახდა უდიდესი ენერგიის გამოჩენა, რომ ამ მდგომარეობიდან თავი დაგვეღწია და ეს დიდმნიშვნელოვანი კულტურული ორგანიზაცია მტკიცე სამეურნეო საფუძველზე დაგვეყენებია. განსაკუთრებით, გასულ ოთხი-ხუთი წლის განმავლობაში სახელგამი საგრძნობლად გაიზარდა და მთელ ამიერ-კავკასიის ბეჭდვითი სიტყვის შედეგის ფაბრიკათ იქცა. დღეს სახელგამი წინასწარ შემუშავებულ მტკიცე გეგმის მიხედვით მუშაობს და მისი მუშაობა შეთანხმებულია, უშუალოდაა დაკავშირებული ჩვენი ქვეყნის კულტურული მშენებლობის ხუთწლიან გეგმასთან, საბჭოთა საქართველოს ინდუსტრიალიზაციის და სოფლის მეურნეობის სოციალისტური რეკონსტრუქციის სწრაფ ტემპებთან.

სახელგამის ზრდას საუკეთესოთ ცხადყოფს შემდეგი ციფრები:

			სახელ-წოდ.	ფორმათა რაოდენობა	ამონაბეჭდთა რაოდენობა	საერთო ტირაჟი
1921	წელში	დაიბეჭდა	68	460	952000	136000
1922	„	„	59	380	680000	108000
1923	„	„	93	504	1270000	235000
1924	„	„	88	600	1520000	220000
1925	„	„	136	990	3430000	476000
1926	„	„	170	1020	3060000	510000
1927	„	„	303	2170	8400000	1200000
1928	„	„	331	2147	11202000	1252000
1929	„	„	341	2218,7	13669000	1467000

გათვალისწინებულია ხუთწლიანი გეგმით.

	სახელწოდება	ფორმათა რაოდ.	ამონაბეჭდთა რაოდ.	ტირაჟი
1930	850	4.428	24.693.000	3.506.000
1931	888	4.724	37.362.000	4.200.000
1932	895	4.844	34.635.000	5.040.000
1933	924	5.024	40.700.000	6.000.000

თუ მხედველობაში მივიღებთ იმ გარემოებას, რომ ხუთწლიანი გეგმით გათვალისწინებული კულტურული მშენებლობის მაჩვენებლები არსებითად უკვე შეიცვალა ინდუსტრიალიზაციის ჩქარი ტემპის გამო, მაშინ უნდა ვიგულისხმოთ, რომ ზემოთ ნაჩვენები ციფრებიც შეიცვლება, ისინი კიდევ უფრო გაიზრდება, რათა შესაძლებელი იქნეს მასების გაზრდილ კულტურულ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილება.

დღეს უკვე შეიძლება ითქვას, რომ სახელგამს აქვს მიღწევები იმ დარგში, რომელიც მისი საქმიანობის ყველაზე სუსტ ადგილად იყო დღემდე მიჩნეული: ესაა მასობრივ-პოპულიარული ლიტერატურის და ნაცუმცირესობათათვის სახელმძღვანელოთა და ლიტერატურის გამოცემა. ჯერ კიდევ, საქ. კომპარტიის (ბ) მე-6 ყრილობაზე იქნა აღნიშნული, რომ სახელგამმა მეტი ყურადღება მიაქციოს მასიურ-პოპულიარულ ლიტერატურას და უზრუნველჰყოს საქართველოში მოსახლე ნაციონალური უმცირესობანი მათთვის აუცილებელ ლიტერატურით. მე-6 ყრილობის ეს დავალება ჩვენ **ნაწილობრივ უეჭველად შევასრულეთ**. გასული ერთი წლის განმავლობაში გამოცემული იქნა იმდენი, რამდენიც გასულში 4-5 წელში არ გაკეთებულა. აი ამისი ციფრებიც:

გამოცემულია:

	წიგნის რაოდ.	ტირაჟი
ოსურ ენაზე	7	25000 ც.
სომხურ „	10	33000 „
თურქულ „	12	18000 „
რუსულ „	16	39000 „

აფხაზეთს კი მიეცა (სახელგამის სახსრებიდან) ნაღდ ფულად 17.500 მან. აფხაზურ ენაზე წიგნების გამოსაცემად.

გარდა ამისა, სომხურ და თურქულ მოსახლეობისათვის მრავალ წიგნს ვიწერთ საბჭოთა კავშირის ეროვნებათა გამომცემლობიდან („ცენტრიზდატი") და აზერბეიჯანისა და სომხეთის რესპუბლიკებიდან, რომლებთან სახელგამებთან სათანადო ხელშეკრულებანი გვაქვს დადებული, უნდა აღვნიშნოთ აგრეთვე, რომ სახელგამი სცემს ორ საბავშვო ყოველთვიურ ჟურნალს ნაცუმცირესობათათვის „ენიუკ" (თურქული) და „კარმირ წილერ" (სომხური).

რაც შეეხება მასობრივ-პოპულიარულ ლიტერატურას, აქაც ერთგვარი მიღწევები გვაქვს. სახელგამმა მიმდინარე წლის 4 თვის განმავლობაში გამოსცა ლიტერატურა კოლმეურნეობათა, თესვის კამპანიის და სოფლის მეურნეობის სხვადასხვა დარგების შესახებ— ორასზე (200) **მეტი სახელწოდების, საერთო ტირაჟი ამ წიგნებისა მილიონს აღემატება**. ეს წიგნაკები ფასით ხელმისაწვდომია მშრომელთა ფართო მასებისათვის, წელს პირველად იქნა დაბეჭდილი გამოცემანი, რომელთა ფასი უდრის 1-2, 3, 5 და 10 კაპეიკს.

გასული წლის განმავლობაში გამოცემულ იქნა ჩვენი კულტურული წინსვლისათვის ისეთი მნიშვნელოვანი მარქსის „კაპიტალი" 1-ლი ტომი, „კაპიტალი" გამოცემულია 15.000 ცალად, რომლის უდიდეს ნაწილზე ხელისმოწერაა ჩატარებული. სახელგამი განაგრძობს ლენინის თხზულებათა გამოცემას. უკვე გამოსულია სამი ტომი, ხოლო შვიდი ტომი გამოვა მიმდინარე წელს. ყველასათვის ცხადია, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს მარქსის და ლენინის ნაწარმოებთა ქართულად გამოცემასა და მათი ნაწარმოების ფართო მასებში გავრცელებას. გადაწყვეტილია აგრეთვე მარქსის მეორე და მესამე ტომების გამოცემა.

მოწესრიგდა აგრეთვე კლასიკოსების გამოცემის საკითხიც. ეს საქმე აქამდე ვერ იყო მკვიდრ ნიადაგზე დაყენებული და კლასიკოსების გამოცემას ჩვენში შემთხვევითი ხასიათი ჰქონდა. სახელგამთან ამჟამად დაარსდა კლასიკური ლიტერატურის სექცია, რომელსაც ხელმძღვანელობს ამხ. **ფ. მახარაძე**. სექციამ უკვე შეიმუშავა კლასიკოსთა გამოცემის ხუთწლიანი გეგმა და ამ საქმეში ჩავაბით ლიტერატურის დარგში მომუშავე საუკეთესო ძალები. მიმდინარე წელს გამოვა „ვისრამიანი", საათნოვა, დავით გურამიშვილის თხზულებათა სრული კრებული (უკვე იბეჭდება), „გურამგურიანი", ვ. ფშაველა, ნინოშვილი, ა. წერეთელი ტ. 1-ლი და სხვა.

სათანადო ყურადღებით ეპყრობა სახელგამი მეცნიერულ ლიტერატურის გამოცემასაც; გასულ წელში გამოცემულია 25-მდე მეცნიერული ნაშრომი როგორც ორიგინალური, ისე ნათარგმნი.

საგრძნობ სიძნელეს წარმოადგენდა სახელგამისათვის უმაღლეს სკოლის და ტეხნიკუმების სახელმძღვანელოების გამოცემა სპეციალურ საგნებში: მცირე ტირაჟი, წიგნის დიდტანიანობა, მრავალსურათიანობა და ბეჭდვითი სიძნელე—აი ხელისშემშლელი პირობები მათი გამოცემისათვის. მიუხედავათ ამისა, ჩვენ ცოტა რამ აქაც გავაკეთეთ, მაგრამ ბევრი ჯერ კიდევ წინაა და საჭირო იქნება დიდი საშუალებების გამოძებნა, რათა ჩვენი უმაღლესი სკოლა ოდნავ მაინც დავაკმაყოფილოთ აუცილებელი სახელმძღვანელოებით.

ეს სახელგამის მუშაობის მხოლოდ ერთი მხარეა. არ კმარა მარტო ლიტერატურის გამოცემა, საჭიროა მისი გავრცელება, წიგნის მიწოდება მასებამდე და, რაც მთავარია, მიწოდება იაფი წიგნის. ეს კი მეტად რთული ამოცანაა, რომელიც ჯერ კიდევ დიდხანს დარჩება ჩვენი ყურადღების ცენტრში. გასული წლის განმავლობაში სახელგამის წიგნის თვითღირებულებამ თვითეულ ამონაბეჭდ ფურცელზე გასულ (1928 წ.) შედარებით დაიკლო 11,6 პროც. ამასთან დაკავშირებით მოხდა წიგნის ნომინალური ფასის შემცირებაც. ამ გარემოებამ კი წიგნი შედარებით ხელმისაწვდომი გახადა მასებისათვის.

ნამატისა და წიგნის ნომინალის შემცირება დაკავშირებულია აგრეთვე წიგნის ტირაჟის გადიდებასთან: თუ გავრცელება სწორად არის დაყენებული და წიგნი აღწევს ფართო მასამდე, მაშინ იზრდება გამოცემათა ტირაჟი, კლებულობს მისი თვითღირებულება და იაფდება წიგნი. ამ მხრივ ჩვენს მიერ მიღებული იყო განსაკუთრებული ზომები. მთელ საქართველოში ჩატარებულ იქნა გაიაფებული წიგნის კამპანია და საწყობებიდან დაცხაჭრით ბევრი ისეთი წიგნი, რომელიც უძრავად იდვა არა იმიტომ, რომ შინაარსით არ ვარგოდა, არამედ იმიტომ, რომ ნაკლებად ვზრუნავდით მის გავრცელებაზე. ეს კამპანია ჯერ კიდევ არ დამთავრებულა და კიდევ ბევრი რამ არის გასაკეთებელი.

გარდა მაღაზიებისა, სამხედრო ნაწილებში და ქარხანა-წარმოებებში გაიხსნა კიოსკები, ეხლა შემუშავებულია გეგმა ამ კიოსკების ქსელის კიდევ უფრო გაშლა-გაფართოებისათვის, რომ მათი საშუალებით წიგნმა მიაღწიოს მკითხველამდე.

ჩატარდა საგანგებო კამპანია წიგნის ორგანიზატორთა გამოსაყოფად და წიგნის დამტარებელთა ინსტიტუტის შესაქმნელად. ბევრ ადგილზე დაარსებულია წიგნის მეგობართა წრეები და საერთოდ მასიურ წიგნის გავრცელების საქმეში თანდათანობით ებმება საზოგადოებრივი ორგანიზაციები. ამჟამად რესპუბლიკის ფარგლებში მუშაობს 200-მდე წიგნის დამტარებელი, რომლებიც მიმაგრებული არიან სახელგამის სათანადო მაღაზიებზე პროვინციაში. გატარებულ იქნა წიგნის გავრცელების მიზნითვე საბავშვო წიგნის, სამხედრო ლიტერატურის და სხვა კამპანიები, მოეწყო ბაზრობები, გამოფენები და სხვ.

ჩვენი ქოხ-სამკითხველოები სრულებით არ არიან უზრუნველყოფილი მათთვის საჭირო ლიტერატურით. ამჟამად ჩვენ გვაქვს სადირექტივო ორგანოების დადგენილება ქოხ-სამკითხველოების სათანადო ლიტერატურით უზრუნველსაყოფათ. ქოხ-სამკითხველოებისათვის ლიტერატურის მიწოდება ცენტრალიზაციაქმნილია. მთ. პოლიტგანთან არსებულ სარეკომენდაციო ბიუროს შერჩევით სახელგამი უშუალოდ მიაწვდის ბიბლიოთეკებს და ქოხ-სამკითხველოებს მათთვის საჭირო ლიტერატურას. ამ მიზნით სახელგამთან დაარსდა საბიბლიოთეკო კოლექტორი (ბიბკოლექტორი). ბიბკოლექტორი მიაწვდის ქოხ-სამკითხველოებს საბიბლიოთეკო წესით დამუშავებულ ლიტერატურას, უხელმძღვანელებს ბიბლიოთეკების შედგენას და შევსებას, მისცემს ყოველგვარ რჩევა-დარიგებებს ბიბმუშაკებს და აწარმოებს მკითხველთა ინტერესების მოთხოვნილებების შესწავლას.

სახელგამთან ერთად სოფლად წიგნის გავრცელება უნდა აწარმოოს კოოპერაციამაც, მაგრამ წიგნის გავრცელება კოოპერაციის ხაზით დღემდე სათანადოთ არ გაშლილა და ეს საუკეთესო აპარატი წიგნის მასიურ გავრცელებისათვის მაქსიმალურათ არ არის გამოყენებული. უნდა შევძლოთ წიგნის და, რაც მთავარია, მასიური წიგნის გავრცელებისადმი კოოპერაციის მხრივ უარყოფითი დამოკიდებულების აღმოფხვრა.

კოოპერაციის სისუსტე წიგნის გავრცელებაში იმითაც აიხსნება, რომ მას არ ჰყავს წიგნის მუშაკები. თვით სახელგამი განიცდის ამ დარგის მუშაკთა კრიზისს. კადრების მოსამზადებლად ამჟამად მოეწყო „წიგნის მუშაკთა მოსამზადებელი კურსები". მომავალში ამ საკითხს უნდა მიექცეს მეტი ყურადღება.

სახელგამი ჯეროვან ყურადღებას აქცევს აგრეთვე წიგნის ენას და გამოცემათა ტეხნიკურ მხარეს, ქართული წიგნის გარეგნობა გაუმჯობესდა და ის ვიტრინებიდან ლამაზათ გამოიყურება. მაგრამ იგივე არ შეიძლება ითქვას კორექტურის შესახებ. კორექტურას სათანადო ყურადღებით ვერ ექცევიან ვერც სტამბები, ვერც თვით კორექტორები. ჯერ-ჯერობით, კორექტურა კვლავ მეორე ხარისხოვან საქმედ არის მიჩნეული და მომზადებული მუშაკები ამ მხრით—ნაკლებად გვყავს. სახელგამმა ამ ორი წლის წინად პოლიგრაფტრესტთან ერთად მოაწყო კორექტორთა გადასამზადებელი მოკლევადიანი კურსები, მაგრამ კორექტურის საქმე ამით არ გაუმჯობესებულა და კორექტურა დღესაც სახელგამის საჭირბოროტო ამოცანას წარმოადგენს.

სახელგამი დღეს თითქმის უკვე მონოპოლისტია გამომცემლობაში. სადირექტივო ორგანოების დადგენილების თანახმად ჩატარდა საქართველოში მომქმედ გამომცემლობათა ტიპიზაცია, რომლის ძალითაც სახელგამს დაეკისრა თითქმის ყველა დარგის ლიტერატურის და სახელმძღვანელოების გამოცემა. სხვა პატარა გამომცემლობები ან შეუერთდნენ სახელგამს (გამომც. „ქართული წიგნი"), ან მათ დაეკისრათ ვიწრო პროფესიონალური ლიტერატურის (შრომა) გამოცემები.

ეს მდგომარეობა დაჟინებით გვიკარნახებს საკუთარი პოლიგრაფიული ბაზის შექმნას. გამომცემლობისა და პოლიგრაფიული წარმოების დაშორება ხელოვნური იყო და უეჭველია მაზარალებელი ორივე მხარისათვის. ამჟამად შეიძლება ეს საკითხი გადაწყვეტილად ჩაითვალოს; თანახმად საქ. მუშათა და გლეხთა ინსპექციის და სახ. კომისართა საბჭოს 3 აპრილის სხდომის დადგენილებისა „მიზანშეწონილადაა მიჩნეული პოლიგრაფტრესტის ყველა საწარმოსი და სავაჭრო პუნქტების საქართველოს სახელგამისათვის გადაცემა". ამით სახელგამს საშუალება მიეცემა ფართოდ გაიშალოს მუშაობა, ბევრი ტეხნიკური გაუმჯობესება შეიტანოს გამომცემლობაში და საგრძნობლად გააიაფოს კიდეც **ქართული წიგნი**.

ბეჭდვითი პროდუქციის შემდგომ ზრდას წინ ეღობება ერთი დიდი დაბრკოლება: ესაა ქაღალდის ნაკლებობა. ამ მხრივ საქართველოს სახელგამი სავსებით დამოკიდებულია საკავშირო ორგანოებზე და ქაღალდის საერთო ნაკლებობის გამო, რაც ბეჭდვითი სიტყვის უფრო ზრდით აიხსნება, ჩვენი საწარმოო გეგმის განხორციელება ზოგჯერ მეტად ბრკოლდება. ენგურის ქაღალდის წარმოების კომბინატი, რომელსაც ამ დღეებში ჩაეყარა საფუძველი უდიდეს პერსპექტივებს შლის ბეჭდვითი სიტყვის განვითარებისათვის ჩვენში და ის საგრძნობლად შეარბილებს იმ სიმწვავეს, რომელსაც ჩვენ დღეს ქაღალდის მხრივ განვიცდით.

დასასრულ ჩვენ გვინდა აღვნიშნოთ ერთი საქმეც: ეს არის სახელგამის მონაწილეობა სოციალისტურ შეჯიბრებაში. სახელგამი სოცშეჯიბრებაში გამოიწვია ბელორუსიის, უზბეკისტანის, თურქესტანის, აზერბეიჯანის და სომხეთის სახელგამები. მან წარუდგინა შემდეგი პირობები: 1) წიგნის ფასის მაქსიმალური შემცირება ხარჯების ფაქტიური შემცირების გზით, მაგრამ არა ნაკლებ 15 პროც.-ისა 1928 წელთან შედარებით; 2) მასობრივ-პოპულიარული ლიტერატურის ტირაჟის, სახელწოდებათა და ამონაბეჭდთა რიცხვის გადიდება 30 პროც. 1928 წ. შედარებით; 3) ეროვნულ-უმცირესობათა ლიტერატურის სახელწოდებათა და ამონაბეჭდთა საერთო რიცხვის გადიდება 50% 1928 წ. შედარებით; 4) წიგნების საუკეთესო მხატ.-ტეხ. გამოცემა წინა წლების გამოცემებთან შედარებით; 5) წიგნის მეგობართა საზოგადოების" შექმნის გზით ფართო საზოგადოებრივობის ჩაბმა ლიტერატურის მასიური გავრცელების საქმეში; 6) წიგნის დამტარებელთა ინსტიტუტის შექმნა იმ ვარაუდით, რომ თითო სასოფლო საბჭოზე მოდიოდეს თითო დამტარებელი.

ბოლოს ორიოდე სიტყვა: გასულ წელს შესრულდა სამასი წელიწადი პირველი ქართული სტამბის დაარსების დროიდან. ამ მნიშვნელოვანი თარიღის აღნიშვნა მოხდება საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების ათი წლისთავზე, ე. ი. 1931 წლის თებერვალს. ჩვენ იმედი გვაქვს, რომ სახელგამი ხსენებულ იუბილეს შეხვდება დიდი მიღწევებით ქართული წიგნის ბეჭდვის და მისი გავრცელების საქმეში.

სახელგამს სასურველად მიაჩნია ამ დიადი დღის აღნიშვნა ბეჭდვითი სასახლის დაარსებით. როგორც რუსეთში, ისე ჩვენს მეზობელ რესპუბლიკებში (აზერბეიჯანი) უკვე დაარსდა ასეთი სასახლეები, სადაც ერთადაა თავმოყრილი სტამბები და გამომცემლობა. საჭიროა ჩვენშიაც დაარსდეს ასეთი სასახლე. ეს სასახლე იქნება ჩვენი „წიგნის ფაბრიკა"—მაჩვენებელი საბჭოთა საქართველოს უდიდესი მიღწევების კულტურულ ფრონტზე.

ბ. ბიბინეიშვილი.

ბოლშევიკური თვითკრიტიკის გზით

ინსპექციის ფურცელი, როგორც ეს უკვე იციან ჩვენმა მკითხველებმა, გაზეთში წარმოადგენს იმ ერთ-ერთ მთავარ არხს, რომლის დანიშნულებაც არის ჩვენი მშენებლობის და სინამდვილის მტკივნეული მხარეების გაშუქება პრესის საშუალებით. ინსპექციის ფურცლის არსებობას საფუძვლად უდევს ბოლშევიკური თვითკრიტიკის გაშლა, აპარატის ნაკლოვანებათა დაუზოგავად მხილება და ღონისძიებათა დასახვა საბჭოთა აღმშენებლობის გაუმჯობესება - განვითარებისათვის. ზედმეტია იმის მტკიცება, თუ რა განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს თვითკრიტიკის გაშლას სოციალისტური მშენებლობის წარმატებისათვის. ამაზე საკმაოთ ბევრი დაიწერა და ითქვა. ჩვენს მიზანს ამ შემთხვევაში შეადგენს იმის ზოგადად აღნუსხვა, თუ რამდენად უნაკლოდ ასრულებდა ბოლშევიკური თვითკრიტიკის ამოცანებს ინსპექციის ფურცელი ჩვენს გაზეთში, როგორია ჩვენი მიღწევები ამ მხრივ და რა დაბრკოლებები გვეღობება წინ.

პირველ ყოვლისა მოვიყვანთ რამდენიმე სტატისტიკურ ცნობებს:

ინსპექციის ფურცელი „კომუნისტში" არსებობს 1928 წლის შუა აპრილიდან. ამ ორი წლის განმავლობაში ინსპექციის ფურცელი გამოვიდა 92-ჯერ. რა საკითხებს ეხებოდა ფურცელი, რამდენი კორესპონდენცია იყო მოთავსებული თვითეულ ცალკე საკითხზე? ამის შესახებ შეიძლება მოყვანილ იქნას შემდეგი ციფრები:

სამეურნეო საკითხებზე მოთავსებული იყო 117 წერილი და კორესპონდენცია; **ბიუროკრატიზმთან** ბრძოლის შესახებ — 160; **აპარატის რაციონალიზაციის** შესახებ—72; **აპარატის შემადგენლობის გაუმჯობესების** შესახებ — 188; **უმეურნეობის** შესახებ—110; **პროტექციონიზმთან ბრძოლის** შესახებ — 130; **მიწის ყიდვა - გაყიდვის** შესახებ — 45; **შრომის დისციპლინის დარღვევის** შესახებ—28

ცხადია, მარტო ეს ციფრები თავისთავად არაფერს მოწმობენ. მთავარია—რა პრაქტიკული შედეგი გამოიღო ამ წერილებისა და კორესპონდენციების მოთავსებამ. ხსენებულ კორესპონდენციებისა და წერილების გამოქვეყნებამ გაზეთის ფურცელში ჩვენი სინამდვილის მრავალი მტკივნეული მხარე გამოიტანა საბჭოთა საზოგადოებრივობის სამსჯავროს წინაშე. ამ მასალების გამოქვეყნებამ დიდი დახმარება გაუწია ჩვენს საკონტროლო და სასამართლო ორგანოებს. ინსპექციის ფურცელმა მეტად შეუწყო ხელი პასუხისმგებლობის გრძნობის გაძლიერებას თვითეულ მუშაკში და სხვ. ყველა ამ მიღწევების სტატისტიკურად აღნუსხვა შეუძლებელია, მათი უარყოფა კი სინამდვილის არდანახვა იქნებოდა.

მაგრამ ეს იმას სრულიადაც არ ნიშნავს, თითქოს ფურცელში მოთავსებული მასალა ყოველთვის აღწევდა მიზანს. ერთობ ხშირია შემთხვევები, როცა მამხილებელი კორესპონდენციები, ან ესა თუ ის პრაქტიკული წინადადება უყურადღებოთ რჩება. უფრო მეტი, არის მაგალითები, როცა გამოაშკარავებული ბოროტმოქმედნი წარჩინებასაც ღებულობენ. რატომ ხდება ეს? პირველ ყოვლისა აქ ხშირად ადგილი აქვს ადგილობრივი ორგანიზაციების უყურადღებობას გაზეთში გამოქვეყნებულ მამხილებელ წერილებისადმი. უმეტეს შემთხვევაში კი ნათესაური გრძნობით თუ სხვა რამ დაუშვებელ მოსაზრებით დაწესებულება - ორგანიზაციების ხელმძღვანელნი ყოვლად გაუმართლებელ მფარველობას იჩენენ იმ პირების მიმართ, ვისი ბოროტი საქმენიც გამომჟღავნებულ იქნა. გაზ. ფურცლებზე. იმისათვის, რომ ამ უმსგავსობას ბოლო მოღებოდა, ინსპექციის ფურცელში დროგამოშვებით ქვეყნდებოდა იმ დაწესებულება - ორგანიზაციების სია, რომელთაც უყურადღებოთ დასტოვეს მათ შესახებ დაბეჭდილი მამხილებელი კორესპონდენციები. ამასთან ერთად რედაქცია წერილობით მოაგონებს ასეთ ორგანიზაცია-დაწესებულებებს, რომ დაიჩქარონ პასუხი მათ შესახებ გამოქვეყნებულ კორესპონდენციებზე. ცალკე შემთხვევებში რედაქცია გზავნის თავის თანამშრომელს პასუხის დაგვიანების მიზეზის გამოსარკვევად. მაგრამ ეს ზომები ყოველთვის ვერ აღწევს მიზანს. ეს კი დიდათ უკარგავს მნიშვნელობას ინსპექციის ფურცლის მუშაობას. ამიტომ შესრულების შემოწმება იყო და არის ინსპექციის ფურცლის ერთ-ერთი მთავარი მტკივნეული ადგილი. ამ ნაკლის გამოსწორებისაკენ იქნება მიქცეული ჩვენი განსაკუთრებული ყურადღება მომავალში. არც ერთი პრაქტიკული წინადადება, არც ერთი მამხილებელი კორესპონდენცია არ უნდა დარჩეს უყურადღებოთ, ასეთია ინსპექციის ფურცლის ამოცანა და, რათაც არ უნდა დაგვიჯდეს ამას უნდა მივაღწიოთ.

როგორია ინსპექციის ფურცელში მოთავსებული მასალების ღირსება, რამდენად სწორად გამოხატავენ ისინი ნამდვილ ვითარებას? ამ მხრივ მდგომარეობა შეიძლება დამაკმაყოფილებლად ჩაითვალოს. უკვე დაბეჭდილ მასალების შემოწმება ცხადჰყოფს, რომ მამხილებელ კორესპონდენციების 95 პროცენტი, თუ მთლიანად არა, არსებითად სწორად გადმოგვცემენ ფაქტებს. ეს, ერთის მხრივ, უნდა ავხსნათ მუშგლეხკორთა რაზმების გაძლიერებით და მათი საზოგადოებრივ შეგნების ზრდით, ხოლო, მეორეს მხრივ, განსაკუთრებული სიფრთხილით, რომელსაც იჩენენ მუშათა და გლეხთა ინსპექცია და რედაქცია მასალების შერჩევის საქმეში.

მაგრამ აქედან ის დასკვნა არ უნდა გამოვიტანოთ, თითქოს ინსპექციის ფურცელს არ ჰქონია და არა აქვს შეცდომები თვითკრიტიკის გაშლის დარგში. მიუხედავათ გამაფრთხილებელ ზომებისა, ფურცელში მაინც გასულა მამხილებელი კორესპონდენციები, რომლებიც სრულიად უმიზეზოდ სცხებდნენ ჩირქს ენერგიულ და კეთილსინდისიერ მუშაკებს. მახინჯნი არიან ადგილობრივ კორესპონდენტებს შორისაც. ამიტომ ყოფილა შემთხვევა, როცა ინსპექციის ფურცლის ნდობა თითო-ოროლა ულირს „კორესპონდენტს" ბოროტად გამოუყენებია. მაგრამ ყოველთვის, როგორც კი ეს აშკარავდება, ინსპექციის ფურცელი ათავსებს ყალბი კორესპონდენციის გამაბათილებელ პასუხს და შესაფერ ზომებს ღებულობს ცრუ კორესპონდენტის წინააღმდეგ. ასეთია კერძო შეცდომები ინსპექციის ფურცელში. მაგრამ ამას გარდა ფურცელს ჰქონდა საზოგადო ხასიათის შეცდომებიც. ეს შეცდომები უნდა აღინიშნოს სწორედ თვითკრიტიკის წესით. ჩვენ მხედველობაში გვაქვს მავნე განხრა, როცა ფურცელი მთავარ ყურადღებას უთმობდა სისხლის სამართლის თუ სხვა სახის დანაშაულებათა გამოაშკარავებას, როცა ბოროტმოქმედებათა და მათ ჩამდენთა აღნუსხვა ჩრდილავდა სხვა საკითხებს, რომელთაც არა ნაკლები მნიშვნელობა აქვთ საბჭოთა აღმშენებლობის წარმატებისათვის. კერძოდ აპარატის რაციონალიზაცია, ჩვენი მუშაობის პრაქტიკის ნაკლოვანებათა გამომჟღავნება უფრო ნაკლებ ყურადღებას იპყრობდა ფურცელში, ვიდრე სხვადასხვა უმსგავსოებათა აღნიშვნა. ამიტომ იყო, რომ ადგილობრივ კორესპონდენტები საბჭოთა აპარატში ხშირად ეძებდნენ იარას და მხოლოდ იარას. მოკლედ, იყო აღებული გეზი იარებზე. უნდა ითქვას, რომ ასეთი მდგომარეობა ახასიათებდა თვითკრიტიკას არა მარტო პრესაში,არამედ ჩვენი სინამდვილის ბევრ სხვა დარგში. ამით სარგებლობდნენ მტრებიც, რომელნიც ცდილობდნენ ნაკლოვანებათა კრიტიკა გადაექციათ საბჭოთა სისტემის კრიტიკათ.

ეს ნაკლი დროზე იქნა შემჩნეული. პარტიამ მოგვცა სათანადო დირექტივები თვითკრიტიკის ხელმძღვანელობის განმტკიცების შესახებ. ინსპექციის ფურცელმა მიიღო ენერგიული ზომები მავნე განხრის გამოსასწორებლად. ბოლშევიკური თვითკრიტიკის შეუნელებლად გაფართოვება, კონკრეტულ ბოროტმოქმედებათა დაუზოგავი გამომჟღავნება, ჩვენი აპარატის ულირს მუშაკთა სამარცხვინო ბოძზე გაკვრა და ამასთან ერთად ყურადღება მუშაობის პრაქტიკის გაუმჯობესებას, რაციონალიზატორულ ღონისძიებათა დასახვა — განხორციელებას — ასეთია ის ამოცანა, რომელსაც ინსპექციის ფურცელი ისახავს მიზნად.

ამ ამოცანის გადაჭრისაკენ იქნება მომავალშიც მიმართული ინსპექციის ფურცლის მთავარი ყურადღება. ეს უნდა ახსოვდეს მტკიცედ მუშა და გლეხ კორესპონდენტებს, რომლების აქტივობაზე ეყრდნობა ინსპექციის ფურცლის მუშაობა.

ინსპექციის ფურცლის განყოფილება.



„კომუნისტი"-ს ტირაჟის ზრდა წლების მიხედვით

მასიური მუშაობის ნაკლოვანებანი

სოციალისტური მშენებლობის ხუთწლიანი გეგმის ვადაზე ადრე შესრულება, ჩვენი ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის გაძლიერება, სასოფლო მეურნეობის კოლექტივიზაცია და საერთოდ სახალხო მეურნეობის სოციალისტურ საფუძველზე გარდაქმნა, დიდ მოთხოვნილებებსა და ამოცანებს უყენებს ბეჭდვითი სიტყვას. მშრომელთა მასების მობილიზაცია ამ საკითხების ირგვლივ და ამ მასების აქტიური ჩაბმა გიგანტიურ მშენებლობაში დიდად არის დამოკიდებული ბეჭდვითი სიტყვის სწორ საქმიანობაზე.

თქმა არ უნდა, რომ ამ დარგში ჩვენს გაზეთებს აქვთ მიღწევები. ბეჭდვითმა სიტყვამ ძლიერ შეუწყო ხელი მილიონიანი მასების მობილიზაციას ჩვენი პარტიისა და ხელისუფლების ლოზუნგის ირგვლივ. მაგრამ ბეჭდვითი სიტყვის დღეს, როდესაც ჯამს ვუკეთებთ ერთი წლის მუშაობას, როდესაც ვთვალიერებთ გაზეთების და მათი რედაქციების საქმიანობას ერთი წლის განმავლობაში, არ უნდა დავკმაყოფილდეთ მარტო მიღწევების აღნუსხვით, არამედ თვითკრიტიკის წესით უნდა აღვნიშნოთ ის ნაკლოვანებანიც, რომელიც თან სდევდა ჩვენს მუშაობას.

დღემდე არ ნახული გიგანტიური მშენებლობის ტემპი მოითხოვს ყველა ორგანიზაციების და წარმოება-დაწესებულებების მუშაობის გარდაქმნას ისე, რომ იგი სავსებით შეეფერებოდეს სოციალისტურ მშენებლობას. როგორია ამ მხრივ ჩვენი რედაქციების მასიური მუშაობის მდგომარეობა? არის თუ არა გარდაქმნილი ეს მუშაობა? უპასუხებს თუ არა რედაქციების მასიური მუშაობა იმ ამოცანებს, რომლებსაც უყენებს მას სოციალისტური მშენებლობის ტემპი? გადაჭრით უნდა ითქვას, რომ არა. ჩვენი რედაქციების მასიური მუშაობა ოდნავადაც ვერ აკმაყოფილებს დღევანდელ მოთხოვნილებებს. სახალხო მეურნეობა დღითი-დღე ფართოვდება. სოციალისტური მშენებლობა გიგანტიური ნაბიჯით მიდის წინ, რედაქციების მასიური მუშაობა კი კუს ნაბიჯით მისჩანჩალებს უკან ამ მშენებლობას. ამას ამტკიცებს ის გარემოება, რომ ზოგიერთ მასიურ გაზეთების რედაქციებში („მუშა“, „ახ. კომუნისტი“) ჯერ კიდევ არ არის ჩამოყალიბებული მასიური მუშაობის განყოფილებები.

უკვე კარგა ხანია რაც „კომუნისტი“-ს რედაქციაში ჩამოყალიბდა მასიური მუშაობის განყოფილება. ამ განყოფილების დანიშნულებაა არა შემოსულ კორესპონდენციების აღრიცხვა მარტო, არამედ მუშკორთა და მუშა მკითხველთა შორის მასიური მუშაობის ფართოდ გაშლა, პარტიისა და ხელისუფლების ლოზუნგების პოპულიარიზაცია მუშათა მასაში, ფაბრიკა-ქარხნების გაზეთებზე ხელმძღვანელობის გაძლიერება, მუშკორთა ინიციატივის აწევა, ყოველგვარ კამპანიებში მუშათა ფართო მასების ჩაბმა და სხვ. უნდა ითქვას, რომ ჩვენი მასიური მუშაობის განყოფილება ამ მხრივ სრულებითაც ვერ ამართლებს თავის დანიშნულებას. მისი მუშაობა სრულებით არ შეეფერება სოციალისტურ მშენებლობის ტემპს. რა არის ამის მიზეზი? ამის მიზეზია ის, რომ მასიური მუშაობის განყოფილების მომუშავეთა ნაწილი არ არის გაცნობილი მუშკორთა ახალ ამოცანებს, ვერ იჩენს საჭირო ენერგიას და ინიციატივას, არ იცნობს მასიური მუშაობის ახალ ფორმებს. ამით აიხსნება ის გარემოება, რომ ჩვენი მასიური მუშაობის განყოფილება ჩამორჩა ტემპებს. დაახლოებით ასეთივე მდგომარეობაა სხვა რედაქციებშიც. რედაქციების მასიური განყოფილებების „მუშაობა“ მუშკორთა შორის უმთავრესად იქეთკენ არის ხოლმე მიმართული, რომ გაზეთი უზრუნველყონ საგაზეთო მასალით. გაზეთების მასიური განყოფილებები ცდილობენ დაიჭირონ კავშირი დიდ საწარმოებთან, ხოლო არც ერთი მათგანი არ უწევს საჭირო ხელმძღვანელობას ან და უწევს სუსტად ამ დიდი საწარმოების ნაბეჭდ თუ კედლის გაზეთებს და მათ მუშკორთა ორგანიზაციებს.

ამას წინად, სტალინის სახელობის ორთქლმავალ-ვაგონების შემკეთებელ ქარხნის ნაბეჭდ გაზეთის „ჩვენი საყვირი“-ს მკითხველთა კრებაზე, სარედაქციო კოლეგიის ერთ-ერთმა წევრმა განაცხადა, რომ დიდი გაზეთების წარმომადგენლები უფრო იმიტომ მოდიან ჩვენთან, რომ რაიმე მასალა წაიღონ. მასიური მუშაობა და ჩვენი გაზეთის მდგომარეობა მათ არ აინტერესებთ. ჩემის აზრით ეს განცხადება სავსებით თუ არა, ნაწილობრივ მაინც სიმართლეს შეიცავს. მასიური მუშაობის განყოფილებების წარმომადგენლები ხშირად რეპორტიორის როლს ასრულებენ. თავიანთ მოვალეობას კი უყურადღებოდ სტოვებენ. ამიტომაა, რომ ძალიან ცუდათ არის დაყენებული მუშათა ახალი კადრების ჩაბმის საქმე მუშკორთა მოძრაობაში. ამით აიხსნება ის გარემოება, რომ რედაქციებს ხელში შერჩათ აქტიურ მუშკორთა მხოლოდ ერთი ჯგუფი. ამით აიხსნება აგრეთვე ის მდგომარეობა, რომ ზოგჯერ მუშკორები წარმოებაში არ არიან მაგალითის მიმცემი სხვა მუშებისათვის, სუსტ მონაწილეობას ღებულობენ საწარმოო თათბირების მუშაობაში, სოციალისტურ შეჯიბრებაში და სხვა მიმდინარე კამპანიებში. ეს,რასაკვირველია, არ უნდა გავიგოთ ისე თითქოს შექმნილი იყოს მუშკორთა მოძრაობის კრიზისი. პირიქით, მუშკორთა მოძრაობა თანდათან იზრდება და ფართოვდება, მაგრამ ამ ზრდასთან ერთად არ ძლიერდება და არ ფართოვდება მასზე ხელმძღვანელობა (ამ მხრივ გამონაკლისს წარმოადგენს გაზ. „კოლექტივიზაციას“ რედაქცია, რომელსაც, შედარებით სხვა რედაქციებთან, უკეთესად აქვს მოწესრიგებული მასიური მუშაობა). შეიძლება ითქვას, რომ ეს ზრდა არის სტიქიური.

მუშკორთა შორის მუშაობის ძველი ფორმა ვერ უზრუნველყოფს ხელმძღვანელობით მრავალრიცხოვან მუშკორთა არმიას. უნდა გარდაიქმნას და გადახალისდეს ეს მუშაობა. მასიური მუშაობის განყოფილებები მჭიდროდ უნდა დაუკავშირდნენ არა თვითეულ მუშკორებს, როგორც ეს არის დღემდე, არამედ მუშკორთა და მკითხველთა მასებს. მასიური მუშაობის განყოფილებებში ჩაბმულ უნდა იქნან ძველი, გამოცდილი და საწარმოო მუშაობაში აქტიური მუშკორები, უამისოდ მასიური მუშაობის სათანადო სიმაღლეზე დაყენება შეუძლებელი იქნება.

ვ. ნანუაშვილი.

კედლის გაზეთები ჩვენში

რაც დრო გადის, კედლის გაზეთებს უფრო მეტი მნიშვნელობა ეძლევათ. წარმოების სწრაფი ნაბიჯით განვითარებამ, სოციალისტურმა აღმშენებლობამ კედლის გაზეთებს ახალი მოთხოვნილება წამოუყენა; კედლის გაზეთების საშუალებით მუშათა ფართო მასები ებმებიან საზოგადოებრივ მუშაობაში გამოაქვთ სამსჯავროზე ყველა ის ნაკლოვანებანი, რომელიც ჯერ კიდევ თან ახლავს ჩვენს წარმოებებს; კედლის გაზეთების როლი და ამოცანები იმდენად დიდია, რომ ზოგიერთი მსხვილი წარმოებები კედლის გაზეთების საშუალებით ვეღარ აუდიან იმ აუარებელ საკითხების გაშუქებას, რომლებიც წამოყენებულია როგორც პარტიის და ხელისუფლების, აგრეთვე თვით წარმოების მიერ.

ასეთმა მდგომარეობამ ბუნებრივად წარმოშვა უფრო მსხვილ წარმოებებში ნაბეჭდი გაზეთების გამოცემის საკითხი. მართლაც ჩვენ ვხედავთ, რომ შარშანდელს აქეთ მთელი რიგი წარმოებისა გადავიდნენ ნაბეჭდ გამოცემებზე ამ მხრივ, როგორც ყოველთვის, პირველ რიგში რკინის გზის წარმოებებს ვხედავთ. ასეთი გამოცემებია თბილისის სტალინის სახელობის მთავარი სახელოსნოს გაზეთი „ჩვენი საყვირი“, თბილისის დეპო— „წითელი დეპოელი“, ა.-კ. რკ. გზების სამმართველო—„რეგულიატორი“, თბ. ტრამვაი,— „ბიუგელი“ და თბილისის მილიცია— „წითელი მილიციელი“.

თბილისს არც ქუთაისი და ჭიათურა ჩამორჩნენ. ქუთაისში გამოვიდა ცნობილი „რკინისგზელი“, რომელსაც საკმაო კარგი წარსული აქვს. შემდეგი ნაბეჭდი გაზეთი გამოვიდა ქ. ჭიათურაში, „ჭიათურის მემადნეო“.

გაზეთების მუშაობაში ჩაბმულია მუშების მოწინავე ნაწილი, მაგრამ ხშირად შევხვდებით ისეთ გაზეთებს, რომლებიც მკითხველებზე თავიანთი გარეგნული ფორმით დიდ შთაბეჭდილებას ახდენენ, მაგრამ თუ ახლო მიხვალთ და გაეცნობით მათ ორგანიზაციულ მუშაობას, დარწმუნდებით, რომ ადგილობრივი კედლის გაზეთებზე მომუშავეებს ჯერ კიდევ ვერ შეუძენიათ სათანადო გამოცდილება.

როგორც პარტიული, აგრეთვე პროფესიონალური ადგილობრივი ორგანიზაციები კედლის გაზეთებს ვერ უწევენ სათანადო ხელმძღვანელობას. ადგილკომები არ იცნობენ საკავშირო პროფსაბჭოს მიერ 1927 წლის 5 ივლისის დადგენილებას, სადაც ნათქვამია, რომ ადგილობრივ კედლის გაზეთებისათვის გაეწიათ ყოველმხრივი დახმარება და შექმნათ ისეთი პირობები, რომ გაზეთებს უფრო მედგრად გაეშალათ თვითკრიტიკის ფრონტი.

გარდა ამისა, ხშირია ადმინისტრაციასა და მუშკორებს შორის გაუგებრობაც. კედლის გაზეთის რედკოლეგიის წევრები ხშირად გაურბიან ადმინისტრაციასთან ნორმალურ ურთიერთობას როგორც „მუშკორის მდევნელთან“.

ამის საბაბს იძლევა ზოგიერთი ადმინისტრატორიც, და კედლის გაზეთის მუშაკებს სთვლის არამკითხე პირებათ. ორივე მხარეს ავიწყდებათ, რომ ისინი ემსახურებიან ერთსა და იმავე საქმეს, სოციალისტურ აღმშენებლობას.

ხშირად რედკოლეგიის წევრები ერთსა იმავე დროს მუშაობენ [illegible] ორგანიზაციებში, რაც ძალზე ხელს უშლის გაზეთის თავის დროზე გამოშვებას. ასეთ მოვლენას ყურადღება უნდა მიაქციონ იმავე ხელმძღვანელმა ორგანიზაციებმა და გაზეთზე მომუშავენი რაც შეიძლება მეტად განტვირთონ სხვა სამუშაოებიდან. მუშკორთა და მკითხველთა კრებებს ზოგიერთ ადგილებზე სულაც არ იწვევენ, მუშკორთა შეკრების დღე სრულიად არა აქვთ შეტანილი გეგმაში. არ არიან დაარსებული მიღწევათა ბიუროები და სხვ.

რაც დრო გადის ნაბეჭდ გაზეთების მიერ კედლის გაზეთებზე ხელმძღვანელობის გაწევა უფრო ძლიერდება და იბმება კავშირი მათ შორის, მაგრამ ასეთი ხელმძღვანელობა ვერ არის გეგმიანად ჩამოყალიბებული. ხელმძღვანელობა დროგამოშვებითი და უსისტემოა, ამის მიზეზია რედაქციებს შორის შეუთანხმებელი მუშაობის წარმოება. ამჟამად თბილისში 200-ზე მეტი კედ. გაზეთი ითვლება. აქედან წარმოებაში 75-მდეა,დანარჩენი ეკუთვნის დაწესებულებებს, საბინაო ამხანაგობებს და არტელებს. ამ რიცხვში არ შედის სამხედრო, მოწაფეთა გაზეთები. რედაქციების ხელმძღვანელობა ნაწილობრივად ვრცელდება რამოდენიმე საწარმოო და დაწესებულებათა კედლის გაზეთებზე, მაგრამ, ვიმეორებთ, ასეთი ხელმძღვანელობა უნდა ჩაითვალოს არა სწორად და სრულიად უგეგმოდ. საქართველოში გამოდის თოთხმეტამდე ნაბეჭდი გაზეთი და ჯერაც კედლის გაზეთებზე ხელმძღვანელობა ვერ არის მათ შორის განაწილებული. თუ ასეა საქმე ისეთ ცენტრში, როგორიცაა თბილისი, რაღა უნდა ითქვას პროვინციის საწარმოო ცენტრებზე და განსაკუთრებით სოფლის კედლის გაზეთებზე.

აუცილებლად საჭიროა რედაქციებმა გაინაწილონ მთელ საქართველოში არსებული კედლის გაზეთები მუდმივი ხელმძღვანელობის გასაწევად. ადგილობრივი კედლის გაზეთების ხელმძღვანელებმა უნდა იქონიონ კავშირი იმავე რედაქციებთან, უნდა მიმართონ ახსნა-განმარტებისათვის მასიურ განყოფილებებს ყველა იმ საკითხების შესახებ, რომლებიც მათ აინტერესებს.

ბეჭდვითი სიტყვის დღეს უნდა ჯამი გაუკეთოთ ჩვენს განვლილ მუშაობას, გავითვალისწინოთ ის დეფექტები და შეცდომები, რომელიც თან ახლდა წარსულ საქმიანობას. მუშათა ფართო მასების მონაწილეობით, პარტიულ და პროფესიონალურ ორგანიზაციების დახმარებით ჩვენ შევძლებთ კედლის გაზეთები გადავაქციოთ თვითკრიტიკის ბასრ იარაღად.

ნიკო. მკერვალი.

მუშათა შეფობა სახელგამზე

საქ. სახელგამის მიმართვა პირველი სტამბის მუშებისადმი

მუშათა ფართო მასების კონტროლის გაძლიერება საბჭოთა აპარატზე, მასების დაახლოვება და ჩაბმა საბჭოთა აპარატის მუშაობაში, ბიუროკრატიზმის აღმოფხვრა, შრომის ნაყოფიერების ზრდა მუშათა შეფობის მთავარ ამოცანას წარმოადგენს. დაზგის მუშების საბჭოთა აპარატში ხელმძღვანელ სამუშაოზე წამოყენების, მუშების მასიურად დაწინაურების და ახალი კადრების აღზრდის საუკეთესო ფორმად უნდა ჩაითვალოს ფაბრიკა-ქარხნების საბჭოთა დაწესებულებებზე შეფობის აღება.

ასეთ შეფობას განსაკუთრებით კულტურულ განმანათლებელი დაწესებულებანი საჭიროებენ. სახელგამი ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კულტურული ორგანიზაციაა,რომელიც დღემდე მოკლებულია მჭიდრო კავშირს მუშათა მასებთან. დიდი კულტურული საქმე—წიგნის ტექნიკურად ჩამოყალიბება და შექმნა—სტამბის და გამომცემლობის საქმეა. გამომცემლობა და პოლიგრაფიული წარმოება ერთმანეთთან მჭიდროდ არიან დაკავშირებული, ამიტომ ისმება კითხვა ვინ უნდა განახორციელოს ჩვენი გამომცემლობის აპარატზე მუშათა კონტროლი? აშკარაა—სტამბის მუშებმა: კერძოდ კი რომ სახელგამზე მუშათა კონტროლი ჩვენი სურვილია, პირველმა სტამბამ იკისროს.

პირველი და მეორე სტამბა საბჭოთა, უმაღლეს ორგანოების დადგენილებით, სახელმწიფო გამომცემლობას გადაეცა. აქედან ცხადია, რომ საქართველოს სახელმწიფო გამომცემლობის და მასთან ერთად აღნიშნულ სტამბების მუშების ხელშია კულტურის უდიდესი იარაღის—წიგნის გამოშვება და მისი მშრომელთა ფართო მასებისათვის მიწოდება. პირველი სტამბის მუშები ყველაზე უფრო დაინტერესებული უნდა იყვნენ სახელგამის აპარატის გაჯანსაღებაში, წიგნის პროდუქციის შეუჩერებლივ ზრდაში და წიგნის გაიაფებაში. 1-ლმა სტამბამ თავისი რიგებიდან სახელგამს უნდა მისცეს ახალი კადრები, რომელნიც თავის ცოდნა-გამოცდილებით, თავისი მუშური შეგნებით და დისციპლინით ხელს შეუწყობენ სახელგამის, როგორც დიდი კულტურული ორგანიზაციის, ზრდას.

საქ. სახელმწიფო გამომცემლობა იმედოვნებს, რომ სოციალისტური მშენებლობის პერიოდში, როცა მხოლოდ მუშათა ინიციატივის ფართო გაშლის საფუძველზე შეიძლება ჩვენი ცხოვრების ყოველი დარგის გარდაქმნა და როცა ეს დიდი საქმე თვით პროლეტარიატის ხელშია—პირველი სტამბის მუშები იკისრებენ შეფობას სახელგამზე.

წინ ხელი-ხელ ჩაკიდებულნი მუშათა ფართო მასების კონტროლის გზით, ჩვენი აპარატის ხელმძღვანელი კადრების გამუშურებისაკენ.

შემდეგი სიტყვა პირველ სტამბის მუშებს ეკუთვნის.

საქ. სახელგამი.

სომხური დრამა ახალი გზების ძიებაში

(საუბარი სომხეთის აკადემიური დრამის ხელმძღვანელ ამხ. აბოვთან)

სომხური სახელმწიფო დრამის წარსული მუშაობისა და მომავალი პერსპექტივების შესახებ სომხეთის სახელმწიფო აკადემიურ თეატრის სამხატვრო ნაწილის გამგემ ამხ. აბოვმა ჩვენი გაზეთის თანამშრომელთან საუბრის დროს შემდეგი განაცხადა: საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე სომხეთში არსებობდნენ მხოლოდ შემთხვევითი დრამატიული წრეები და დასები, რომელნიც დროგამოშვებით დგამდნენ წარმოდგენებს სომხურ სცენაზე. მუდმივი სახელმწიფო დასი ჩამოყალიბდა მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ. აკადემიურ თეატრს პირველ წლებში უხდებოდა კლასიკური პიესებით სარგებლობა. 1926 წლამდე თეატრი უმთავრესად სარგებლობდა რუსულიდან გადმოთარგმნილი პიესებით, ვინაიდან ამ დროს მას არ მოეპოვებოდა თანადროულობისათვის შესაფერისი ორიგინალური რეპერტუარი. ამ წლებში სომხური დრამის მიერ დადგმული იქნა ორიგინალური პიესები: **„მორგანის ნათლიმამა“** შირვან ზადესი, რომელშიაც აღწერილია საზღვარგარეთ მყოფ ემიგრაციის ცხოვრება. ეს პიესა წარმოადგენს დაუნდობელ სატირას ემიგრაციაზე; **„მამაცი ნაზარი“** დემირჩიანის, ზღაპარი, რომელშიაც მოცემულია „წვრილბურჟუაზიული მეშჩანობის იუმორისტული დახასიათება; ბოგდასარიანის **„სისხლიანი უდაბნო“**, რომელსაც თბილისის მაყურებელი იცნობს თბილისის მუშათა თეატრის დადგმებით. ამ პიესაში მოცემულია კოლონიების ბრძოლა იმპერიალიზმის წინააღმდეგ, პიესა მით არის შესანიშნავი, რომ მისი ავტორი, როგორც უშუალო მონაწილე, ზედ-მიწევნით იცნობს კოლონიების ბრძოლას იმპერიალისტური სახელმწიფოების წინააღმდეგ.

გარდა ხსენებულ პიესებისა ამ დროის დიდის წარმატებით იდგმებოდა სუნდუკიანცის **„პეპო“** და **„ხათაბალა“**, რომლებიც გადაკეთებულ და დადგმულ იქნა რეჟისორ გუდლაკიანის მიერ.

რეჟისორ გუდლაკიანის განსაკუთრებული შრომის შედეგად ეს პიესები გადაიქცნენ თანამედროვე აქტუალურ პიესებათ.

გარდა ხსენებული პიესებისა, უკანასკნელი წლების განმავლობაში სომხეთის სახელმწიფო თეატრს მასალათ გამოყენებული აქვს მრავალი რუსული პიესა, რომლებშიაც მოცემულია სოციალისტური მშენებლობის ყოველდღიური საკითხები. ამ პიესებიდან სომხურ სცენაზე განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობდა ე. იანოვსკის **„ბრაზი“**, რომელიც გადაკეთებულია ტ. ახუმიანის მიერ და სომხეთის სინამდვილესთანაა შეთანხმებული. ამიტომ „ბრაზი“ ისეთივე პოპულიარობით სარგებლობს, როგორც ორიგინალური პიესა. რაც შეეხება ორიგინალურ პიესებს, სომხური თეატრი ამ მხრივ ჯერ კიდევ კრიზისს განიცდის. ამჟამად შექმნილია სპეციალური ორგანიზაცია — დრამატიული კომიტეტი, რომელშიაც გაერთიანებულია სომხეთის თეატრალური ხელოვნების საუკეთესო მუშაკები და მწერლები. ეს ორგანიზაცია მხოლოდ უკანასკნელ ხანებში ჩამოყალიბდა და თუ მხედველობაში მივიღებთ იმ გარემოებას, რომ იგი ენერგიულად შეუდგა მუშაობას, იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ მომავალ სეზონში ჩვენ გვექნება ახალი ორიგინალური რეპერტუარი.

თავის არსებობის პირველ წლებში სომხურმა თეატრმა თავი მოუყარა ძველ სომეხ მსახიობებს, რომლებსაც დიდი დამსახურება მიუძღოდათ სომხური თეატრისადმი. ხოლო შემდეგი წლების განმავლობაში ძველ მსახიობებთან ერთად დაწინაურებულ იქნენ ახალი საბჭოთა მსახიობები. სომხეთის თეატრალური ხელოვნების წინაშე დიდი დამსახურება მიუძღვის ძველ, ცნობილ მსახიობებს: ასმიკს, არუს ვოსკანიანს ო. გულაზიანს, ა. ავეტისიანს და მ. მანველიანს, რომლებიც დღესაც წარმატებით მუშაობენ და მთელ ენერგიას ახმარებენ როგორც ახალი კადრების მომზადებას, ისე სახელმწიფო დრამის წარმატებას. მათთან ერთად ყურადღებას იპყრობენ ახალგაზრდა მსახიობები: ავეტ ავეტისიანი, გრაჩიკ ნერსესიანი, გურგენ ჯანიბეკიანი, სურენ ქოჩარიანი და ბ. მურადიანი.

ახალი კადრების მომზადების მიზნით სომხეთის სახელმწიფო დრამასთან დაარსებულია სპეციალური სამწლიანი სკოლა. ამ სკოლის მსმენელები უშუალოდ ჩაბმულნი არიან სახელმწიფო დრამის პრაქტიკულ საქმიანობაში. გარდა ამისა სახელმწიფო თეატრთან ჩამოყალიბებულია რეჟისორ ასისტენტების ჯგუფი, რომელსაც ხელმძღვანელობენ სახელმწიფო დრამის საუკეთესო რეჟისორები. ამ ჯგუფის ორ მონაწილეს **ვ. ვაგარ შანიანს და ტ. შამირხანიანს** მიმდინარე სეზონში ქონდათ დამოუკიდებელი დადგმები, რომლებშიაც მათ აუცილებლად დაამტკიცეს რეჟისორული ნიჭი და მხატვრული ალღო. გარდა სახელმწიფო დრამისა სომხეთში არსებობს ლენინაკანის დრამატიული წრე. იგი შესდგება უმთავრესად ახალგაზრდა მსახიობებისაგან (უმეტეს მათგანს ცოდნა მიღებული აქვს მოსკოვის დრამატიულ სტუდიაში). გარდა ამისა სომხეთში არსებობენ მოძრავი მუშათა და სასოფლო თეატრები, რომლებიც იმყოფებიან პოლიტგანათლების მთავარ სამმართველოს და პროფსაბჭოს განკარგულებაში. ხსენებულ თეატრებს შეძლებისადაგვარად იდეოლოგიურ და მხატვრულ ხელმძღვანელობას უწევს სახელმწიფო დრამატიული თეატრი. აღსანიშნავია აგრეთვე საბავშო თეატრი, რომელიც სახელმწიფო დრამის ხელმძღვანელობის ქვეშ იმყოფება. სომხეთის თეატრალური ხელოვნების ერთ-ერთ ნაკლად უნდა ჩაითვალოს ის გარემოება, რომ იქ აქამდე არ არის ჩამოყალიბებული ხელოვნების მთავარი სამმართველო. სომხეთის დრამის მთავარ მტკივნეულ საკითხად მიჩნეულ უნდა იქნას აგრეთვე ორიგინალური დრამატურგიის სისუსტე. ორიგინალური რეპერტუარის შექმნის მიზნით სომხეთში სამჯერ გამოცხადდა კონკურსი საუკეთესო პიესებზე, რომლის შედეგადაც სომხეთის სცენამ მიიღო ბაგდასარიანის პიესა „სისხლიანი უდაბნო“.

რაც შეეხება სახელმწიფო დრამატიული თეატრის მოგზაურობას, უნდა აღვნიშნოთ, რომ ამ მოგზაურობის მთავარ მიზანს შეადგენს ა.-კ. მშრომელი მოსახლეობის გაცნობა სომხეთის თეატრის მიღწევებთან. ამასთან ერთად თეატრის უშუალო მიზანს შეადგენს საქართველოს და აზერბეიჯანის თეატრების მუშაკებთან კავშირის დამყარება.

სომხეთის სახელმწიფო აკადემიური თეატრის მუშაკები დარწმუნებულნი არიან, რომ თავისი მოგზაურობით ისინი არა მარტო გააცნობენ თავის თავს მეზობელ რესპუბლიკებს და გაიცნობენ მოძმე ხალხების თეატრებს, არამედ ხელს შეუწყობენ ამიერ კავკასიის თეატრალური ხელოვნების ცენტრის შექმნას, რომელიც უხელმძღვანელებს ამიერ-კავკასიის რესპუბლიკების ნაციონალურ თეატრებს. უნდა აღინიშნოს, რომ ასეთი ცენტრი თეატრალური ხელოვნებისა არ არსებობდა და თუ არსებობდა, იგი თავის კვალს ვერ აჩენდა ცალკე რესპუბლიკების თეატრების მუშაობაზე. მომავალში ეს გარემოება აღმოფხვრილი უნდა იქნას და ამიერ-კავკასიის თეატრალური ხელოვნების ცენტრმა რეალურად უნდა უხელმძღვანელოს და შეაკავშიროს ამიერ-კავკასიის ცალკე რესპუბლიკათა თეატრები.

სამხედრო პრესა

სამხედრო პრესას საძირკველი ჩაეყარა მუშურ-გლეხური წითელი არმიის შექმნასთან ერთად. გაზეთი ყოველთვის თან სდევდა წითელარმიელს მის ბრძოლებში პროლეტარიატის მტრებთან. გაზეთი ამხნევებდა არმიელებს, აწვდიდა მათ ნამდვილ ცნობებს იმ უდიდესი ბრძოლების შესახებ, რომლებსაც აწარმოებდა საბჭოთა კავშირის მუშათა კლასი თავისუფლების მოსაპოვებლად, აშუქებდა პარტიის პოლიტიკას.

სამხედრო პრესამ წითელარმიელთა და მეთაურთა მასებში დიდი სიყვარული დაიმსახურა. როდესაც დამთავრდა ბრძოლები შინაურ და გარეშე კონტრ-რევოლიუციონერების მოსასპობად, სამხედრო პრესამ მიზნად დაისახა ხელი შეეწყო წითელი არმიის რიგების განმტკიცებისათვის მომავალ ბრძოლებში. ამასთანავე პრესა იბრძოდა წითელარმიელთა კულტურულ- პოლიტიკური დონის ასამაღლებლად. აქაც სამხედრო პრესამ მოიპოვა უდიდესი გამარჯვება.

დღეს სამხედრო პრესა წარმოადგენს მძლავრ იარაღს, მიმართულს წითელარმიის ბრძოლის უნარიანობის განსამტკიცებლად. ყოველდღიური სამხედრო გაზეთები, მრავალტირაჟიანები, ასეულის კედლის გაზეთები თავდადებით ებრძვიან ნაწილების ყოველგვარ ნაკლს, ხელს უწყობენ სამხედრო და პოლიტსწავლების შინაარსის გაუმჯობესებას, ამხელენ უარყოფით მოვლენებს, რომლებსაც ადგილი აქვთ ამა თუ იმ ნაწილის ცხოვრებაში.

ყოველდღიურად იზრდება და მტკიცდება სამკორთა რიგები. კავკასიის წითელდროშოვან არმიის პოლიტსამმართველოს გაზეთის „კრასნი ვოინი“-ს და ნაწილების გაზეთების ირგვლივ დარაზმულია 8.000 სამკორი.

1923 წელს გაზეთ „წითელ არმიელს“ ჰყავდა მხოლოდ 32 სამკორი. სამკორთა რიცხვი ყოველდღიურად იზრდებოდა. 1924 წელს იყო 100 სამკორი, 1928 წელს— 1.021 სამკორი, 1929 წელს— 1.349 სამკორი, ხოლო დღეს სამკორთა რიცხვი უდრის 1.479 კაცს.

რიცხვობრივ ზრდასთან ერთად იზრდება და უმჯობესდება თვით სამკორთა ორგანიზაციის ხარისხიც. გასულ წლებში სამკორები აწვდიდნენ გაზეთს ისეთ მასალებს, რომლებიც, ხშირ შემთხვევაში, არ აშუქებდნენ სამხედრო და პოლიტიკურ სწავლებასთან დაკავშირებულ საკითხებს. მაგალითად, 1929 წლის პირველი ოთხი თვის განმავლობაში „წითელარმიელი“-ს რედაქციამ მიიღო 3.320 წერილი. აქედან გამოუყენებელი დარჩა 1.400 წერილი. მიმდინარე წლის ნახევარში, თებერვალში, მარტში და აპრილში კი მიღებულ 2.521 წერილიდან გამოყენებული იქნა 1.985 წერილი. ეს ციფრები მოწმობენ, თუ როგორ გაუმჯობესდა მუშაობა ნაწილების სამკორთა ორგანიზაციაში.

მიღწევებთან ერთად სამხედრო პრესას აქვს ზოგიერთი ნაკლიც, რომლის გამოსწორება უფრო განამტკიცებს სამკორთა რიგებს. ნაწილების გაზეთებმა მეტი ყურადღება უნდა მიაქციონ საბრძოლო მომზადების საკითხებს და ამ საკითხების პოპულიარიზაციას, უნდა გაძლიერდეს აღმზრდელობითი მუშაობა სამკორთა შორის, მუშაობის გაუმჯობესების მიზნით ფართოდ უნდა იქნეს გამოყენებული გაზეთების მიერ სოციალისტური შეჯიბრების და დამკვრელობის მეთოდი.

№ საარტილერიო ლეგ. სამკორი ამხ. მითაიშვილი იწერება: „ლეგიონში სამკორთა შორის არ მიმდინარეობს მეცადინეობა, რის გამო სამკორებმა არ იციან, თუ რაზე სწერონ. მრავალტირაჟიანები გამოდიან თავის დროზე, მაგრამ ისინი არ აქცევენ სათანადო ყურადღებას საბრძოლო მომზადების სუსტ მხარეებს“. ასეთივე მდგომარეობაა სხვა ნაწილებშიაც.

პროლეტარული პრესის დღეს— 5 მაისს,— ნაწილებმა უნდა შეამოწმონ სამკორთა ორგანიზაციები, სამკორთა მუშაობა. უმთავრესი ყურადღება უნდა მიექცეს საბრძოლო მომზადებას და ნაწილების ბრძოლის უნარიანობის განმტკიცებას.

ამასთანავე გამონახული უნდა იქნას გზები მჭიდრო კავშირის დასამყარებლად მუშკორთა, გლეხკორთა და სამკორთა ორგანიზაციებს შორის. დღეს-დღეობით ეს კავშირი ძლიერ სუსტია. ამ კავშირის განმტკიცება კი დიდათ შეუწყობს ხელს მშრომელი მოსახლეობის გასამხედროებას, რაც აუცილებელი პირობაა მშრომელთა ბრძოლის უნარიანობის განმტკიცებისათვის.

ე. ხ.

ორიოდე სიტყვა ჟურნალ „საქართველოს მუშგლეხკორზე“

ჟურნალი „საქართველოს მუშგლეხკორი“ უნდა წარმოადგენდეს მუშგლეხკორთა მოძრაობის მასიურ სახელმძღვანელო ორგანოს. ნამდვილად კი აღნიშნულ ჟურნალს არავითარი კავშირი მუშგლეხკორთა მასებთან არა აქვს. ჟურნალი უნდა რაზმავდეს მუშათა ფართო მასებს ჩვენს ყოველდღიურ ამოცანების ირგვლივ. იგი თავის დროზე უნდა აძლევდეს ტონს ფაბრიკა-ქარხნების გაზეთების სარედაქციო კოლეგიებს პარტიისა და ხელისუფლების მიერ წამოწყებულ ამა თუ იმ კამპანიის შესახებ. სინამდვილეში კი ჟურნალი სრულებითაც ვერ უწევს ხელმძღვანელობას მუშგლეხკორთა ორგანიზაციებს და სარედაქციო კოლეგიებს. ეს იქიდანაც სჩანს, რომ ფაბრიკა-ქარხნების გაზეთების სარედაქციო კოლეგიების უმრავლესობა, არამც თუ არ იწერს ამ ჟურნალს და არ ავრცელებს მას მუშებში, არამედ არც კი იცის არსებობს თუ არა სადმე ასეთი ჟურნალი.

როგორც ვიცით, ჟურნალის სარედაქციო კოლეგიაში შედიან გაზეთების რედაქციების წარმომადგენლები. უკანასკნელად რედკოლეგიაში შეიყვანეს აგრეთვე ორი მუშკორიც, მაგრამ როგორც თვით ნაბეჭდ გაზეთების რედაქციის წარმომადგენლები არაფერს აკეთებენ, ისე ახლად არჩეული მუშკორებიც სარედაქციო კოლეგიაში არაფერს წარმოადგენენ. კიდევ მეტი. ჟურნალის სარედაქციო კოლეგიას არც კი უფიქრია ამ მუშკორების გამოყენების შესახებ რამე საქმეში.

მგონი თვით სარედ. კოლეგიის სხდომაც არ შემდგარა. ვისი ბრალია ეს? ეს ბრალია იმისა, რომ სარედაქციო კოლეგია სიცოცხლეს ვერ იჩენს. ბრალია იმისა, რომ არავითარი კავშირი აღნიშნულ ჟურნალის რედაქციასა და გაზეთების მასიურ განყოფილებებს შორის არ არსებობს. დასასრულ ბრალია იმისა, რომ ეს განყოფილებები არ არიან დაინტერესებული ჟურნალის არსებობით, მათ ვერ შესძლეს ჟურნალისა და მუშკორთა მასების დაახლოვება.

ამგვარად ჟურნალი „საქართველოს მუშგლეხკორი“ წარმოადგენს არა მასიურ ჟურნალს, არამედ ამ მასებიდან რაღაც განყენებულ ორგანოს. ეს ნაკლოვანებები მომავალში უნდა გამოსწორდეს. „საქართველოს მუშგლეხკორი“ უნდა გახდეს ნამდვილ მუშგლეხკორთა მასის სახელმძღვანელო ჟურნალად. იგი უნდა შეიჭრას ფაბრიკა-ქარხნებში და გაუწიოს ორგანიზაციული და იდეური ხელმძღვანელობა გაზეთებს. ჟურნალი უნდა აწარმოებდეს როგორც კედლის გაზეთების რედკოლეგიების, ისე ნაბეჭდ გაზეთების მასიური განყოფილებების მუშაობის შემოწმებას. მხოლოდ ასეთი გზით გადავაქცევთ „მუშგლეხკორს“ მასიურ ჟურნალად. ამ მუშაობის ჩატარება კი შესაძლებელი იქნება იმ შემთხვევაში, თუ ჟურნალის მუშაობაში ჩავაბამთ მუშგლეხკორთა მასებს და გაუწევთ მათ სწორ ხელმძღვანელობას.

დასასრულ უნდა აღინიშნოს, რომ საერთოდ რედაქციების მუშაობის თვითკრიტიკა ძალიან სუსტად არის გაშლილი. წინადადების წესით მინდა განვაცხადო, რომ ჩემის აზრით არ იქნებოდა ურიგო, თუ თვითკრიტიკის ფართოდ გაშლის მიზნით, ნაბეჭდ გაზეთებში შემოვიღებდეთ ორკვირეულ განყოფილებას თვით რედაქციების მუშაობის შესახებ. ამ განყოფილებებში მოთავსდებოდა წერილები და შენიშვნები მუშა მკითხველებისა იმის შესახებ, თუ როგორ ჩაატარა გაზეთმა ესა თუ ის კამპანია და როგორ აწარმოებს მასიურ მუშაობას. ეს იქნება ერთგვარი თვითშემოწმება რედაქციების მუშაობის. ვფიქრობთ ეს გარემოება ფართოდ გაშლის თვითკრიტიკას რედაქციების მუშაობაში და გააუმჯობესებს მასიურ მუშაობასაც. ყოველ შემთხვევაში საჭიროა ამ საკითხზე მუშა მკითხველებმა გამოსთქვან თავიანთი აზრი.

ვ. ნ.

პრესის დღის აღსანიშნავად

წიგნის ბაზრის გახსნა

დღეს, საღამოს 6 საათზე, კომუნარების სახელობის ბაღში გაიხსნება წიგნის დიდი ბაზარი, სადაც საკუთარი კიოსკები ექნებათ მოწყობილი ყველა საგამომცემლო და წიგნების გამსაღებელ ორგანიზაციებს. ბაზრის მოწყობაში მონაწილეობას ღებულობენ— საქ. სახელგამი, „ზაკკნიგა“ რუსეთის სახელგამი, „გოსტეხიზდატი“,ცეკავშირი, სატრანსპორტო კოოპერაცია, ულმერთოთა საზოგადოება და სხ.

წიგნის ბაზარზე მოწყობილი იქნება ლატარიები, ახალი წიგნების გასასყიდი კარვები, ძველი წიგნების გამოფენები და სხ. ბაზარზე ყველა წიგნები გაიყიდება 15-დან 20 პროცენტის ფასდაკლებით. ბაზრის გახსნის დღეს წიგნებით ვაჭრობა იწარმოებს საღამოს 6 საათიდან 10 საათამდე, ხოლო შემდეგ დღეებში დილის 9 საათიდან—ნაშუადღევის 2 საათამდე და საღამოს 6 საათიდან 9 საათამდე.

წიგნის ბაზარი დაიხურება 20 მაისს.

ბეჭდვითი სიტყვის დღე მუშათა კლუბებში

ბეჭდვითი სიტყვის დღის აღსანიშნავად მუშათა კლუბებში დღეს მოეწყობა სპეციალური საღამოები. ჩატარდება მოხსენებები ბეჭდვითი სიტყვის ამოცანების შესახებ, მოეწყობა კონცერტები, გამოფენები (კედლის გაზეთების, ბეჭდვითი გაზეთების ტირაჟის, კორესპონდენტთა ქსელის— კორესპონდენტთა მუშაობის და სხვ. შესახებ), ცნობათა მაგიდები, თავის ნაწარმოებებს წაიკითხავენ პროლეტარული მწერლები.

პლეხანოვის სახ. მუშათა კლუბში საღამოს აწყობს გაზ. „კომუნისტი“, „ზარია ვოსტოკა“ და „რაბოჩაია პრავდა“. მბეჭდავთა კავშირის კლუბში—„მუშა“, რაბოჩაია პრავდა“ და „მოლოდოი რაბოჩი“. მეტყავეთა კლუბში— „რაბოჩაია პრავდა“ და „პროლეტარი“. აღმშენებელთა კლუბში —„მუშა“ და „პროლეტარი“. ნარიმანოვის სახელობის მუშათა კლუბში — გაზ. „ენი კენდ“. მიხა ცხაკაიას სახელობის მუშათა კლუბში გაზეთების ბიურო მოაწყობს ჟურნალ-გაზეთების გამოფენას.

გაზეთები „ენი კენდ“, „პროლეტარი“ და „კოლექტივიზაცია“ რაიონებში ჩაატარებენ მკითხველთა კონფერენციებს. ბეჭდვითი სიტყვის დღის აღსანიშნავად წარმოებებში გამოვა კედლის გაზეთების სპეციალური ნომრები. ბეჭდვითი სიტყვის სექცია ამ დღის აღსანიშნავად სამთავისის კომუნაში გზავნის თავის წარმომადგენელს, რომელსაც გაატანს ლიტერატურას კომუნისათვის.

მკითხველთა კონფერენცია

დღეს, 5 მაისს, სად. 8 საათზე მოწვეულია საქ. სახ. პოლიტეხნიკური ინსტიტუტის გაზ. „ლენინელი სტუდენტი“-ს მკითხველთა კონფერენცია.

კონფერენცია ჩატარდება შემდეგი დღის წესრიგით: 1) სარედაქ. კოლეგიის მოხსენება, 2) პროლეტ. მწერლების გამოსვლა, 3) კონცერტი.

ტირიფონის არხის გამოცდა ბრწყინვალედ მიმდინარეობს

წყალი მოვიდა მეჯვრისხევში

მეჯვრისხევი, 4 მაისი. დღეს, დილით გაუშვით წყალი პატარა ლიახვიდან ტირიფონის მაგისტრალურ არხში. საღამოთი წყალი დაუბრკოლებლივ მივიდა სოფ. მეჯვრისხევში. ხვალ განვაგრძობთ არხის მესამე უბნის გამოცდას.

ინჟ. ლიაძე.

საქართველოს პროლეტარულ სტუდენტთა პირველი ყრილობა

კადრების მომზადება და უმაღლეს სასწავლებლების რეორგანიზაცია

(ამხ. დ. კანდელაკის მოხსენება)

კადრების მომზადებისა და უმაღლეს სასწავლებლების რეორგანიზაციის შესახებ პროლეტ. სტუდენტთა ყრილობაზე მოხსენებით გამოვიდა განათლების სახკომისარი ამხ. დ. კანდელაკი მომხსენებელმა აღნიშნა, რომ სახალხო მეურნეობის განვითარება-გაძლიერებასთან დაკავშირებით აუცილებელი გახდა უმაღლეს კვალიფიკაციის მქონე სპეციალისტთა კადრების შექმნა. უმაღლეს სპეციალობის მქონე მუშაკების საჭირო რაოდენობა გამორკვეული უნდა ყოფილიყო სახალხო მეურნეობის განვითარების ხუთწლიან გეგმასთან დაკავშირებით. მართალია, ხუთწლიანი გეგმის საგრძნობი ნაწილი ამჟამად უკვე განხორციელებულია, მაგრამ ხუთწლედის განმავლობაში საჭირო კადრების დაახლოვებითი რაოდენობის გამორკვევა შესაძლო შეიქნა მხოლოდ უკანასკნელ ხანებში. სახალხო მეურნეობის რეკონსტრუქციასთან ერთად საჭირო შეიქნა ძველად არსებულ უმაღლეს სასწავლებლების გარდაქმნა-გადახალისება. სწორედ ამით იყო გამოწვეული პოლიტეხნიკური და სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტების რეორგანიზაცია. ამ გზით ჩვენ ერთის მხრით შევძლებთ მეცნიერული ძალების უფრო მიზანშეწონილად გამოყენება და მეორეს მხრით სამეცნიერო დაწესებულებებისა და ლაბორატორიების უფრო რაციონალურად მოწყობა.

ძველ პირობებში თვითეულ უმაღლეს სასწავლებლებს ჰქონდა თავისი საკუთარი ლაბორატორიები და კაბინეტები, რომლებიც ვერ იყვნენ სათანადოთ მოწყობილი. რეორგანიზაციის შემდეგ შესაძლო გახდა მათი გაცილებით უკეთ მოწყობა, გარდა ამისა, რეორგანიზაციის შემდეგ ეს უმაღლესი სასწავლებლები უფრო დაუახლოვდნენ იმ დაწესებულებებს, რომლებიც უშუალოდ არიან დაინტერესებული ამ სასწავლებლებით (მრეწველობა, მიწადმოქმედების სახკომისარიატი, სასოფლო-სამეურნეო კოოპერაცია და სხვ.) ცხადია, კადრების უფრო მეტი პრაქტიკული გამოცდილებით მომზადებისათვის საჭიროა ამ სასწავლებლების კიდევ უფრო დაახლოვება იმ წარმოებებთან, რომლებმაც მათ უნდა აღუზარდოს მომავალი მუშაკები. გარდა ამისა, საჭიროა კადრების მომზადების საქმეში უფრო მეტი რაციონალიზაციის შეტანა. მომხსენებელი აღნიშნავს, რომ მართალია, ჩვენ ამჟამად გვყავს პროფესორებისა და დოცენტების საკმაო რაოდენობა, მაგრამ მათი უმრავლესობის მეცნიერული მომზადების დონე სათანადო სიმაღლეზე ვერ სდგას. ამის გამო საჭიროა უფრო მეტი მიზანშეწონილობით გამოვიყენოთ ის მეცნიერულად ჯეროვნად მომზადებული ძალები, რომლებიც დაფანტული არიან მთელ საბჭოთა კავშირში.

ამ მიზნით საჭიროა ხსენებულ უმაღლეს სასწავლებლების უფრო მეტი სპეციალიზაცია და კონცენტრაცია. ამ გარემოებას სათანადო ყურადღება მიაქცია კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ნოემბრის პლენუმმა, რომელმაც კადრების მომზადების მიზნით გარკვეული დადგენილებები გამოიტანა. მომხსენებელი აღნიშნავს, რომ ეს დადგენილებები ჯერ-ჯერობით ვერ არიან განხორციელებული.

კადრების მომზადების საქმეში დიდი მნიშვნელობა აქვს პედაგოგებისა და პროფესორების შემადგენლობას. ამიტომ ამჟამად განსაკუთრებული ყურადღება ექცევა თანამედროვე სულისკვეთების მქონე, ახალი პროფესორის და მეცნიერული ძალების მომზადებას. რასაკვირველია, ასეთ ძალებათ არ შეიძლება მომზადებული იქნან ანტისაზოგადოებრივი და ანტისაბჭოთა ელემენტები. ახალგაზრდა ასპირანტურის მომზადების საქმეს საგრძნობლად აფერხებს პროფესორების კონსერვატიული ნაწილი, რომელიც ეწინააღმდეგება უმაღლეს სასწავლებლების რეორგანიზაციას. გარდა ამისა, ასპირანტურა საკმაოთ უზრუნველყოფილი ვერ არის მატერიალურად და მათ საშუალება არა აქვთ მთელი დრო მოანდომონ თავის სამეცნიერო მომზადებას.

კადრების მომზადების გაუმჯობესების მიზნით შემოღებული იქნა სტუდენტების კონტრაქტაცია და განუწყვეტელი საწარმოო პრაქტიკა. მომხსენებელი აღნიშნავს, რომ კონტრაქტაცია და საწარმოო პრაქტიკა ჩვენს უმაღლეს სასწავლებლებში ჯერ კიდევ ვერ არის სათანადო დონეზე დაყენებული. ამას ნათლად მოწმობს ის გარემოება, რომ სახ. პოლიტეხნიკურ ინსტიტუტში აქამდე კონტრაქტაციაქმნილია მხოლოდ 275 სტუდენტი, სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტში 290, სახ. უნივერსიტეტში—137 და სხვ. ეს გარემოება ამტკიცებს, რომ ჩვენ სამეურნეო ორგანოებს აქამდე ვერ შეუგნიათ კონტრაქტაციის დიდი მნიშვნელობა. განათლების სახკომისარიატს აქამდე არ ჩაუტარებია პედაგოგიურ ფაკულტეტის სტუდენტების კონტრაქტაცია, თუმცა კომისარიატი პედაგოგების დიდ მოთხოვნილებას განიცდის. საკმაოთ ვერ არის შეთანხმებული წარმოებებთან უმაღლეს სასწავლებლების სამოსწავლო გეგმები და პროგრამები. სამეურნეო ორგანიზაციები ჯერ კიდევ მოწყვეტილი არიან უმაღლეს სასწავლებლებს. მათ შორის აქამდე არსებობს მხოლოდ მექანიკური შეთანხმება. ახლო მომავალში ეს დაბრკოლება გადალახულ უნდა იქნას და უმაღლესი სასწავლებლები ორგანიულად უნდა დაუკავშირდნენ სათანადო წარმოების ყოველდღიურ საქმიანობას.

შემდეგ მომხსენებელი ახასიათებს უმაღლეს სასწავლებლების რეორგანიზაციის გეგმას, რომელიც შემუშავებულია განათლების კომისარიატისა და ხელმძღვანელ ორგანოების მიერ. ამ გეგმის მიხედვით ამჟამად არსებული უმაღლესი სასწავლებლები უმთავრესად იშლებიან და სამაგიეროთ არსდება ცალკე ინსტიტუტები ცალკე სპეციალობათა მიხედვით. სახელმწიფო პოლიტეხნიკურ ინსტიტუტის ნაცვლად დაარსებული იქნება მელიორატიული და სამთო-მეტალურგიული, ამიერკავკასიის ელექტრო-ქიმიური, ა.-კ. სატრანსპორტო, დამოუკიდებელი სააღმშენებლო და ა.-კ. საფეიქრო ინსტიტუტი, ასევე ცალკე ინსტიტუტებათ დაიყოფა სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი, რომელსაც გამოეყოფა მესაქონლეობის სუბტროპიკული და სატყეო ინსტიტუტები, ხოლო ერთად დარჩება მემინდვრეობის, მებაღეობა-მევენახეობის და სოფლის მეურნეობის მექანიზაციის ინსტიტუტი.

სპეციალურ ინსტიტუტებათ განაწილება აგრეთვე სახელ. უნივერ. უმაღლეს სასწავლებლების სპეციალიზაციის მტკიცედ გატარებასთან ერთად გატარებული უნდა იქნას საშუალო სასწავლებლების სპეციალიზაცია, რომ საშუალო სასწავლებლების უკანასკნელ ჯგუფებში უკვე გამორკვეულ იქნას თვითეული მოსწავლის მომავალი სპეციალობა.ამასთან ერთად მომხსენებელი საჭიროთ სცნობს, რომ სტუდენტების საზოგადოებრივი ორგანიზაციები მაქსიმალურად განტვირთულ იქნან ადმინისტრატიულ ფუნქციებიდან, რომ უფრო მეტი ყურადღება მიაქციონ თავის მეცნიერულ მომზადებას და მტკიცედ გაატარონ კლასობრივი ხაზი უმაღლეს სასწავლებლის ყოველდღიურ საქმიანობაში.

მეცნიერება და ტეხნიკა

სილოსის როლი მესაქონლეობის განვითარებაში

ჩვენი მესაქონლეობის დაბალი პროდუქტიულობის ერთ-ერთი მიზეზი არის საქონლის ცალმხრივი კვება. გლეხურ მეურნეობაში საკვები რაციონი სრულებით არ დგება. ხშირად საქონელი ვერ ძღება და სიცოცხლის შესანარჩუნებელ საკვებ ნივთიერებას ის ღებულობს მისივე ორგანიზმის შემადგენელ ნაწილების დაშლით.

სასოფლო მეურნეობის კოლექტივიზაციამ, ცხადია, წვრილ გლეხურ მეურნეობის ეს ნაკლი ძირფესვიანად უნდა აღმოფხვრას. საქონლის კვება უნდა სწარმოებდეს სათანადოთ შედგენილ რაციონებით, უხეში საკვების ნაწილი ძლიერი და ნოყიერი საკვებით უნდა შეიცვალოს.

საკვების არასაკმარისობა, პროდუქტიულ მსხ. რქოსან საქონლის განსაზოგადოება (სამრეწველო რაიონებში), საქონლის რაციონებით კვება, მისწრაფება პროდუქციის თვითღირებულების შემცირებისა და დაბოლოს სილოსის ხიბლი—ჩვენს წინაშე აყენებს საკითხს საკვების დასილოსების საქმის სათანადოთ დაყენებისა და აქედან გამომდინარე სასილოსე კოშკების თუ ორმოების მშენებლობის შესახებ.

სილოსის დამზადების პრაქტიკული წესები ჩვენი აგრონომებისათვის ჯერ კიდევ ახალი და უცნობია. ამერიკაში და გერმანიაში კი სილოსს საქონლის კვების საქმეში მეტად დიდი გამოყენება აქვს.

მწვანე საკვების დასილოსების უპირატესობა იმაში გამოიხატება, რომ საკვები ნივთიერების დაკარგვა შენახვის დროს მინიმუმამდეა დასული. ზამთრის პერიოდში საშუალება გვაქვს საქონელი ვკვებოთ იაფფასიანი წვნიანი მწვანე საკვებით. დასილოსება იძლევა საშუალებას, რათა საქონლის საკვებად გამოვიყენოთ სარეველა მცენარეები, რომლებიც თივად სრულებით არ გამოიყენება ან იძლევა ცუდი ხარისხის თივას. დაბოლოს დასილოსების დროს ბინის ეკონომიას აქვს ადგილი.

დასასილოსებლად კულტურულ მცენარეებიდან გამოდგება: სიმინდი, საშაქრე სორგო ძროხის ბარდა, მზესუმზირა, სოია, მიწის ვაშლი, კარტოფილის და ჭარხლის ფოთლები ყინვაშესწრებული კარტოფილი, კვახი (გოგრა), ძირნაყოფები და სხვ. სარეველები საბოლოოდ ჯერ კიდევ არ არის ამ მხრივ შესწავლილი. მაგრამ ნაწილი კი ჩვენთვის ცნობილია—რომლებიც დასასილოსებლად შეიძლება გამოვიყენოთ. ამის შესახებ ცდები უწარმოებია ჯერ კიდევ 1917 წელს აფხაზეთის საცდელ სადგურს (კუპრიანოვის წერილი— Черноморское сельское хозяйство 1917 г. № 1—2.

1) გარეული სტაფილო (საქონელი მადიანად სჭამს) 2) შალაფა (მრავალწლიანი ხარეველა ბალახია (სორგო), რომელსაც დასავლეთ საქართველოში სიმინდის კულტურისათვის დიდი ზიანი მოაქვს. დასილოსებული მშვენიერი საკვებია), 3) გარეული ციკორიუმი (საუკეთესო ხარისხის საკვები მიიღება. საქონელი ხარბად ეტანება). 4) გინაპოლაკი— (წმინდა სახით იმდენად მადიანად არ ეტანება საქონელი, მაგრამ დასილოსებული ნარევი სახით კარგია), 5) ქათმის ფეტვი (საუკეთესო საკვებია დასილოსების შემდეგ), 6) ძურწა, 7) გვიმრა (წმინდა სახით დასილოსებული იძლევა ცუდ სუნს, საქონელი არ ეტანება). ნარევი სახით ეს თვისება გაქარწყლებულია და ორგანიზმსაც სრულებით არ ვნებს. გარდა ამისა



ამერიკული სამკედლიანი სასილოსე კოშკი

—:—

გამოიყენება მრავალი სხვა სარეველები და მცენარეების ახალგაზრდა ფოთლები—ვაშლის, მსხლის და სხვ.

პროფესორ ბოგაევსკის გამოანგარიშებით თუ შევადარებთ მოსავალს საკვები ერთეულებით იმ მცენარეებისას, რომლებიც სასილოსეთ იხმარება, დავინახავთ შემდეგს (შედარება მარცვლოვან კულტურების იმ რაიონების, სადაც წლიური ნალექები უდრის 450 mm).

პურეულები (ჰექტარიდან) საშუალოდ იძლევიან	1.500 საკვებ ერთეულს
კბილებიანი სიმინდი დასილოსებული—	6.500 საკვებ ერთეულს
მზესუმზ. დასილ.	5.100 საკვებ ერთეულს
სორგო დასილოს.	4.500 საკვებ ერთეულს
კარტ. დასილოს.	3.000 საკვებ ერთეულს
ჭარხალი დასილოს.	2.000 საკვებ ერთეულს

2 ტონა დასილოსებული სიმინდი უდრის (სახამებლოვანი ეკვივალენტის მიხედვით) 1 ტ. კარგ თივას. სილოსი ერთად-ერთი მთავარი აქტორია საკვების პრობლემის გადაჭრის საქმეში. დღეს სილოსის როლი მესაქ. რეკონსტრუქციის პერიოდში უდიდესია. ის ადიდებს მეურნეობაში საკვებ რესურსებს, აზღვევს მეურნეობას მოუსავლიანობისაგან. სწორედ ამიტომ სილოსის პრობლემა ჩვენს წინაშე აყენებს ზოგიერთ პრაქტიკულ საკითხებს, რომლებზედაც მიგვითითებს სრულიად საკავშირო სასილოსო 1 თათბირი.

1) უნდა შევისწავლოთ ყველა კულტურული და სარეველა მცენარეები, რომლებიც დასასილოსებლად გამოგვადგება.

2) განსაკუთრებული ყურადღების ღირსია დასასილოსებელ მასის მექანიზაციის პროცესის გაუმჯობესება (სილოსის მჭრელები),. რაც უფრო დაჭუცმაცებულია საკვები მით უფრო უკეთ სილოსდება საკვები.

3) უნდა გამოირკვეს რომელ რაიონში როგორი ტიპის სასილოსეები უნდა აიგოს: ორმო, ნახევრად ორმო თუ კოშკები, რაც დამოკიდებულია ნიადაგის თვისებებზე. პროფ. ბოგაევსკი იცავს ორმოს და ნახევრად ორმოების ტიპის სილოსებს, რადგანაც უფრო იაფი ჯდება. პროფ. პოპოვი კი ამ აზრს უარყოფდა იმ მოსაზრებით, რომ ცუდ გავლენას ახდენს საკვებზეო და იცავდა კოშკების სასილოსეს აგების აზრს, მაგრამ ამ ბოლო ხანებში ისიც ემხრობა ბოგაევსკს. თუ წესიერად დამზადდება ორმოები, ის ცუდ გავლენას საკვებაზე აღარ მოახდენს.

4) სასილოსე კოშკების აგების საკითხი. ამის შესახებ რუსეთის მიწსახკომმა კონკურსი დანიშნა გეგმების უკეთესად შედგენისათვის და 23 პროექტიდან დააჯილდოვა სამი, ისიც მე-2 პრემიით. შეფასება იყო შემდეგი ნიშნების მიხედვით: 1) მასალის სიაფე, 2) სტანდარტიზაცია, 2) კონსტრუქციის უბრალოება, 4) დეფიციტიან მასალის ნაკლებად გამოყენება და 5) სილოსი არ უნდა იყინებოდეს.

დაჯილდოებულ პროექტებს (კადახჩიანის, ლეიბოს და როდიანოვის) აქვთ დადებითი და უარყოფითი მხარეები.

5) საჭიროა კადრების მომზადება სასილოსე საქმისათვის. ამ მიზნით საჭირო ხდება აგრონომების გადამზადება. უმაღლეს სასწავლებლებში და ტეხნიკუმებში სპეციალურად სილოსის კურსის შემოღება. სათანადო ლიტერატურის გამოცემა. 6) უნდა შევისწავლოთ სხვადასხვა სილოსის საკვები ღირებულება და



სილოსის მჭრელი „ინტერნაციონალი“

მათი გავლენა პროდუქტების თვისებებზე. 7) საკვებ რაციონში სილოსის რაოდენობის მტკიცეთ განსაზღვრა. 8) ელექტრონის გამოყენება სილოსის დამზადების საქმეში—და მასთან დაკავშირებით სილოსის დამზადება გაციების თუ გათბობის წესით. სილოსის კარგათ დასამზადებლად საჭიროა რძის მჟავა ბაქტერიების მოქმედება, რომელიც ენერგიულად მოქმედებს 37-44°-C. კარგად მიდის პროცესი 18-20 გრადუსამდე-C. არ სწყდება პროცესი არც 10°-C. დროს. დასილოსების დროს მავნებელია ე. წ. დუღილის ბაქტერიები, რომელიც მოქმედებს 37-40°C. დროს. ზოგიერთების აზრით ცივად დასილოსება სჯობია, რადგანაც ამ დროს საკვებიც ნაკლებად იკარგება და ზეთის სიმჟავის ბაქტერიების მოქმედებაც შეწყვეტილია. 50°-C. დროს მცენარე ენერგიულად მოითხოვს ჟანგბადს. როდესაც მცენარე მას დახარჯავს, უჯრედები კვდება და იწყება რძის სიმჟავის დუღილი. შემდეგ ტემპერატურა იკლებს და იწყება ზეთის სიმჟავის დუღილი და შეიძლება ამან ხანგრძლივად გასტანოს, რაც ცუდია.

აგრონომი რ. დოლონაძე.

ხმის მაღალი სიხშირის ტალღების მოქმედება

მეცნიერმა გარვეიმ და ლუმისმა ჯერ კიდევ 1928 წ. დაამტკიცეს, რომ ხმის მაღალ სიხშირის (406.000 რყევა წამში) ტალღების ზეგავლენით (ამგვარი ტალღები აღმოაჩინა ამერიკელმა ფიზიკოსმა ვუდმა) რამდენიმე წუთის განმავლობაში ნათების უნარი უმცირდება მანათობელ ბაქტერიებს.

ხანგრძლივი ცდების ჩატარება არ მოხერხდა, რადგან ზღვის წყალი, რომელშიც ბაქტერიები იყვნენ მოთავსებული, სწრაფად თბებოდა ისეთ ტემპერატურამდე, რომელიც დამღუპველი იყო ბაქტერიებისათვის.

1929 წ. მაისში გარვეიმ და ლუმისმა განახლეს თავისი ცდები და რამდენიმედ შესცვალეს ის პირობები, რომლებშიც ამ ცდებს ახდენდნენ წინად.

სინჯარა ბაქტერიებით მოათავსეს ზეთით სავსე ჭურჭლის ზევით ისე, რომ სინჯარას ბოლო ეხებოდა ზეთს. ზეთში მოთავსებული იყო კრისტალი, რომელიც წარმოშობდა ხმის ძლიერი სიხშირის ტალღებს. ამასთან ერთად მიღებულ იქნა განსაკუთრებული ზომები სინჯარაში წყალის გაცხელების პროცესის შესანელებლად. ხმების რყევათა სიხშირე წამში აღწევდა 375.000-დე და წყლის ტემპერატურა არ გასცილებია 19 გრადუსს (ცელსიუსით), თუმცა ცდა გაგრძელდა 1—1 ნახ. საათი.

აღმოჩნდა, რომ ერთ საათში თითქმის ყველა ბაქტერიები დაიღუპა. ეს დაადასტურა იმ გარემოებამაც, რომ ნათება შესწყდა და როცა შემდეგ სინჯარიდან წყალი ბაქტერიებით ჩაასხეს სპეციალურ ხსნარში, ბაქტერიების კულტურა არ განვითარდა.

ჯერ-ჯერობით წყალის სტერილიზაციის ამგვარ წესს მნიშვნელობა არა აქვს, რადგან იგი ძლიერ ძვირი ჯდება.

რადიუმის ახალი წყაროები

სამხრეთ-აფრიკაში აღმოაჩინეს ურანის უდიდესი ბუდობები. გერმანელი ქიმიკოსები, რომლებმაც ეს ბუდობები გამოიკვლიეს, იმ დასკვნამდე მივიდნენ, რომ მარტო იმ ადგილას შეიძლება ორ-ორი გრამი რადიუმის მოპოვება ყოველთვიურად.

დღემდე მთელს მსოფლიოში რადიუმის ყოველთვიური მოპოვება უდრიდა ერთ გრამს. ამრიგად ახალი ბუდობები იძლევიან ორჯერ მეტ რადიუმს, ვიდრე მთელი მსოფლიოს ურანის ბუდობები. ამის გამო მოსალოდნელია რადიუმის ფასის საგრძნობლად დაკლება. დღემდე გრამი რადიუმი 125.000 მ. ფასობდა და მიუწვდომელი იყო სამკურნალო დაწესებულებებისათვის.

—:—

ახალი საწერი მანქანები

ამერიკაში გასაყიდათ გამოუშვეს ახალი საწერი მანქანა, რომელიც მოძრაობაში მოჰყავს ელექტრო-ენერგიას. ასოების ბეჭდვა, ქაღალდის მიწოდება და სხვ. ხდება ელექტრო-დენის საშუალებით. მემანქანის მუშაობა ამოიწურება სათანადო ასოს ფილაკზე ხელის დაჭერით და მეტად ნაყოფიერია. გარდა ელექტრო-დენისა, ახალ საბეჭდ მანქანებს ახასიათებს კიდევ ის თავისებურება, რომ მათ შეუძლია მთელი სიტყვებისა და ფრაზების ბეჭდვა.

ფირმა, რომელმაც ეს მანქანები დაამზადა, ამზადებს აგრეთვე სტანდარტულ კლავიატურას ამ მანქანებისათვის იმისდამიხედვით, თუ როგორია მანქანის დანიშნულება—საკანცელარიო მუშაობისათვის, საგაზეთო საქმისათვის თუ კომერციული კორესპონდენციისათვის. კლავიატურა შეიცავს მთელ სიტყვებს და გამოთქმებს, რომლებიც უფრო ხშირად იხმარება ამა თუ იმ საქმეში. გასაკვირი არ არის, რომ ამგვარი კლავიატურა, ელექტრო-დენთან შეერთებული, 3-4-ჯერ აჩქარებს მანქანით წერას. მანქანა თითქმის უხმოდ მუშაობს,

სიდამწვრის მკურნალობა

ექ. დავიდსონმა ფორდის ქარხნების საავადმყოფოს თანამშრომელმა (შეერთ. შტატები) შეიმუშავა სიდამწვრის მკურნალობის ახალი საშუალება. მისი აზრით, სიკვდილს სხეულის დაწვის დროს იწვევს არა თვით ჭრილობები, არამედ შხამიანი შენაერთები, რომლებიც ამ დროს სხეულის ქსოვილებში წარმოიშობა. ამიტომ დავიდსონი ცდილობს ტანინის საშუალებით „შეკრას“ ეს შხამიანი ნივთიერებები და გადაიყვანოს ისინი მაგარ მდგომარეობაში. ტანინის ხსნარით შესხურების დროს დამწვარ ადგილებზე წარმოიშობა მაგარი ქერქი, რომელიც ხელს უშლის შხამიან ნივთიერებათა შეჭრას ორგანიზმში და ამავე დროს ანელებს ტკივილებს. დავიდსონი სარგებლობდა ტანინის 25 პროცენტიანი ხსნარით, რომელშიც შერეული იყო სულემის მცირე რაოდენობა. პულვერიზატორის საშუალებით ამ სითხეს ასხურებენ დამწვარ ადგილებზე, გაშრობის შემდეგ კვლავ ასხურებენ, სანამ ქერქი არ შეიქმნება.

—:—

ფრენის სიმაღლის ახალი რეკორდი

შეერთ. შტატების სამხედრო მფრინავმა **ნორმან აივზმა** დაამყარა ფრენის სიმაღლის ახალი რეკორდი მთლიანად დატვირთულ განმანადგურებელ აეროპლანისათვის. მან მიაღწია 9.150 მეტრის სიმაღლეს. ეს ციფრი დამახასიათებელია სამხედრო ავიაციის წარმატებებისათვის უკანასკნელ წლებში. მსოფლიო ომის დროს სამხედრო აეროპლანების „ჭერი“ (ფრენის სიმაღლე) არ აღემატებოდა 3 - 4 ათ. მეტრს. ფრენის სიმაღლეს კი გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს სამხედრო აეროპლანებისათვის, განსაკუთრებით — განმანადგურებლებისათვის, რადგან მიუწვდომელს ხდის მათ მტრის საზენიტო (ავიაციის საწინააღმდეგო) ზარბაზნებისათვის და დიდ უპირატესობას აძლევს მათ ბრძოლაში.

მუშკორთა და კედლის გაზეთების სარედაქციო კოლეგიების საყურადღებოდ

დღეს, 5 მაისს. ბეჭდვითი სიტყვის დღეს, საღამოს 6 ს. პლეხანოვის სახელობის (ლენინის უბანი) და მბეჭდავთა კლუბებში (კომინტერნის 5) შესდგება, მუშკორთა, კედლის გაზეთების წარმომადგენელთა და მკითხველთა საერთო კრება.

დღის წესრიგი: 1. ბეჭდვითი სიტყვის ამოცანები. 2) მხატვრული ნაწილი.

კლუბების ფოიეში მოეწყობა გამოფენა: კედლის გაზეთების საიუბილეო ნომრების, დიაგრამები გაზეთის ტირაჟის ზრდაზე, გაზეთის გავრცელებაზე და სხვ.

ქრონიკა

ამხ. მიხა ცხაკაიას სახელობის ინტერნატი

სტალინისში (ყოფ. ხაშური) პირველ მაისს შესდგა რკინის გზის, ახლად მოწყობილი ინტერნატის საზეიმო გახსნა. ინტერნატს მიეკუთვნა ამხ. მიხა ცხაკაიას სახელი.

თბილისის სატირის თეატრის გასტროლები

თბილისის სატირის თეატრის დასი 5 მაისს მთელი შემადგენლობით მიემგზავრება პროვინციაში საგასტროლოდ. პირველი წარმოდგენა ქ. გორში გაიმართება 6 მაისს. გასტროლები დამთავრდება პირველ ივლისს და დასი დაბრუნდება თბილისში მუშათა კლუბებში სამუშაოდ. ამასთანავე თეატრი ამზადებს ორ ახალ პიესას: „წითელი ჯარი"—აგიტმიმოხილვა 5 მოქმედებად, ა. ითსალაშვილის და „რევოლუცია არ დაშავდება"— სატირა 3 მოქმედებათ, გადმოკეთებული ვ. კატაევის პიესიდან—„წრის კვადრატურა"-დან.

მსახიობ მ. ტენაზის სახელობის სტიპენდია

საქართველოს სახკინმრეწვის სამხატვრო პოლიტიკური საბჭო ნიჭიერ კინო მსახიობ მარია ტენაზის ხსოვნის აღსანიშნავად გვირგვინის მაგიერ ნიშნავს 2 სტიპენდიას სახკინმრეწვის კინო-სტუდიაში.

სხვადასხვა

— საქ. სახ.-სამეურ. ინსტიტუტში, 6 მაისს, საღ. 7 საათზე შესდგება ზოოტექნიკური სამეცნიერო სექციის სხდომა, რომელზედაც მოხსენებას გააკეთებს ამავე სექციის წევრი მაჭავარიანი საქონლის ჭლექის შესახებ.

— ახალი წიგნი. გამოვიდა ამხ. ალ. ერქომაიშვილის სადისერტაციო შრომა „მოგების პრობლემა კოოპერაციაში". გამოცემა თბ. სახელმწიფო უნივერსიტეტის. გვ. 154, ფასი 2 მან.

— მუშათა მცირე დარბაზში 7 მაისს, საღამოს 6 საათზე შესდგება იმ მუშების თათბირი, რომლებიც გამოყოფილი იყვნენ წარმოება-დაწესებულებების გამოსაკვლევად.

— თათბირი დედათა და ბავშთა დაცვის საკითხებზე. 6 მაისს, დღის 12 საათზე ჯანმრთელობის სახ. კომისარიატის დედათა და ბავშთა დაცვის განყოფილებაში შესდგება თათბირი დედათა და ბავშთა სამდღიურის ჩატარების შესახებ.

—ვ. მაიაკოვსკის ხსოვნის საღამო, 6 მაისს პლეხანოვის სახელობის მუშათა კლუბში გაიმართება პოეტ ვ. მაიაკოვსკის ხსოვნის აღსანიშნავი საღამო.

რა ხდება ადგილებზე

სახალხო სახლი სოფ. ჩანჩეთში

ოზურგეთი, 3 მაისი, (საქ. კორესპ.). პროლეტარულ მწერალ ეგნატე ნინოშვილის დაბადებიდან 70 წლის თავის შესრულების აღსანიშნავათ, ოზურგეთის სამაზრო აღმასკომი, ეგნატეს სოფელ ჩანჩეთში აგებს მისი სახელობის სამკითხველოს და სახალხო სახლს. გეგმისა და ხარჯთაღრიცხვის შესადგენათ გამოიყო კომისია.

ახალი საექიმო პუნქტი

ოზურგეთი, 3 მაისი, (საქ. კორესპ. წითელი ჯვრის კომიტეტმა გახსნა ახალი საექიმო პუნქტი ამაღლების თემში და ათ საწოლიანი საავადმყოფო ლესჯინათის თემში. მაზრაში სულ წითელი ჯვრის 6 საექიმო პუნქტია. აღნიშნულ საექიმო პუნქტებმა საექიმო დახმარება აღმოუჩინა წლის განმავლობაში 22.000 ავადმყოფს.

ღონისძიებები პურის დამზადების მომავალი კამპანიისათვის

ა.-კ. სახკომსაბჭომ უკანასკნელ სხდომაზე განიხილა პურის დამზადების მომავალი კამპანიისათვის საჭირო საწყობების საკითხი და წინადადება მისცა „სოიუზხლებს", ა.-კ. სოფლის კავშირთან და „ზაკთოიუზ"-თან ერთად გამოარკვიოს იმ საწყობების ტევადობა, რომლებიც გამოყენებული უნდა იქნან დამზადებული პურის შესანახად, ამასთან ერთად განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს საწყობების თვით პურის დამზადების რაიონებში გამონახვას. ადგილობრივ აღმასკომებს წინადადება მიეცათ თავიანთ რაიონებში შეარჩიონ საწყობებისათვის გამოსადეგი შენობები და გადასცენ „სოიუზხლებს".

პურის შემოზიდვის მოწესრიგებისა და შემოზიდული პურის საწყობებში განაწილების მოგვარების მიზნით, საწყობების მფლობელი კოოპერატიულ და სახელმწიფოებრივ ორგანიზაციებს წინადადება მიეცათ სისტემატიურად, 5 დღეში ერთხელ მიაწოდონ „სოიუზხლებ"-ს ცნობები თავისუფალი საწყობების ტევადობისა და ტვირთბრუნვის შესახებ. „სოიუზხლებ"-ს, თავდაცვა-ავიოქიმს და მიწადმოქმედების კომისარიატს დაევალა 2 კვირის განმავლობაში ჩაატარონ ბრძოლა ბეღლის მავნებლების წინააღმდეგ.

ვინაიდან გასულ წელთან შედარებით პურის დამზადების გეგმა საკმაოდ გაზრდილია, „სოიუზხლებ"-ს წინადადება მიეცა პურის დამზადების რაიონებში აღრიცხოს საწყობებათ გამოსადეგი შენობები, შეაკეთოს ისინი, მოიმარაგოს ბრეზენტების საკმაო რაოდენობა და სხვ.

„სოიუზხლებს" და ა.-კ. სოფლის კავშირს წინადადება მიეცათ დაჩქარებით შეიმუშაონ პურის საწყობების მშენებლობის 5 წლიანი გეგმა და 15 მაისისათვის წარუდგინონ იგი ა.-კ. სახკომსაბჭოს.

საკურორტო სეზონის წინ

სანატორიუმებში, დასასვენებელ სახლებში და კურორტებზე გაგზავნის წესები

საქ. სოც. დაზღვევის კომიტეტმა შეიმუშავა სანატორიუმებში, დასასვენებელ სახლებში და კურორტებზე მუშა-მოსამსახურეთა გაგზავნის წესები მომავალი საზაფხულო სეზონის განმავლობაში. სულ ყველა სანატორიუმებსა და დასასვენებელ სახლებში გასაგზავნთა შორის ადგილები განაწილებული იქნება შემდეგი პროპორციით — ყველა ადგილების 80 პროცენტი დაეთმობათ საწარმოთა მუშებს და 20 პროცენტი დაწესებულებათა მუშა-მოსამსახურეებს.

ტუბერკულიოზით დაავადებულთათვის გამოყოფილია აბასთუმნის, არაზინდოს, ლიბანის, სოხუმის და ქობულეთის სანატორიუმები. გულის სნეულებით შეპყრობილთათვის კისლოვოდსკის და ბორჯომის სანატორიუმები. კუჭ-ნაწლავებისა და თირკმელების სნეულებებით დაავადებულთათვის — ესენტუკი, ჟელეზნოვოდსკი და ბორჯომი, ხოლო რევმატიზმით და ქალთა სნეულებებით დაავადებულთათვის — კურორტი ახტალა და წყალტუბო.

ტუბერკულიოზიანი ავათმყოფები სანატორიუმებში იგზავნებიან 7 კვირის ვადით, ხოლო მარტო ქობულეთის სანატორიუმში ტუბერკულიოზიანები იგზავნებიან ერთი თვით. დანარჩენი სნეულებებით დაავადებულნი კი იგზავნებიან თითო თვის ვადით. ტუბერკულიოზიანი ავათმყოფების გადარჩევას აწარმოებენ ტუბერკულიოზის დისპანსერიები, გულის ავათმყოფობით შეპყრობილებს აგზავნის ფიზიო-ტერაპევტიული ინსტიტუტი. ახტალაზე და წყალტუბოში ავათმყოფების გაგზავნა ხდება წყლითა და ტალახით სამკურნალო ინსტიტუტის მიერ, ხოლო ყველა დანარჩენი ავათმყოფების გადარჩევას აწარმოებს დაზღვევის სალაროს საექიმო-საკონტროლო კომისია.

სანატორიუმებსა და კურორტებზე ავათმყოფების გაგზავნა სწარმოებს არა მარტო ზაფხულის, არამედ მთელი წლის განმავლობაში.

დასასვენებელ სახლებში მუშა-მოსამსახურეები იგზავნებიან მხოლოდ მორიგი, წლიური შვებულების ანგარიშში და ორი კვირის ვადით. დასასვენებელ სახლებში დაზღვეულთა გასაგზავნათ, ადგილები გამოყოფილია წაღვერის, ბორჯომის, ქობულეთის, სურამის და გაგრის დასასვენებელ სახლებში. დასასვენებელ სახლებში გასაგზავნათ მუშა-მოსამსახურეები ტარდებიან ამბულატორიებთან არსებულ საექიმო გადამრჩევ კომისიებში და ან დამზღვევ კასასთან არსებულ სპეციალურ გადამრჩევ კომისიაში.

საექიმო გადამრჩევმა კომისიებმა უკვე დაიწყეს მუშაობა და შეუდგნენ მუშა-მოსამსახურეთა გადარჩევას დასასვენებელ სახლებში გასაგზავნათ. დასასვენებელ სახლებში არ იგზავნებიან ისეთი ავათმყოფები, რომელთაც სპეციალური მკურნალობა ესაჭიროებათ.

თავდაცვა-ავიაქიმის წევრები სამოსწავლო სროლაზე

ფართოდ გავაცნოთ მშრომელ გლეხობას

სასოფლო-სამეურნეო გადასახადის ახალი კანონი

მორიგ, უმნიშვნელოვანეს ამოცანას სოფლად ამჟამად წარმოადგენს მოჯამაგირეთა, ღარიბ და საშუალო გლეხთა მასებისათვის სასოფლო-სამეურნეო გადასახადის ახალი კანონის ფართოდ გაცნობა, რომელიც ყოველმხრივ უზრუნველჰყოფს როგორც კოლმეურნეთა, ისე ინდივიდუალურ მეურნეობათა ინტერესებს.

ყველა კავშირებმა, განსაკუთრებით კი ისეთებმა, რომლებიც უშუალოდ აწარმოებენ მუშაობას სოფლად (მიწა-ტყის მუშათა კავშირი მშენებლთა, განათლების მუშაკთა კავშირი, მედსანშრომის კავშირი), საქართველოს პროფსაბჭოს გადაწყვეტილებით, უნდა მოაწყონ სპეციალური ბრიგადები, რომლებიც მონაწილეობას მიიღებენ მუშაობაში შემოსავლიანობის გამოსარკვევად, გადასახადით დასაბეგრი შემოსავლის გამოსაანგარიშებლად და სხვ.

კავშირის იმ წევრებს შორის, რომლებიც სოფლად მუშაობენ, ჩატარებული იქნება ახსნა-განმარტებითი მუშაობა სასოფლო-სამეურნეო გადასახადის ახალი კანონის შესახებ.

საშეფო უჯრედების წევრები დროგამოშვებით გაემგზავრებიან საშეფო სოფლებში კოლმეურნეთა შორის ახსნა-განმარტებითი მუშაობის ჩასატარებლად.

პროფტექნიკური და პროფესიონალური განათლება

უყურადღებოდ არის მიტოვებული

პროფტექნიკური და პროფესიონალური კურსების, წრეებისა და სხვ. ქსელის გაშლა საქართველოში ძალზე ნელი ტემპით მიმდინარეობს.

ჯერ კიდევ შემოდგომაზე დასახული გეგმა შესრულებულია მხოლოდ 60 პროცენტით, ვინაიდან ბევრი კავშირი (ძეტყავები, გემო-კვების მუშათა კავშირი, ქიმიკოსები, ფეიქრები, მელითონენი, ხის დამმუშავებელნი, ხელოვნების მუშაკთა კავშირი, მშენებლები) სათანადოდ ვერ აფასებენ პროფტექნიკური განათლების როლს.

ფაბრიკებსა და ქარხნებში პროფტექნიკური და პროფესიონალური განათლების საკითხი არ დამუშავებულა. არ ხორციელდება ღონისძიებები პროფტექნიკური კურსების მუშაობის უწყვეტ გასაუმჯობესებლად, ხოლო ამის შედეგი კურსების დაშლა, მაგალითად მელითონეთა, გემოკვების და სხვა კავშირებში.

პროფკავშირების ცენტრალური გამგეობებს კავშირი არა აქვთ სამაზრო და საოლქო პროფორგანიზაციებთან და არ ეხმარებიან მათ პრაქტიკულ მუშაობაში პროფტექნიკური განათლების მოგვარებისათვის.

სასამართლო

მოქალაქე ფოტოგრაფები დაისაჯნენ

მკითხველებს ალბად ახსოვთ თბილისელ ფოტო-მუშაკების ბრძოლა შრომის პირობების გაუმჯობესებისათვის. ფოტოგრაფიების პატრონთა წინააღმდეგ ფოტო-მუშაკებმა გამოაცხადეს გაფიცვა, რომელსაც ხელმძღვანელობდა ხელოვნების მუშაკთა კავშირი.

გაფიცვამ გამოიღო შედეგი. ფოტო-მეწარმეებლების უმრავლესობა იძულებული გახდა წაყენებულ დათმობაზე და დაეკმაყოფილებია მუშების მიერ წარდგენილი მოთხოვნილებები.

მაგრამ ყველამ როდი ისურვა ფარხმალის დაყრა. აღმოჩნდნენ ურჩი მეწარმეებლები, რომლებიც ახლაც არ ეკარებიან მუშებისა და საგაფიცვო კომიტეტის წარმომადგენლებს.

ასეთ ურჩ ფოტოგრაფებს წარმოადგენენ სოკოლოვი, ალნაკიანი და სხვები.

როცა სხვა ზომამ არ გასჭრა, მუშებმა ურჩ მეწარმეებლებს გამოუცხადეს ბოიკოტი. საგაფიცვო კომიტეტმა მუშებისაგან გამოყო პიკეტები, რომლებიც ევალებოდათ თვალყურის დევნება იმისათვის, რომ ბოიკოტ გამოცხადებულ ფოტოგრაფებთან არავის გადაეღო სურათი.

ბოიკოტ გამოცხადებულ ფოტოგრაფების კარებზე გაკრული იყო სათანადო განცხადებები მოქალაქეთა საყურადღებოდ და, გარდა ამისა, კარებთან იდგა საგაფიცვო კომიტეტის მიერ გამოყოფილი მუშა, რომელიც აფრთხილებდა მოქალაქეებს, არ გადაეღოთ სურათები.

მეწარმეებლემა სოკოლოვმა იუკადრისა მუშების ჩარევა მის „შინაურ საქმეებში". „მავს დღეს დავაყენებ, თუ ვინმე მუშტარს დამიფრთხობსო", იმუქრებოდა სოკოლოვი. სოკოლოვს ამხნევებდა მისი ცოლი.

მიუხედავად სოკოლოვის მუქარისა, მისი ფოტოგრაფიის წინ დადგა სადარაჯოთ ამხ. პროკოფი ხუხუნაიშვილი, რომელსაც საგაფიცვო კომიტეტისაგან მიცემული ჰქონდა დირექტივა: არავინ შეეშვა სურათის გადასაღებად.

სოკოლოვი განრისხდა, როცა გაიგო, რომ მისი ფოტოგრაფიის წინ იდგა პიკეტი. სოკოლოვმა გადმოსძახა ხუხუნაიშვილს: „გამეცალე აქედან, თორემ ინანებო".

ხუხუნაიშვილმა ყურადღება არ მიაქცია სოკოლოვის მუქარას.

განრისხებული სოკოლოვი გაექანა ხუხუნაიშვილისაკენ. სოკოლოვს გამოედევნა დასახმარებლად მისი ცოლი. იქვე გაჩნდა ბოიკოტგამოცხადებული ფოტოგრაფი ალნაკიანი და სამივემ ერთად მიიტანეს იერიში ხუხუნაიშვილზე, ჩაიგდეს ხელში და დაუწყეს უმოწყალოდ ცემა.

საქმეში ჩაერია მილიცია. თავდამსხმელები დაპატიმრებულ იქნენ. ეს მოხდა გასული წლის ოქტომბერში.

საქმე გაირჩია მე-4 უბნის სახალხო სასამართლოში ამხ. ქორჩილავას თავმჯდომარეობით. სოკოლოვს, მის ცოლს და ალნაკიანს მიესაჯათ თავისუფლების აღკვეთა ექვს-ექვსი თვით.

—:—

უსაფუძვლო ბრალდება

მკითხველები შემოხვევებში წაიკითხავდნენ ცნობას, რომ მოქ. შოთა ჯაბახის ძე უჯმაჯურიძე და ირაკლი კონსტანტინეს ძე ჩანტლაძე დაპატიმრებული იქნენ მუშათა ბრიგადის წევრებისათვის ფიზიკური შეურაცყოფის მიყენების გამო.

საქმე განიხილა მე-5 უბნის სახალხო სასამართლომ. ბრალდება არ დადასტურდა. უჯმაჯურიძე და ჩანტლაძე გამართლებული იქნენ.

ზერ.

რკინის გზებზე

მატარებლების ახალი ნუმერაცია

15 მაისიდან ა.-კ. რკინის გზაზე გატარდება სახალხო მატარებლების მოძრაობის ახალი ცხრილი ზაფხულის პერიოდისათვის. ახალ ცხრილზე გადასვლასთან დაკავშირებით, წესდება მატარებლების ახალი ნუმერაცია.

ჩქარი მატარებლები აღინიშნება ნომრებით პირველიდან — ოთხამდე, დაჩქარებული — ხუთიდან — ოცდათვრამეტამდე, ჩვეულებრივი სახალხო 41—68-დე, საფოსტო 71—98-დე, ქალაქის მახლობლად მოძრავი მატარებლები — 101—398-დე, სახალხო-საბარგო — 401—448-დე და საქონლის — 701—848-დე.

ლითონის ნამტვრევების შეგროვება

რკინის გზაზე დაარსებულია სპეციალური სამეული, რომელიც აწარმოებს ლითონის ნამტვრევების შეგროვებას და აბარებს მას მრეწველობას.

სამეულში შედიან რკინისგზელთა პროფკავშირის საგზაო კომიტეტის, გზის დირექციის და „რუდმეტალტორგი"-ს წარმომადგენლები.

სამეულის ყველა განკარგულებები ნამტვრევი ლითონების შეგროვებასთან დაკავშირებით სავალდებულოა ყველა რკინისგზელებისათვის.

უფასო ბილეთებით სარგებლობის უფლება

რკინის გზების კომერციული დამხმარე წარმოებები გადადის „სოიუზტრანსი"-ს განკარგულებაში.

გზათა კომისარიატის განმარტებით ამ წარმოებების მუშაკები, რომლებიც სარგებლობდნენ რკინის გზებზე უფასოდ მგზავრობის უფლებებით, წლის ბოლომდე მიიღებენ კიდევ ერთ ერთდროულ ბილეთს.

რკინის გზელებს ეს ბილეთი მიეცემათ რკინის გზაზე სამგზავროდ და წყლის ტრანსპორტის მუშაკებს — ხომალდებზე და გემებზე.

დამხმარე კომერციულ წარმოებების მუშაკები, რომელთაც მიიღეს უკვე ერთდროული ბილეთები ეს წესი მათზე წელს უკვე აღარ გავრცელდება.

საელექტროფიკაციო ბიურო

ა.-კ. რკინის გზის მმართველ აპარატის რეორგანიზაცია, სურამის უღელტეხილის საელექტროფიკაციო ბიუროს არ შეხებია. ეს ბიურო, როგორც სპეციალური ხასიათის სამუშაოების მწარმოებელი ორგანო უცვლელად დარჩა.

მოხდა ცვლილება მხოლოდ ხელმძღვანელ აპარატში. ბიუროს ყოფ. უფროსის ინჟ. გ. შახბუდაგოვის ა.-კ. რკინის გზის საგეგმო-ეკონომიურ - ტექნიკური განყოფილების უფროსის თანაშემწედ დანიშვნის გამო, ბიუროს უფროსად დაინიშნა საელექტროფიკაციო სამუშაოების უფროსი ინჟინერი ამხ. ლევინი.

რადიო-გადაცემა

ორშაბათი, 5 მაისი.

დღეს თბილისის რადიო-სადგურიდან გადაცემული იქნება შემდეგი პროგრამა:

დილის 9 საათიდან— მუშათა შუადღე, ახალი ამბები და კონცერტი. 17 საათიდან —მუსიკის მოსმენა სადილის შემდეგ. 18 საათიდან —პიონერისა და მოსწავლის საათი რუსულ ენაზე. 18 ს. 25 წ.—რადიო გაზეთი ქართულ ენაზე. 19 ს. 05 წ.—გაზეთი „წითელი არმიელი" რადიოთი ქართულ ენაზე. 19 ს. 35 წ.—დაუსწრებელ კომუნისტური უნივერსიტეტის (რადიოთი) ლექცია „პოლიტეკონომია" რუსულ ენაზე. დროს შემოწმება და ობსერვატორიის ცნობები. რეკლამა. 20 ს. 10 წ-დან—რადიო გაზეთი რუსულ ენაზე. 21 საათიდან —ლიტერატურულ- მუსიკალური განყოფილება „ბეჭდვითი სიტყვის დღე". 22 საათიდან —საერთოდ საკავშირო კონცერტის ტრანსლიაცია ლენინგრადიდან. უკანასკნელი ამბები.

ჭადრაკი

ვ. გოგლიძის რედაქტორობით

(ამოცანა) პ. ფირცხალავა (თბილისი)
(იბეჭდება პირველად)



შამათი ორ სვლაში

(ამოცანა) პ. ხიზანიშვილი (თბილისი)
(იბეჭდება პირველად)



შამათი ორ სვლაში

22 დეკემბრის №-ში მოთავსებულ ამოცანების გადაწყვეტა

ამოცანა დ. ჩქარის შამათი ორ სვლაში გადაწყვეტა: 1. ეg8-e8! (ცუგცვანგი) I. 1.., კ:f5 2. მc2× II. 1.., კ:e8 2. მ:e8× III. 1.., a5 2. მg4× IV. 1.., მbc6 2. ე:c6× და სხვა.

ამოცანა ხ. კალანდაძის შამათი ორ სვლაში. გადაწყვეტა: 1. ეh5-b5! (მუქარაა მe5×) I. 1.., კ:c3 2. b3× II. 1.., მd3 2. კa2× III. 1.., ეe7 2. ეc5× IV. 1.., ეe8 2. მd6× და სხვა.

თბილისის დინამო—ნაკრები ერევანი

1 მაისს ერევნის ესტუმრა თბილისის პროლეტარულ სპორტიულ საზოგადოება—„დინამო"-სთან არსებული საჭადრაკო წრე 6 კაცის შემადგენლობით: გოგლიძე, მალუნცევი, ლევიტასი, მოვსესოვი, გიორგაძე და სადიანი, რომელმაც ჩაატარა ამხანაგური შეჯიბრება ერევნის ნაკრებ გუნდთან. ერევნის გუნდი თამაშობდა შემდეგი შემადგენლობით: ერევნის ჩემპიონი შახნაზაროვი, კარჩიკიანი, აბრამიანცი, ვართანოვი, გიუზალიანი და ხავინი. მიუხედავათ იმისა, რომ „დინამოს" შემადგენლობა რამოდენიმეთ სუსტი იყო, შეჯიბრება მაინც მათი სრული გამარჯვებით დასრულდა. შეჯიბრების შედეგია +5—1, სადაც ერთი პარტია სრულიად მოგებულ მდგომარეობაში წააგო მოვსესოვმა, რომელსაც გამორჩა შამათი ერთ სვლაში.

პასუხი მკითხველებს

დ. ჩქარის ამოცანის სწორი გადაწყვეტა გამოგზავნეს: ო. ჯინორიამ, ი. კოტრიკაძემ და ჯ. ჩომახიძემ (სამივე სამტრედიიდან).

ხ. კალანდაძის ამოცანის სწორი გადაწყვეტა გამოგზავნეს: ა. ჩირაძემ, ჯ. ჩომახიძემ (სამტრედია), გრ. ნოზაძემ (ხაშური) და ი. კოტრიკაძემ (სამტრედია).

ჯ. ჩომახიძეს (სამტრედია) თქვენი ამოცანები დასაბეჭდად არ გამოდგება; გირჩევთ ერთბაშათ ნუ ჰკიდებთ ხელს რამოდენიმე ამოცანას და ამასთანავე ამოცანის შედგენისას ნუ ჩქარობთ მის გამოგზავნას, რადგანაც ყოველთვის იპოვით მასში ნაკლს, თუ კი რამოდენიმე ხნის შემდეგ ხელმეორეთ გადასინჯავთ.

კ. თავაძეს (სლავგოროდი): საქ.-საჭადრაკო ჟურნალის პერიოდულათ გამოშვების შესახებ ჯერ-ჯერობით არავითარი ნაბიჯები არაა გადადგმული.

ლ. წიკლაურს (თიანეთი): თქვენი ამოცანები დასაბეჭდათ არ გამოდგება. მეტად მარტივნი არიან და ამას გარდა უმეტეს ნაწილად არა გაქვთ დაცული ამოცანისადმი წარდგენილი პირობები.

ხ. მაზმანაშვილს (ბათომი): თქვენი ამოცანები დასაბეჭდათ არ გამოდგება.

ვ. დარსაძეს (ტაშკენტი): თქვენი ეტიუდი დასაბეჭდათ არ გამოდგება მეტად მარტივია.

ხ. გურგანიას (აბასთუმანი): გამოგვზავნეთ თქვენი ამოცანა ხელახლათ.

—:—

შეცდომის გასწორება

21 აპრილის №-ში მოთავსებული პირველი ამოცანა არის კ. ფირცხალავასი, ხოლო მეორე კი ვ. ცაბაძის.

პარტიული და საბჭოთა კალენდარი

დღეს საღამოს 6 საათზე 26 კომუნარის სახელობის ა.-კ. კომუნისტური უნივერსიტეტის სამოსწავლო ნაწილის შენობაში (შიო ჩიტაძის ქ. № 6) შესდგება დაუსწრებელ კომუნისტური უნივერსიტეტის იმ მსმენელთა კრება, რომლებიც თბილისში ცხოვრობენ. გამოძახებული არიან შემდეგი ამხანაგები: ერასტი ახობაძე, ნიკოლოზ ახობაძე, ტარასი ანთაძე, აუშალევი, გიორგი ბუაჩიძე, ივ. ბერიზნი, ი. ვაისი, ალ. გოჩიაშვილი, იოსებ ჯალაღანია, არ. დავიდოვი, ქრ. კაციტაძე, ანა კუზნეცოვა, ვ. კლევცოვი, ა. მანუკიანი, კონსტანტინე მარტიშიანოვი, გ. მურატოვი, კ. ოლეინიკი, კ. ოვსიანიკოვი, თეიმურ რიზაევი, მირიან სარჯველაძე, მარია ტერ-ოვანესიანი, ი. ჩაია, ივ. შინკარენკო, ნ. ტაგიევი, მარია დარსაველიძე და ვლადიმერ ციკორია.

ს. ლ. ქ. კ. თბილ. ორგანიზ. ქალაქის რაიკომი აცხადებს, რომ სახელმწ. უნივერსიტეტის უკანასკნელი კურსის კომკავშირის წევრების წმენდა დაიწყება დღეს, 5 მაისს, საღამოს 5 საათზე,—უნივერსიტეტის კლუბის შენობაში. წმენდა უნდა გაიარონ აგრეთვე უკანასკნელ კურსის იმ კომკავშირის წევრებმა, რომლებიც უნივერსიტეტის ორგანიზაციაში არ ირიცხებიან.

ვისაც მოეპოვება გასაწმენდ კომკავშირელების მიმართ მასალები, წერილობითი სახით ხელმოწერილი, უნდა ჩაუშვან უნივერსიტეტის შენობაში მოწყობილ სპეციალურ ყუთში, ან გადაგზავნონ გამწმენდი კომისიის სახელზე კომკავშირის ქალ. რაიკომში ამხ. ჯიქიასთან.

ოპერისა და ბალეტის სახ. თეატრი
1929—30 წ. სეზონი

ორშაბათი, 5 მაისი, მე-15 აბონემ. მე 2 წარმ. მოსკოვის სახელმწიფო ოპერის პრემიერის ი. ს. კოზლოვსკის მონაწილეობით **დუბროვსკი.**
სამშაბათი, 6 მაისი, აბონემენტის გარეშე, ლენინგრადის სახელმწიფო ოპერის პრემიერის მ. ორიოზენის მონაწ. უკანასკნელად სეზონში **სევილიელი დალაქი**
ოთხშაბათი, 7 მაისი, მე-15 აბონემ. მე-3 წარმ. მოსკოვის სახელმწიფო ოპერის პრემიერის ი. ს. კოზლოვსკის მონაწილეობით **რომეო და ჯულიეტა**
მუდმივი შესასვლელი ბილეთები, კონტრამარკები და სტუდენტთა ბილეთები არ გამოდგება.
ნ. 715

აპოლო — დადგმის მე 2 კვირა მხატვრული ფილმი **შიში** სტეფან ცვეიგის რომანის მიხედვით. 1-ლი სეანსის დასაწყისი 5 ს. 50 წ.
სპარტაკი (ყოფ. არფასტო) — **მარიამ ტენაზი** მხატვრულ სურათში **ღრუბელთა თავშესაფარი**
სოლეი — დადგმის მე-3 კვირა **ბიძია თომას ქოხი** ბიჩერ-სტოუს ცნობილი რომანის მიხედვით. 1-ლი სეანსის დასაწყისი 5 ს. 50 წ.
პალასი — ახალი ფილმი საქართველოს სახკინმრეწვის ნაწარმოები **შეხვედრა** რეჟისორი—გ. გომაროვი ოპერატორი—ვ. პოზნანი. 1-ლი სეანსის დასაწყისი 6 ს. 15 წ.
რ. ლიუქსემბურგის სახ. (ყოფ. მინიონი) — მთავ. როლებში სახ. არტ. ე. ჩერქეზიშვილი, ტ. მახმუროვა, დ. ყიფიანი
დარბაზი — მხატვრული ფილმი **ვარიეტე** ლია დე-პუტის, ვ. კრაუსის მონაწილეობით ბროუნტალის გასტროლები სრულიად ახალი პროგრამა. 1-ლი სეანსის დასაწყისი 6 ს. 15 წ.

სახალხო არტისტი
ე. ჩერქეზიშვილი, ტ. მახმუროვა, დ. ყიფიანი,
ა. ალუღიშვილი, ა. ყულიევი
საქართველოს სახკინმრეწვის ახალ სურათში
შეხვედრა
რეჟისორი—გ. გომაროვი. ოპერატორი—ვ. პოზნანი.
ორშაბათიდან, 5 მაისიდან კინო-თეატრებში
პალასი და როზა ლიუქსემბურგის სახელ. (ყოფ. მინიონი)
ნ. 674

კინო-სპარტაკი (ყოფ. არფასტო)
დღეს, 5 მაისს
მარიამ ტენაზი
მხატვრულ სურათში
ღრუბელთა თავშესაფარი
რეჟისორი—შ. ბერიშვილი
ოპერატორი—ა. პოლიკევიჩი.
ნ. 674

ს. ს. განათ. კომის. ნებართვით თვითგანვითარებისათვის და საშემოდ. გამოცდებისათვის **ვამზადებ მოწაფეებს** 7 წლ. და 10 წლედ. დამთავრებულებს სპეც-ტექნიკუმში: ინდუსტრ. ქიმიურ. ფარმაც. და **უმაღლეს სასწავლებელში** მუშათა ფაკულ. 1. და 2 კურს. და მუშათა უნივერსიტ. შესასვლელად, შემდეგ საგნებში: არითმეტ. ალგებ. გეომ. ტრიგონომ. ფიზიკაში, რუსულსა & ქართულ ენაში, ვასწორებ ჩამორჩენილ და სუსტს მოწაფეებსაც. შემდგება 2 ჯგუფი დილის და საღამოს ჯგუფში 10 კაცი. ნახვა და ჩაწერა 1—7 საათამდის. მისამართი: კარლ მარქსის მოედნის ახლოს (ყოფ. ვორონცოვის მოედანი) პლეხანოვის და ალექსის ქუჩის კუთხე № 5.

ფიზიატრიისა და კურორტოლოგიის სახ. ინსტიტუტი
მიხა ცხაკაიას სახელობისა (ლენინის ქ., № 49).
მკურნალობა ამბულატორიული და სტაციონალური
მკურნალობის ფიზიკური მეთოდების ყველა სახეები: ელექტრომკურნალობა, ნახშირ-მჟავას აბაზანები, სინათლით მკურნალობა მექანოთერაპია, რენტგენო-რადიო-თერაპია, ინჰალაცია, რენტგენოდიაგნოსტიკა.
შინაგან სნეულებათა მკურნალობა (სპეციალურად გულის, ნივთიერებათა ცვლის, საჭმლის მომნელებელი ორგანოების, რევმატიული დაავადებანი და სხვ.) ნერვიული და ქალის სნეულებანი.
კონსულტაცია ქალის სნეულებაზე დღის 12—1 საათამდე. პროფ. დამბაჩაშვილი—სამშ. და პარასკ., შინაგან სნეულებებზე—12 საათ. ექ. ი კონიაშვილი—სამშ. და პარასკ., ნერვიულ ავადმყ.—11—12 ს. ექ. გ. პონდოევი—ყოველდღე.
ავადმყოფთა მიღება ყოველ დღე დილის 10 საათიდან დღის 1 საათამდე. ავადმყოფთა ჩაწერა დილის 9-დან 11 საათამდე.
საღამოს ავადმყოფთა მიღება 5-დან 8 საათამდე, კვირას გარდა. ავადმყოფთა ჩაწერა 4-დან 7-ნახ. საათამდე, კვირას გარდა.
ნერვიულ ავადმყ.—7—8 საათ. პროფ. ს. ყიფშიძე—ყოველდღე.
შინაგან სნეულ.—5 6 საათ. ექიმი ნ. ყიფშიძე—ყოველდღე.
ქალის სნეულ. & სამეანო—5—6 საათ. ექ. სებასტიანსკი—ყოველდღე.
ყური, ყელი, ცხვირი 7—8 საათ. პროფ. ნ. ახვიხოვი—სამშ., ხუთშ. და შაბ. 7—8 საათ. ექიმი დ. თევზაძე ორშ., ოთხშ. და პარასკ.
უროლოგია & ქირურგია 7—8 საათ. დოც. ა. წულუკიძე ყოველდღე.
ბავშთა ავადმყ.—5—6 საათ. ექიმი. ი. ლორთქიფანიძე—ყოველდღე.
ქირა ავადმყოფთა გასინჯვისათვის პოლიკლინიკაში: პროფკავშირის წევრებისათვის 1 მან., სხვებისათვის—2 მანეთი.
ყოველგვარი კლინიკურ-დიაგნოსტიური ანალიზების მიღება. მკურნალობის პირობების გაგება შეიძლება ინსტიტუტის კანცელარიაში, აგრეთვე წერილობით და ტელეფონით 15—87.
25—4 ნ. 733.

გაიმართება ● 5-დან 20 მაისამდე ● გაიმართება
წიგნის ბაზარი
კომუნარების ბაღი (ყოფ. ალექსანდრეს ბაღი).
ყველას მიეცემა შეღავათი ყველა წიგნებზე
ბაზარზე ყოველდღე უკრავს სასულე ორკესტრი. ლატარია, ატრაქციონი.
სახელგამი „ზაკკნიგა" ა. კ. სატრანსპ. სამომხმ. საზ-ბა სახელმწ. ტექნიკ. გამომცემლობა
რ. ს. ფ. ს. რ. სახელგამი შრომა ცეკავშირი და სხვა გამომცემლობანი.
ნ. 668

ექიმები და სამკურნალო დაწესებულებები

პ. ს. ფონ-ირტელი პლეხანოვის პრ. № 10 (ყ. ვორონცოვის მოედნის მახლობლად). სპეციალურად ხაშარდე-სასქესო, ვენერიული, კანის, ქირურგიული ავადმყოფობანი, სიფილისი და სხვ. (სქესობრივი უძლურების, ტრიპერის, სიფილისის, ბუასილისა და სიმსივნეთა მკურნალობა). ავადმყოფების მიღება დილის 8—12 საათამდე და საღ. 5—8 საათ. ქალების მიღება დღის 1—2 საათ. 13—10

გ. ნ. ონანოვი სიფილისი, ვენერიული და კანის სნეულებანი: სქესობრივი უძლურების წამლობა. ავადმყოფები მიიღება ყოველდღე დილის 9-დან 11 საათამდე, საღამოს 5—8 საათამდე. კ. ცეტკინის ქ. (ყოფ. ელისაბედის) სახ. № 3. 25—1

დ. ლ. თევზაძე ყელის, ყურის და ცხვირის სნეულებათა—ხმის და მეტყველების მოშლილობათა. ეზოფაგოსკოპია და ბრონქოსკოპია აქვე სპეციალურად არის მოწყობილი ფიზიო-თერაპიული მეთოდებით მკურნალობა. მიღება: საღამოს 5—7 საათ. გარდა კვირა დღეებისა. კონქაძის ქ. № 9 (ყ. გუდოვიჩის) სოლოლ. ტელ. 25—73. 25—1

ნ. კონტოროვიჩი თმის მკურნალობა და სამკურნალო კოსმეტიკა ყოფ. ფრეილიძის ქ. № 1. ალმასკომის ქ. კუთხე. თმის, ფერის მჭამელას, ჭორფლის, მეჭეჭის, ნაოჭის და სხვ. მკურნალობა. ელექტრონის შუქით სამკურნალო უახლესი აპარატებისა და საშუალებების გამოყენება. მიღება 11-დან 3-მდე და საღამოს 6-დან 8 საათამდე. 25—1

ა. ვ. მიქაბერიძე პარიზში 1923 წ, დაამთავრა „სილამაზის ინსტიტუტი" მასაჟი სახის, კისრის, ხელების და თმის მკურნალობა. ელექტრ. ორთქლის ვანები და ახალი ელექტრო-აპარატები კანის სილამაზის დასაცავათ. ძნელაძის ქუჩა (ყოფ. საპიორის) 19. იღებს დილით 10-დან 3-მდე და საღამოს 5—8 დე. შესასვლელი ძნელაძის შესახვევიდან. 25—1

ლოგოპედი ა. ა. კაიშაური ყოფილი გამგე მოსკოვის მეორე უნივერსიტეტთან არსებულ ლოგოპედიის კაბინეტისა. ასწორებს ლოგოპათებს: ენაბლუებს, ენაჩლუნგებს, აფატიკებს და მეტყველების ყოველგვარ დეფექტებს. იღებს საღამოს 5—7 საათ. კლარა ცეტკინის ქ., (ყოფ. ელისაბედის) № 132 ტელ. 26—01. 25—1

ქვემოდ ჩამოთვლილი დოკუმენტები

(დაკარგული და მოპარული) ჩაითვალოს გაუქმებულათ.

— პარტბილეთი № 0869770—ლაურენტი ნესტორის-ძე ნადარეიშვილის სახელზე. 2496
— პურის წიგნ.—გრიგოლ შავგულიძის სახელზე. 2486
— ოპერის მე-15 აბონემ. მე 2 იარუსის მე-3 რიგი № 107. 2487
— კავშ. წიგნ.—მ. ი. ოსიპენკო-კაბარდინის სახელზე. 2488
— კავშ. წიგნ. № 9480—ვლადიმერ მაისურაძის სახელზე. 2489
— სამხ. წიგნ.—ადამი კენკიაშვილის სახელზე. 2495
— კოოპერ. წიგნ. № 72507—ბესარიონ ნიკოს-ძე უთმელიძის სახ. 2490
— პირად. მოწმ. № 141 და რკ. გზ. კავშ. წიგნ. № 20333—ნიკოლოზ სანიკიძის სახელზე. 2491
— პურის წიგნ. ლიტ. „ბ" № 16628—თლლა გეგელიას სახელზე. 2496
— სამხ. წიგნ. № 1300—ივლიანე ზაქარაიას სახელზე. 2411
— კავშ. წიგნ. № 13/26835—ალექსანდრე ტაბიძის სახ. 2411
— კავშ. წიგნ. № 18128—გიორგი ბეროძის სახელზე. 2411
— სამხ. საავ. ბარათი № 697—ანდრო შურღაიას სახელზე. 2437
— კოოპერ. საწ. წიგნ. № 1706—დათა ყვინაშვილის სახელზე. 2437
— სამხ. საალრ. ბარათი—აგეპოდისტო ქუთათელაძეს სახელზე. 2437
— კავშ. წიგნ. № 35286—ალექსანდრე კურტანიძეს სახელზე. 2447
— სამხ. საალრ. ბარათი № 640—სეით ცხვედიანის სახელზე. 2447
— სამხ. ნუსხა № 354—სევერიანე მაისაიას სახელზე. 2469
— წლიური სამოსამსახურო ბილეთი № 239, პირად. მოწმ. № 8/31—კალენიკე მშვენიერაძის სახელზე. 2469
— სამხ. ბეგარისაგან სითავისუფლის ბილეთი № 87—აკაკი ჩაჩიბაიას სახელზე. 2469
— ზესტაფონის მომხმარებელთა კოოპ. საწ. წიგნ. № 47/3—ანტონ საათავის სახელზე. 2483
— მეტრიკ. მოწმ.—დავით მურაბანიძის სახელზე. 2483
— კავშ. წიგნ. № 27405—შალიკო წაქაძის სახელზე. 2483
— კოოპერ. წიგნ. — 4911—ევგენია ვარამიშვილის სახელზე. 2483
— კავშ. წიგნ. № 29360—ვალოდია ბარბაქაძის სახელზე. 2483
— პირად. მოწმ. № 170—ივანე ბობოხიძის სახელზე. 2483
— კავშ. წიგნ. № 694961—აბრამ კონტაშვილის სახელზე. 2483

გულმოკლულნი დედა მელანია, ცოლი ზინაიდა, და თამარი, ძმა ლადო, ცოლით და შვილებით მეტრეველები, ბიძა პავლე და ბიძისშვილი ვასილ კობაიძეები იუწყებიან, რომ ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ 2 მაისს გარდაიცვალა მათი დაუვიწყარი და საყვარელი
მოსე (მოსიკო) მეტრეველი
დაკრძალვა 5 მაისს, კუკიის სასაფლაოზე, გამოსვენება ბინიდან 4 საათზე, საბჭოს (ყოფ. ჩერქეზიშვილის) ქ. № 89.

საქართველოს ფინსახკომის ადგილკომი ამით აცხადებს, რომ ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა დაუღალავი მუშაკი
ამხ. მოსე დიმიტრის-ძე მეტრეველი
დაკრძალვა კუკიის სასაფლაოზე, 5 მაისს, 4 საათზე, გამოსვენება ბინიდან, საბჭოთა ქუჩა № 89. 2498

დამწუხრებული ივანე იოსების-ძე ბეგლაროვი აუწყებს ნაცნობებს და საზოგადოებას მეგობარ
ცუკა გიორგის-ძე ხუგერაშვილის
ტრაღიკულად დაღუპვას. ნ. 671

დამწუხრებულნი მეუღლე ციცინო, სიმამრი სიმონ ვაჟიშვილებით: მიხეილ და აკაკი, მეუღლე ივდითით, ბიძა ექვთიმე თავის მეუღლე მარინეთ ნაკაიძეები, მამიდები ქამინო ბლაგიძისა, მარიამ ჯიბლაძისა შვილებით იუწყებიან მათი საყვარელი
დიმიტრი ნიკოლოზის-ძე ჩხარტიშვილის
უდროოდ გარდაცვალებას. დაკრძალვა დ. სუფსაში, 6 მაისს, 5 საათ. 2494

ღრმად დამწუხრებული ძმები: ნიკოლოზი, გრიგოლი, ალექსანდრე, და ვენერა, მამა სერაპიონი, დედა ილიტე, ცოლი ლიდა, ბიძანები: ნიკოლოზი, იასონი, დათიკო ვაშაკიძეები აუწყებენ ნათესავებს და ნაცნობებს, რომ სოფ. გუბში (ქუთ. ოლქი), 3 მაისს, უდროოდ გარდაიცვალა
ვასიკო სერაპიონის-ძე ვაშაკიძე
დაკრძალვა მოხდება 6 მაისს, იმავე სოფელში. 2493

კოწია ვაშაძე, პაპუკ მიშველიძე, ალექსანდრე სიკოს ძე ვაშაძე, იაგორ სტურუა, ალექსანდრე საჩინოს ძე ვაშაძე, გოგია მამულეიშვილი, მიხა შეყრილაძე, აქსენტი ლეჟავა, ბიტოლი ლეჟავა, კოწია ქვარიანი, შაქრო ვაშაძე, გრიშა ფირცხალაიშვილი, ალექსანდრე მიშველიძე, კიმოთე ვაშაძე, ნესტორ ვაშაძე, სერგო ლეჟავა, პარმენ ლეჟავა, სოლომონ ლეჟავა, ლავრენტი ჯანჯღავა, სერგო დავლიანიძე და ლევანტი ვაშაძე მწუხარებას გამოსთქვამენ დაუღალავი და ენერგიული ამხანაგის
პოლიკარპე ერისტოს-ძე ლეჟავას
ტრაღიკულად გარდაცვალების გამო. ნ. 672

საქ. საბჭოთა და სავაჭრო მუშაკთა კავშირის ცენტრალური გამგეობა
საკრედიტო რეფორმის ჩატარების პირველი შედეგების აღრიცხვისა და გამორკვევის მიზნით, ა/წ. 5 მაისს საღამოს 7 საათზე მბეჭდავთა კლუბის დასასვენებელ დარბაზში (კომინტერნის ქ, № 5) იწვევს
საბანკო საწარმოო კონფერენციას.
დღის წესრიგი:
მოხსენება სახელმწიფო ბანკის ა/კ. კანტორისა (ამხ ლაქტიონოვი) და თანამოხსენება საქ. კომუნალურ ბანკისა (ამხ. დუმბაძე).
კონფერენციაზე მოწვეულია ბანკების მოსამსახურეები, ბანკების კლიენტურა, პრესის წარმომადგენლები და სახ. ბანკის ა/კ. კანტორის შემმოწმებელი კომისია და მუშათა ბრიგადა.
2492 საბჭ. და სავაჭ. მუშ. კავშ. ც. გ.

საქართ. ს.მ.უ. საბჭოს ლითონტრესტის 26 კომუნარის სახელობის ქარხანა
აცხადებს,
რომ 1 მაისიდან ხდება ა.-კ. რკინის გზის ელექტროფიკაციის ბიუროს საუღელტეხილო უბნის გადამცემი ხაზის საძირკვლების ჩასაყრელად და ანძების დასადგმელად წარმოებულ
სამუშაოთა 1-ლი რაიონის
(ქ. გორში) და მე-2 რაიონის (ქ. ზესტაფონში)
კონტორების ლიკვიდაცია
ყველა იმ პირებსა და დაწესებულებებს, რომლებსაც აქვთ პრეტენზიები აღნიშნული კანტორების მიმართ, წინადადება ეძლევათ წარმოადგინონ არა უგვიანეს ა/წ. 18 მაისისა.
აღნიშნული ვადის შემდეგ პრეტენზიები აღარ მიიღება და დაკმაყოფილებული აღარ იქნება.
2—1 ნ. 670 ქარხნის დირექტორი ბერეში.

ღრმად დამწუხრებული ქმარი ნიკოლოზ მიხეილის-ძე ამირალოვი აუწყებს ამხანაგებს, მეგობრებს და ნათესავებს, რომ საყვარელი ცოლის და მეგობრის
მარიამ ტენაზის
ცხედრის გასვენება მოხდება 5 მაისს, დღის 4 ნახ. საათზე, ბინიდან (ძერჟინსკის ქ., № 20), ვერის ახალ სასაფლაოზე. ნ. 669

საქართველოს სახკინმრეწვის კინო-სტუდია ღრმა მწუხარებით აუწყებს საზოგადოებას სახკინმრეწვის კინო-მსახიობის
მარიამ ტენაზის
უდროოდ დაკარგვას. ნ. 660 2—2

საქ. სახკინმრეწვის სამხატვრო-პოლიტიკური საბჭოს პრეზიდიუმი ღრმა მწუხარებით აცნობებს საზოგადოებას სახკინმრეწვის ნიჭიერ მსახიობის
მარია ტენაზის
უდროოდ გარდაცვალებას. სამოქალაქო პანაშვიდი ყოველ დღე საკუთარ ბინაზე, ძერჟინსკის და შ. ჩიტაძის ქ. კუთხე, საღამოს 7 საათზე. დაკრძალვა 5 მაისს, 4 ნახ. საათზე, ვერის ახალ სასაფლაოზე. ნ. 658 2—2

საქ. სახკინმრეწვის საბჭო და გამგეობა აუწყებს საზოგადოებას სახკინმრეწვის ერთი საუკეთესო კინო მსახიობის
მარია ტენაზის
უდროოდ გარდაცვალებას. სამოქალაქო პანაშვიდი ყოველდღე 7 საათზე, ნ. მ. ამირალოვის ბინაზე (ძერჟინსკის და შ. ჩიტაძის ქ. კუთხე). დაკრძალვა 5 მაისს, 4 ნახ. საათზე, ვერის ახალ სასაფლაოზე. ნ. 658 2—2

საქართველოს სახკინმრეწვის კომუჯრედი და ფაბკომი აუწყებს საზოგადოებას სახკინმრეწვის ამხ. ნ. ამირალოვის მეუღლის და კინო-მსახიობის
მარია ტენაზის
უდროოდ გარდაცვალებას.
სამოქალაქო პანაშვიდი ყოველდღე საღამოს 7 საათზე. ნ. 658 2—2

სახკინმრეწვის სასცენარო ნაწილის თანამშრომელნი: აბესალომ იოვიძე, შალვა ალხაზიშვილი, სამსონ სულაკაური, გიორგი მდივანი, პეტრე მარსკოი მწუხარებით აუწყებენ საზოგადოებას, ნიჭიერი მსახიობის და გულითადი მეგობრის
მარია ტენაზის
უდროოდ დაკარგვას. ნ. 662

საქართველოს სახელმწიფო კინო-მრეწველობის ცენტრალური ბუღალტერიის თანამშრომლები მწუხარებით აუწყებენ საზოგადოებას, რომ ხანგრძლივ ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა საყვარელი კინო-მსახიობი
მარია ტენაზი
ნ. 662

სახკინმრეწვის გამქირავებელი განყოფილება და კინო თეატრების მუშა-მოსამსახურენი მწუხარებით აუწყებენ საზოგადოებას, სახკინმრეწვის ნიჭიერ მსახიობ ქალის და ამავე დაწესებულების გამგეობის თავმჯდომარე ამხ. ამირალოვის მეუღლის
მარიამ ტენაზის
გარდაცვალებას. ნ. 662

მ. ფილია, ს. ჯულელი, ა. ვაშაძე მწუხარებით აუწყებენ საზოგადოებას ნიჭიერ კინო-მსახიობის
მარიამ ტენაზის
უდროოდ გარდაცვალებას.

ვ. არეშიძე, მ. გოგინაშვილი, ალ. ჯაფარიძე, ალ. ეჯიბოვი, ა. თითიბერიძე და დ. მესხი აუწყებს საზოგადოებას მათი გულითადი მეგობრის ნ. გ. ამირალოვის მეუღლის
მარია ტენაზის
უდროოდ გარდაცვალებას. ნ. 660 2—2

დამწუხრებულნი სანდრო ზაქარიას-ძე ფირალიშვილი მეუღლე ფეფო შვილებით იუწყებიან, რომ ქ. მოსკოვში გარდაიცვალა მათთვის საყვარელი და დაუვიწყარი რძალი
ლია ერასტის ასული ყანდარელი
კრემაცია შესდგა მოსკოვში 3 მაისს. 2485

ტირაჟი—53.390
საგაზეთო გამომცემლობათა სტამბა, „კოლექტივი", კამოს ქ. № 68.
მთავლიტი № 904